

ლიტერატურული გაზეთი

№5(141) 13 - 26 მარტი 2015

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

გურამ მეგრელიშვილი ალტარნატიული საქართველოს ამბები

იანვანა ლელქაშაძის სიღრმიდან

I დღე: ჩადრი

სტუმრებს აეროპორტში ვხვდებით. ჩემი აეროპორტში მისვლა ყოველთვის გინებასთან ასოცირდება, რადგან ყოველთვის ვიგინები. და ვიგინები იმიტომ, რომ საერთაშორისო ფრენები ყოველთვის შუალაში-თაა. არ ვიცი, რამდენი ბარგი ექნებათ, ამიტომ მანქანით მივდივარ ახალი აეროპორტის სადგომზე. ყურადღებით ვინიშნავ სადგომის სართულს და მონიშნული ადგილის ნომერს — „სართული მინუს 4, ადგილი 212“. მას მერე, რაც ორი თვის წინ ჩემ მანქანას სამი საათი ვეძებდი, ჭკუა ვიხმარე და შოთა რუსთაველის სახელობის რეკონსტრუირებულ აეროპორტში ლამისაა ჯიპი-იესით მოვნიშნო ხოლმე ადგილი, სადაც მანქანას ვაჩერებ.

როდესაც ზევიდან გადმოხედავ, აეროპორტს ჯვრის ფორმა აქვს, ყველა ჩამოსული ტურისტი ამას აღნიშნავს. ვიცი, ეს ბალდადელი გადამღები ჯგუფიც იმავეს მკითხავს.

ჩვენი თარჯიმანი, სოფო მესხი, გამუდმებით ამთქნარებს. არაფერი მეჯავრება იმაზე მეტად, როცა ქალი ამთქნარებს და პირზე ხელს არ იფარებს. თვითმფრინავი იგვიანებს და აეროპორტის წიგნის მაღაზიაში შევდივარ. აეროპორტზე და ზოგადად ქვეყანაზე საუკეთესოდ სწორედ წიგნის მაღაზიის არსებობა და ზომა მეტყველებს. ამ მხრივ განსაკუთრებული გერმანული აეროპორტებია.

ახალი გამოცემების სტენდს ვათვალიერებ. რა უფრო სამწუხაროა ნეტავ, როცა წიგნის მაღაზიაში შენ წიგნს ვერ ნახავ თუ ყოველთვის რომ ნახავ?

II-III

ემზარ კვიციანიშვილი თავზი მორავში

დავკვირვებივარ: შემოდგომით უბრალო გუბეც დაწმენდილია, კამკამა, თეთრი. არხის წყალს, ტბასაც — მოუჩანთ ფსკერი, აუმღვრეველი და მოცახცახე. მე შევიგულე სუფთა მორევი — ბროლი გამდნარი, არაფერში რომ არ ამერევა. თუ არ მეშლება, ის უნდა იყოს მთიდან დაშვებულ მდინარის ტოტი... თვალს ვერ ვაცილებ, უხდება ისე, კენჭებზე უსასრულო სრიალი.



ვაჩერდებოდი: მინახავს თვითონ — ერთადერთი და დაუღალავი, გამჭოლ ჭავლებში მბრუნავი თევზი, გაჩერება რომ არ უწერია — კლაკნილ, მოხატულ ზოლებად უთრთის მუქმწვანე ზურგი. სხარტი, მოქნილი, ტანს კვიპაროსის ნერგივით იქნევს. ზოგჯერ მგონია, ის თევზი მე ვარ. დიდი ლოდინი არ დამჭირდება — გაშლილ, წვრილთვალა ბადეში მოვხვდე... ვის დანანდება ფართხალი ჩემი, ვერას მიშველის გაქნევა კუდის, დღის სინათლეზე ამოზიდული, ლაყურებს, მფეთქავს, უწყლოდ დარჩენილს, უხმოდ დავკეცავ. აღარ მექნება ახტომის თავი. გამაკანკალებს. სილიან ნაპირს დავენურები.

IV-V



დასაწყისი პირველ გვერდზე

ტურისტულ გაიდებს ვყიდულობ და სტუმრებიც გამოდიან 18 Gate-დან.

ორი ოპერატორი, რეჟისორი და ორიც ქალია, ალბათ — მსახიობები. ერთ-ერთს ჩადრი უკეთია. ჩადრიდან შავი აღმოსავლური თვალები მათვალეირებს. ქალების გარდა ყველას ხელს ვართმევ. სოფო გამოცოცხლდა, აღარ ამოქნარებს. ბარგი მანქანასთან მიგვაქვს და ველოდები, როდის იკითხავენ — „ამ აეროპორტს მართლა ჯვრის ფორმა აქვს თუ მოგვეჩვენა?“

ვთავაზობ, მსუბუქად წავიხემსოთ, მაგრამ ყველანი უარზე არიან. რეისი ძალიან გაინელა და ძილი ურჩევნიათ — დილიდან ქართლში, ქარელის რაიონში, მდინარე ძამას ხეობაში მივდივართ.

ეროვნული კონცენტრიდან დამირეკეს და მთხოვეს, ზღადადელო სტუმრებს დავხვედროდი, რაღაც სამდღიანი გადაღება აქვთ.

სასტუმრო მცხეთის გასასვლელშია. ყველას ვაბინავებ და სახლში ვბრუნდები შხაპის მისაღებად. როცა საათს ვნახულობ, დაძინებას აზრი აღარც აქვს. ჩადრიანი ქალი მახსენდება და რატომღაც წარმომიდგენია, რომ სქელი ტუჩები და დიდი თეთრი კბილები ექნება.

სოფო მესხს ვაღვიძებ და ჩვენ ზღადადელო გადამღებ ჯგუფს ვაკითხავ. როგორც ჩანს, მათაც არ უძინიათ.

დილის 7 საათია. მცხეთის გასასვლელში Rombouts-ის Coffee Bean-თან ვჩერდებით. იქვე ადგილობრივი გლეხი ქალი ცოცხალ ყვავილებს ყიდის. რამდენიმეს ვყიდულობ და სოფოს ვანვდი — დანარჩენებსაც გადაეცი, ვამბობ. ჩემგან სოფოსთვის ყვავილების ყიდვა ირანის გაქრისტიანებაზე დიდი სასწაულია, მაგრამ ამჯერად ეს ყვავილები ჩადრიან გოგოს ეკუთვნის.

რეჟისორი რაღაც საინტერესო ამბავს გვიყვება თავისი ქვეყნის ისტორიიდან და გზა უცბად მოკლდება. ქარელში ხალხმრავლობაა. მახსენდება, რომ ამ დღეს „ქარელობაა“. ქუჩები სავსეა ინდური ტანსაცმლით. მას მერე, რაც ქალაქის ერთ ნაწილში ინდუსები დასახლდნენ, ქარელი უფრო ჭრელი გახდა — ვგულისხმობ, ჩაცმულობას. ინდუსებმა ენა ადვილად აითვისეს და თავდაპირველი მტკიცეული დაპირისპირებების მიუხედავად, ახლა მეტნაკლებად მშვიდად თანაცხოვრობენ ადგილობრივებთან. მათი ჩასახლება დოპინგით აღმოჩნდა — ქარელები გამოფხიზლდნენ და მუშაობაში ეჯიბრებოდნენ ინდუსებს, რამაც საბოლოოდ ქვეყანა ახერია.

ქალაქის გასასვლელში, ძამას ხეობის გზაზე, ძერას ქანდაკება, ქალაქის სიმბოლო დგას. საინტერესოა, რატომ დგას გასასვლელში და არა შესასვლელში ქალაქის სიმბოლო? იქნებ ადგილობრივებისთვის შესასვლელი სწორედ მეორე მხარეა?

ქარელის ცენტრში სპეცფორმაში გამოწყობილ რამდენიმე ადამიანს ვხვდავ. ისინი „მოქალაქე სისუფთავის დამცველები“, თუ რაღაც ამდაგვარი არიან. ეს სამსახური თავის დროზე ზესტაფონის გამგებელმა შექმნა. იდეა ის იყო, რომ ყველა ზესტაფონელს, იყო ის პოლიციის უფროსი თუ სკოლის მასწავლებელი, რამდენიმე თვეში ერთხელ საზოგადოებრივი ადგილის სისუფთავის კონტროლი (იგულისხმება დალაგებაც და სხვისი გაკონტროლება) ევალებოდა. ამ სამსახურის შექმნა, პრინციპში ვაღიაროთ, მოტყუებით, რეფერენდუმის გაფუძვლზე მოხდა. სანამ მოსახლეობა გაერკვა, ხმას რას მისცემდა, ქალაქის სისუფთავის დაცვაზე ზრუნვა მოუწიათ. მათ, ვინც უარს იტყოდა სამსახურზე, ხელფასის 22% ეჭრებოდათ მთელი წლის მანძილზე და ეს თანხა ქალაქის კეთილმოწყობას ხმარდებოდა. მახსოვს, ერთხელ სიგარეტის ნაწივი გადააგდეს ჩემი მანქანიდან და როგორ დაგვედევნა სამი ზესტაფონელი — სანამ საკუთარი ხელით არ ააღებინეს „დამნაშავეს“ ნაწივი, არ მოგვეშვენი.

ვეარაუდობ, რომ თუ ზესტაფონის გამგებელმა სამსახურის სადგილი შეიცვალა, ქარელებს ადვილი დღე არ დაადგებათ.

ძამას ხეობის დასაწყისში უზარმაზარი

ბანერი დგას, რომელიც გვაუწყებს, რომ შევდივართ დაცულ ტერიტორიაზე. ხეობის უკანა ნაწილი ჩაკეტულია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ეს მიწები რუს-ურბნისის ეპარქიას გადასცა და 12 მონასტერი ახლა ქალებისთვის ხელმოწუნდომელია. მეექვსეა სტუმრებს მონასტრების ნახვა სურდეთ, ჩვენი მარშრუტი ბატეთის ტბისკენაა.

გზა იდეალურად სწორია. აქ თოვლის ჩამოყრა ადრეულ შემოდგომასაც იცის ხოლმე. ახლა მშვენიერი ამინდია. ხეები ალისფრად ანთია და სოფლებში ალაგ-ალაგ კვამლი ამოდის. ინფრასტრუქტურის და რელიგიური ტურიზმის განვითარებას სოფლის მთელი მულამი გააქრო. გაზიფიკაციის შედეგად ადგილობრივები ცეცხლს იშვიათად ანთებენ, ისიც ძირითადად მცირე საოჯახო სასტუმროებისა და რესტორნების მეპატრონეები.

მას შემდეგ, რაც ხეობის ნაწილი სამონასტრო დაცულ ტერიტორიად გამოცხა-

გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული საქართველოს ამბები



და, რელიგიური ტურიზმით დაინტერესებული ადამიანები აქაურობას მოაწყდნენ. ეპარქიის სურვილის მიუხედავად (მთლიანი ხეობა დახურულ ტერიტორიად გამოცხადებინათ), მოსახლეობამ არ დატოვა მშობლიური სოფლები, მეტიც, ბევრი, ვისაც აქაურ მხარეში ძირი ჰქონდა, დაბრუნდა და მცირე საოჯახო სასტუმრო სასაუზმე ან რესტორანი გახსნა.

სოფელ ზღუდერში ვჩერდებით. რესტორნის მეპატრონე შორიდან მიქნევს ხელს. მანქანიდან გამომოვიდვარ და ვეძახი — „დარაისომ ხორხ!“

ხაბიძეები და წახარაჯიები ისეთი ცხელია, ზამთარში ერთოთახიან ბინას გაათბობს. რესტორნის მეპატრონე ცუდი Wi-Fi-ს გამო გვებოდიშება, მაგრამ ინტერნეტისთვის არავის სცხელა. ყურადღებით ვაკვირდები ჩადრიანს, ჭამისას მაინც დავინახავ მის პირსახეს. გოგო მშვიდად ზის, თავი ოდნავ დაუხრია და თეფშზე დადებული ხაბიძეინას დასცქერის. რამდენიმე წუთი ვაკვირდები, მერე ლაპარაკში ვერთობი და ჩადრიანის სახე ისევ დამალული რჩება ჩემთვის.

სოფელ გვერდინეთთან რამდენიმე წუთით ვჩერდები, მდინარის მეორე ნაპირზე ლამაზი მონასტერი დგას, მონასტრის ირგვლივ კი პატარა ორსართულიანი კოტეჯებიანი მცირე დასახლებაა. „ეს ადგილი ახლახანს ააშენეს! — ვუბნები რეჟისორს, — აქ ადრე ნასოფლარი იყო, ახლა სულიერი აშლილობის მქონე ადამიანების სანატორიუმია. ის ტაძარი, რასაც ხედავთ, ასევე ძველი ტაძარია, მანდ ახლა დედათა მონასტერია და ძირითადად სწორედ მონაზვნები უფლიან ავადმყოფებს.“

ოპერატორი კამერას რთავს და შორი ხედით იღებს მიდამოებს.

„ჩვენი დანიშნულების ადგილამდე შორია?“ — მეკითხება უჩადრო გოგო.

„არა, შვიდ-რვა კილომეტრში გადავუხ-

ვევთ და მერე ახლოსაა,“ — ვპასუხობ.

ეს შვიდი-რვა კილომეტრი ძალიან ინელემა. გზაში რამდენჯერმე ვჩერდებით. ოპერატორი დეტალურად იღებს მიდამოებს. ვცდილობ, ტყუილ-მართალი ერთმანეთში შევაზავო და რაც კი ლეგენდა გამოვიგონო, ისტორიულ ფაქტებად გადასალო:

„აქეთ ერთი სოფელია, ამ სოფელში ეკლესია დგას. თურმე სადღაც სხვა სოფელში და-ძმას ერთმანეთი შეუყვარდა, მაგრამ გამხელის შიშით გაიქცნენ და ამ მიდამოებში ჩამოვიდნენ, ნახეს ტაძრის მოძღვარი და სთხოვეს, მათთვის ჯვარი დაენერათ, რომ ღმერთის წინაშე მაინც გამართლებულიყვნენ. როცა ხუცესმა ჯვრის წერა დაიწყო, საკურთხეველი შეტრიალდა და მას მერე ამ ეკლესიას უკუღმა ტაძარი ეწოდება!“

„საკურთხეველი რა არის?“ — ოპერატორი კითხულობს. სოფო საკუთარი ინიციატივით უხსნის, სახეზე ირონიული ღი-

რთ წიგნების საკითხავად მეტი დრო დარჩენოდა და რაც მთავარია, უოლდენით, სახელმწიფოსთვის გადასახადების გადახდაზე უარი ეთქვა).

ჩვენ წინასწარ დაჯავშნილ ორ კოტეჯში ვთავსდებით. ორივე დასახლების განაპირასაა, სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ჭაობის ნაწილია.

ადრე ბნელდება და ყველა ჩვენ-ჩვენ ოთახებში ვიკეტებით. რომელიღაც ოპერატორი საშინლად ხვრინავს. გარეთ გავდივარ და კობას ჯიხურში ვატარებ ორ საათს. მპირდება, რომ ხვალისთვის კარავს მათხოვებს — სადმე ტყის სიღრმეში დავიძინებ.

II დღე: ბავშვი

ღამე თითქმის არ მძინებია. უთენია ვდგები და ტბაში ვბანაობ. წყალი იმაზე თბილია, ვიდრე ოქტომბერში უნდა იყოს, მაგრამ იმაზე ცივი, ვიდრე ჩემი სხეული მიჩვეული. კობას ჯიხურში არაყს ვსვამ და ცოტა აზრზე მოვიდვარ.

კოტეჯებიდან ხალხი გამოდის. ზოგი ვარჯიშობს, ზოგი კაფეში კრუასანს და ყავას მიირთმევს, ზოგი ჩადრს არ იშორებს აქაც.

რეჟისორი და ოპერატორები ტყიდან გამოდიან. როგორც ჩანს, ისინიც ადრე ადგნენ.

კობას ჯიხურიდან გამოვიდვარ და ხელს ვუქნევ. ცივმა წყალმა და არაყმა თავისი ქნა, ორი ღამის უძილობა სადღაც გაქრა. სოფო არ ჩანს, დარწმუნებული ვარ, ძინავს. შენიშვნის მიცემას აზრი არ აქვს. ვცდილობ ჩემი და მათი ინგლისურის მარაგით რაღაც გასაგები გამოვადნო. ვთანხმდებით, რომ საუზმის მერე დახურულ სამონასტრო ტერიტორიას დავათვალიერებთ. სოფო არ მჭირდება — იქ ქალებს არ უშვებენ.

საუზმისას პატარა გოგონა მოდის ჩვენ მაგიდასთან და მთხოვს, მუხლებზე დავისვა. თავზე ხელს ვუსვამ — ამერიკაში ცხოვრების მერე უცხო ბავშვების მოფერებას გადავეჩვიე. მეგუნა ჰქვია და, როგორც ამბობს, დედასთან და დეიდასთან ერთად ისვენებს. ცოცხალი ბავშვია. დარბაზს ვათვალიერებ და დედამის ვეძებ თვალებით. მხოლოდ ჩვენ და ორი მხცოვანი წყვილია. ალბათ ვერანდაზე თუ სვამენ ყავას.

პირველად ძამას ციხეს ვნახულობთ. ციხე საბოლოოდ რესტავირებულია. მახსოვს არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი, როცა ბერებმა თვითნებურად გადააკეთეს ციხე-სიმაგრე. ახლა აქ დიდი სამონასტრო კომპლექსია ევროპული ტრადიციების დარად. ვუყურებთ ამ უზარმაზარ ციხე-მონასტერს და რეჟისორი ამბობს — „უმბერტო ეკოს რომანები მახსენდება“. მე კი მახსენდება გადმოცემა, როგორ იგერიებდა ჯოუტი გიორგი მეშვიდე თემურ ლენგს შვიდი დღე ამ ციხიდან, რომელსაც ახლა მძოვრეთის ციხე ქვია. ანუ მზოვრეთის ციხე. სახვერე. ძველმა ქართველებმა ეს ადგილი საზვერეების გავლას დაუკავშირეს.

ბერები გადაღების უფლებას არ აძლევენ ოპერატორს. რეჟისორი საოცრად მორჩილი ადამიანია, არც ცდილობს, გააპროტესტოს, ითხოვს ან რაიმე გზა გამოიხსოს გადასაღებად. უკან ვბრუნდებით ხელცარიელები. ვთავაზობ, შორიდან მაინც გადაიღონ ციხე. რეჟისორი უარს ამბობს.

აბუხალოს სკიტეში ორი ბერი ცხოვრობს. ერთმა გერმანული იცის — როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ოპერატორმაც. მასალას ბლომად აგროვებენ. „Are you satisfied?“ — ვეკითხები რეჟისორს და აღმართულ ცერა თითს მაჩვენებს.

ძამის მონასტერი ჩემზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქამდე არასოდეს მიწახავს ეს ადგილი. სანამ ოპერატორები იქაურობას იღებენ, ადგილობრივი ბერები საკუთარ საკალმხებშივე დაჭერილ კალმას გვიწვავენ. ასე, ფეხზე მდგომარე ვჭამთ უსიტყვოდ. ერთ-ერთი მორჩილი მეკითხება — „ესენი მართლა მუსლიმები არიან?“ „რა ვიცი, იმედია, არ იტყუებიან!“ — ვპასუხობ სიცილით. „აქ ერთხელ იყო ერთი მუსლიმი“ — ისე ამბობს მონასტრის კეთილმოწყვეთ, ფლათმინი ბერი, თითქოს რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს. რეჟისორს თვალებში კითხვის ნიშნები უჩნდება, მაგრამ მე სულ სხვა

რამეს ვუთარგმნი. გამობრუნებულები გვიანდა ვხვდებით, რომ ვილაღ გვაკლია. ეს ერთი ოპერატორია. მონასტრისკენ მიტრიალებულს მორჩილი და ოპერატორი გზაზე გვხვდებიან. არ ვიცი, რა ენაზე, მაგრამ საუბრობენ. როგორც აღმოჩნდა, ოპერატორი მცირე ტაძარში დაგვრჩა გარედან ჩაკეტილი.

ქოზიფაში დაბინდებამდე მისვლას ვასწრებთ. აქაურობაც მომლოცველი ტურისტებითაა სავსე. პირველივე ამბავი ცუდი გვხვდება — ქოზიფას ცნობილი ბიბლიოთეკა დაშვარა. ნიგნების დიდი ნაწილი ვერ გადაარჩინეს. მიზნულს არც ვკითხულობ. აქ დაცულ უნიკალური საღვთისმეტყველო და საერო ნიგნებს მაინც აღარაფერი ეშველება. რვა წლის წინ ქოზიფაში სწორედ ნიგნის გამო მოვხვდი — ჩემმა კლასელმა კობამ მონასტრის ბიბლიოთეკას უნიკალური ნიგნი გადასცა საჩუქრად. ორი სიტყვით ნიგნზე შეიძლება თქმა: 1766 წელს გამოცემული ტრაქტატი იყო, რომელიც რომში დაიბეჭდა — „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარია მისაგან ნეაპოლისისა, კაპუჩინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულითა ენითა.“ ილუსტრაციები უხარისხო, მაგრამ თავად ნიგნი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი იყო.

ნიგნს მეტად უცნაური ბედი ჰქონდა — მონასტრის ბიბლიოთეკაში მოხვედრამდე ის ერთ გადამდგარ გენერალს ეკუთვნოდა. კობა ამ გენერლის სახლის დარაჯი იყო წლების წინ, როდესაც ქვეყანაში არეულ-დარეულობა სუფევდა. რამდენიმე არაღვალურად მოვაჭრე კოლექციონერს ნიგნები და სხვადასხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთი ჩამოართვეს. როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ნივთების დიდი ნაწილი მალაჩინოსან პოლიციელთა სახლებში აღმოჩნდებოდა. როგორც ჩანს, კახეთის ერთ-ერთ სოფელშიც ასე მოხვდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელსაც სახლის მეპატრონეები დიდ ყურადღებას არც აქცევდნენ. ჩემი კლასელი დარაჯად მუშობდა დასახლებაში, სადაც გადამდგარი გენერლის სახლიც იყო და სწორედ ამ სახლიდან მოიპარა ეს უნიკალური ნიგნი და 1802 წელს მოსკოვში გამოცემული ქართული ბიბლია. ბიბლია რომელიმე ტაძარს გადასცა საჩუქრად, პატრი ბერნარდოს ნიგნი კი ქოზიფაში ერთად წავიღეთ. მაშინ მქონდა ცდუნება, გაგვეყიდა ეს ძველი და უნიკალური ნიგნი, მაგრამ ჩემმა კლასელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — როგორც ჩანს, სულ ტყუილად.

ნიგნზე წანაწერი იყო — დიაკონი ივანე 1832. 1832 საგარაუდოდ წელს ნიშნავდა, დიაკონის ვინაობა კი ვერ დავადგინეთ (ზოგის ვარაუდით ეს ის ივანე იყო, სოლომონ დოდაშვილის თაოსნობით გახსნილ პირველ ქართულ ნიგნის მალაზიას რომ პატრონობდა). გენერლის სახლიდან ამ ორი ნიგნის მოპარვებიდან მესამე დღეს კახეთი დაისეტყვა. სახლში, სადაც ნიგნები ინახებოდა, ჭერი ჩამოიქცა და მთელი ბიბლიოთეკა განადგურდა.

„უბედურების მომტანი ქალებივით ხომ არსებობენ უბედურების მომტანი ნიგნებიც?“ — ვფიქრობ და უკანა გზაზე გუნებაამოშხამული ვბრუნდები.

ტბასთან ჩოჩქოლი გვხვდება. სოფო ალგზნებული მიყვება, რომ ტბაში ბავშვი დაიხრჩო. დილით ნანახი პატარა გოგონა მახსენდება და უმისამართოდ ვბრაზდები. როგორც ჩანს, სხვა ბავშვი იყო, რადგან ბიჭის სახელს იმეორებენ. დამსვენებლებზე ცუდად მოქმედებს მომხდარი და მათი დიდი ნაწილი იბარგება.

კობა ტბასთან დგას და პოლიციელს ესაუბრება. მე თვალს მარიდებს, თითქოს თავს იდანაშაულებს მომხდარში. ჩადრიანს ვეძებ, მაგრამ არსად ჩანს. ასეთ მძიმე მომენტებში ყოველთვის მაინტერესებს იმ ქალების რეაქცია, ვინც მომწონს. ღამდება და კოტეჯებში ვნანილდებით.

გვიან კობასთან შევდივარ. მომხდარზე ხმას არ ვიღებთ არცერთი. ჩაის მასმევს და განაპირა კოტეჯის გასაღებს მიწვდის — „დაპატიჟებული ხარ!“

იმედი მაქვს, დღეს მაინც დავიძინებ ადამიანურად.

III დღე: ჩადრი, ბავშვი

შუალამით ქალის კენესა მალევიძებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხმა გვერდით ოთახიდან მოდის. ფრთხილად ვდგები და თითის წვერებზე შემდგარი ოთახებს ვათვლიერებ. ხმები აღარ ისმის. ვნებები, მაგრამ ვეღარ ვიძინებ. აივანზე გავდივარ სიგარეტის მოსაწვევად. ტბა ვერცხლისფერია და საშიში. არასოდეს მომჩვენებია ეს ტბა საშიში, ახლა კი მეჩვენება.

ლელქაშების მხარეს ქალის ლანდი ჩანს. კარგად ვერ ვარჩევ, ვინაა. ასოციაციები მომდის ბავშვობაში სოფელში მოსმენილ ამბებთან — ალი, როკაპი, კუდიანი, ჭინკა. არც სპილენძისფერი თმა აქვს იმას, ვისაც ვხედავ და არც რკინის კბილები. კანი კი უბზინავს და ფეხებთან კაბა უგდება. პატარა, გამობერილი მუცელი აქვს. მუცელზე ხელს ისმევს. თითქოს რაღაცის გამოდევნას, გამოფხეკას ლამობს. ისე ვუახლოვდები, ვერც ვხვდები. ქალი აღარ ჩანს. ინტერესი უფრო მიღრმავდება და თითქმის სირბილით ვუახლოვდები ტბას. ქალი წევს, ფეხები გაჩაჩხული აქვს და თითქოს მშობიარობს. მუცელზე ისევ ხელს იჭერს. ფეხის ხმაზე გამომხედავს და თვალები მეცნობა, მხოლოდ თვალები. უკან გამოვრბივარ. კოტეჯში ვიკეტები და დღემდე ვეღარ ვიძინებ.

გამთენიისას სოფო მიკაკუნებს კარზე. სტუმრები გველოდებიან, მათი ფრენა შუადღისასაა. საუზმეზე უარს ვამბობ. ყველანი ჩვეულებრივ იქცევიან. მსახიობი გოგო ფოტოსესიას იღებს ტბის პირას, გვერდით ჩადრიანი უდგას. სამივეს თვალს ვარიდებ და მანქანაში ვჯდები. თბილისამდე კიდევ ორჯერ ვჩერდებით. მე მანქანიდან არ გადმოვდივარ. სასტუმროსთან ვტოვებ სტუმრებს და ადმინისტრატორს ვთხოვ, შუადღისას ტაქსი გამოიძახოს მათთვის. ფულს ვუხდის და დაუშვიადობებლად მივდივარ სახლში. ერთი გამოძინება არ მანყენდა.

ჩუქ-ჩუქ ტური

ეს იმწელს მოხდა, ჩემმა თანამშრომელმა პროტესტი რომ გამოთქვა, ელტონ ჯონთან ერთად ბორჯომის ახალგარემონტებულ „სერნი ვანებში“ არ ჩავალო. და, იქვე რომ დააპატიმრეს.

მაშინ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან სტუმრები მყავდა, ბაკურიანში ვიყავით დასასვენებლად, მე ვიყავი დასასვენებლად და ნიგნის საკითხავად, თორემ ისინი ციგებიდან და თხილამურებიდან არ ჩამოსულან.

ბაკურიანი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან განვითარდა, გაიზარდა და ინფრასტრუქტურულადაც დაიხვეწა. მახსოვს, ადრე ნორმალური სასტუმრო სანატორი იყო, ახლა კი საოჯახო „Mini hotel“-ებითა და „Hostel“-ებით გაივსო იქაურობა. სახელმწიფომ იაფი კრედიტის პროგრამა შეიმუშავა, მოსახლეობას შესთავაზა (პრინციპში, აიძულა კიდევ), კომუნისტურ ეპოქაში აშენებული სახლები დაენგრიათ ან თანამედროვე კონსტრუქციაში მოეყვანათ, სახლები ორ

ფერში — აგურისფრად ან შავად გადაახურინა, მისცა სამოცნლიანი (1 %-იანი) სესხი და წაუყენა პირობა, უახლოესი ათი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობაზე ნახევარ ფასად გაექირავებინა სასტუმროები. მახსოვს, მაშინ ამ ამბავს დიდი აჟიოტაჟი მოყვა, არასამთავრობოები პრესკონფერენციებს მართავდნენ — თავისუფალ ბიზნესს ატერორებენ, ბაზარი ასე ვერ განვითარდებაო, მაგრამ ორმა წელმა სხვა შედეგი აჩვენა — შიდა ტურიზმი განვითარდა, საშუალო სოციალური ფენის მოსახლეობამ ბოლო ოცი წლის მანძილზე პირველად მისცა თავს საშუალება, დასასვენებლად კურორტზე წასულიყო. ფულის ამგვარმა შიდა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ ბაკურიანის მოსახლეობა 13-ჯერ გაიზარდა, ადგილობრივებმა ფინანსურად ამოისუნთქეს, გაიხსნა ნიგნის ორი მალაზიაც კი (თავისუფალი თანხის არსებობამ საშუალება მისცა, ამ ტიპის ბიზნესსაც განვითარებულიყო). თავის მხრივ, ბაკურიანელებს წლიდან წლამდე დაგროვილი დანაზოგით ზღვისპირეთში დასვენება შეეძლოთ და ასე შემდეგ.

ბაკურიანი ის პატარა დაბა აღარ იყო, წლების წინ საღამოობით ოც წუთში ფეხით რომ შემოვუბრებდი ხოლმე. მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ ბაკურიანს თავის გარეუბნები გაუჩინა — მუხერის დასახლება, ფაბრიკის უბანი, გაზაფხულის ქუჩა, თავტიტველა და ასე შემდეგ. ზოგადად, კურორტებზე დასვენებისას, მე ასეთ გარეუბნებს ვირჩევ ხოლმე — კერძო სასტუმროთი და წყნარი გარემოთი, მაგრამ იმ წელს, სტუმრების ხათრით, სათხილამურო ტრასასთან ახლოს დავბინავდით.

ჩვენი სასტუმრო ავსტრიელებმა ააშენეს ისევე, როგორც ბორჯომის პარკთან „სათის სასტუმრო“ — ასე მას ადგილობრივები ეძახდნენ. თავის დროზე ეს სასტუმრო („Mukheri Volcano“) აქაური ინფრასტრუქტურისგან ისე იყო ამოვარდნილი, როგორც ჩოხის ქამარზე დაკიდებული iPhone-ი, მაგრამ მთლიანად ბაკურიანის განვითარებამ ყველაფერი შეცვალა და ახლა ერთ რიგით, მაგრამ ძალიან გემოვნებიან „Hotel“-ში ვისვენებდით.

სასტუმრო „Mukheri Volcano“ გირჩის მურაბის ქარხნის დირექტორის ვასო ხეთაგაშვილის საკუთრება იყო. წლების წინ ვასოს დახლი ჰქონდა ბაკურიანის ცენტრში და ცოლისა და სიდედრის მოხარშულ ოჯახურ გირჩის მურაბას ყიდდა, მერე კაცს ტვინი რომ გაგინათდება თუ რაღაც ახალი რომ დაიწყება, მცირე სანარმო გააკეთა, ახლა კი იმხელა ქარხანა ჰქონდა, ცალკე უბანიც კი აშენდა მომსახურე პერსონალისთვის.

ვასო ძირითად დროს სასტუმროში ატარებდა, ძველი ყაიდის კაცი იყო, კილოც კი ისევე ბაკურიანელი ჰქონდა და სტუმრებს ყოველთვის თვითონ ემსახურებოდა. დროების ცვლილებამ ის კი ასწავლა, რომ მასპინძლობა მხოლოდ ხაშლამა და მწვადი არ იყო და სერვისის თავისი წესები ჰქონდა, მაგრამ ფამილარობას ვერ გადაეჩვია. ერთხელ ისეთი დაჰკრა ბეჭებზე ხელი ჩემ იაპონელ კოლეგას, რომ ამ უკანასკნელს სულ დაავიწყდა წერაც,

კითხვაც და მგონი, საკუთარი ეროვნებაც კი, არადა ბევრი კი არაფერი — ვასოს ვუთხარი, იაპონელი მწერალი მყავს სტუმრად, ბრონქებისა და ფილტვების სამკურნალოდაა ჩამოსული და მოთხრობას წერს ბაკურიანზე-მეთქი.

როცა „Check-in“-ს ვაკეთებდით, ვასო მოვიკითხე. გამიკვირდა, სასტუმროში რომ არ იყო. რაც ქარხნის მართვა შეილებს გადააბარა, ცოლთან ერთად სასტუმროს არასოდეს სცილდებოდა. სამწუხაროდ, ცუდი ამბავი დამახვედრეს, ვასო მასში გარდაცვლილიყო.

ბაკურიანიდან ბორჯომი რაღაა, უფრო ახლოსაა, ვიდრე გლდანთან ფონიჭალა, განსაკუთრებით თუ ახალი გზით მიდიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც „კუკუშკით“ ვიმგზავრეთ. „ჩუქ-ჩუქ ტური“ ასე ქვია ახლა ელექტრომატარებელს, რომელიც მხოლოდ ზამთარში აღარ დადის და ბაკურიანიდან ბორჯომამდე 43 წუთი ჭირდება. ამ ელექტრომატარებელზე ბაკურიანის ერთადერთი ფერადკანიანი მოსახლე — ტაირონ სკოტ ჯეიმსი, მეტსახელად „სიდი“ მუშაობს. ტაირონი ექვსი გოგოს მამაა, მეტსახელიც ამიტომ შეურჩიეს და არა იმის გამო, რომ ბაკურიანელი ცოლი ყავს, როგორც მე მეგონა თავიდან. ტაირონის ცოლიც აფროამერიკელია, რვა წლის წინ საქართველოში დასახლდნენ და შუათანა ქალიშვილის ჯანმრთელობის გამო ბაკურიანში სახლი იყიდეს. ჯესიკას „bakery“ აქვს ბაკურიანის ცენტრში და სხვა გემრიელობებთან ერთად ტრადიციულ ამერიკულ „Twinkies“-ებს აცხობს. და უკვე ისეთი პოპულარულია, რომ ამ „Twinkies“-ის დაგემოვნების გარეშე ბაკურიანის დატოვება ეგვიპტიდან სინას მთის ნახვის გარეშე ნამოვლელა ან ვევედან ჩაპონისის ქანდაკების უნახავად დაბრუნების ტოლფასია. მეტიც, ჯესიკას „Twinkies“ სასტუმროებს ღირსშესანიშნაობებში შეყავთ და ქალაქის მერი „ბაკურიანობას“ უზარმაზარი „Twinkies“-ის გაჭრით ხსნის (ღამის).

ბორჯომი ზამთარში არ მინახავს და, შესაბამისად, არც მიყვარდა. სტერილიტიზებული ნარმოდგენა, თითქოს მსგავსი კურორტები მხოლოდ ზაფხულობითაა კარგი, ნამში იმსხვრევა, როცა „სერნი ვანებისკენ“ მცირე ზომის ელექტრომობილებით მისიერნებ და დათოვლილი ტყის მასივის ქვეშ თავი ძლივამოსილი არარაობა გგონია.

„სერნი ვანები“, როგორც მას დღემდე ქვია, წინა ზაფხულს გაიხსნა საზეიმოდ და ის ერთმა ადგილობრივმა ბიზნესმენმა დააფინანსა. ორი მოზრდილი და ორიც მომცრო ზომის აუზი, ბილეთის ფასის მიუხედავად, ზამთარშიც და ზაფხულშიც სავსეა და, როგორც ვიცი, მეპატრონემ რამდენჯერმე მიმართა ქალაქის ადმინისტრაციას თხოვნით, ნება დართოს აუზით სარგებლობის ფასი კიდევ გაზარდოს, რომ მომხმარებელთა რაოდენობამ მცირედით დაიკლოს. აუზები ბორჯომის „ჯემალ ქარჩხაძის სახელობის“ სკოლის გახსნას დამთხვავდა. ეს სკოლა დღეს-დღეისობით ყველაზე მაღალრეიტინგული და, შესაბამისად, ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირველი კერძო სკოლაა, სადაც ბავშვები კვირის ხუთ დღეს სასწავლებლის ტერიტორიაზე ატარებენ და მხოლოდ ორი დღე ბრუნდებიან მშობლებთან. სკოლის გახსნაზე ბორჯომის პარკში მატისიაჰუმ (Matisyahu) იმღერა და სწორედ ამ დღეს მოხდა, ჩემი თანამშრომელი რომ დაიჭირეს, „სერნი ვანებზე“ ყვირილი ატეხა, ელტონ ჯონთან ერთად აუზში არ ჩავალო. ეს „ელტონ ჯონი“ კი არც მეტი, არც ნაკლები, სკარლატის საუკეთესო ცოცხალ შემსრულებლად აღიარებული ვლადიმერ ჰოროვიცის შვილი, კუზმა ჰოროვიცი (მამაზე არანაკლებ ნიჭიერი პიანისტი) იყო. რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე — მამა ჰოროვიცი მთელი ცხოვრება იმას ამტკიცებდა, ჰომოსექსუალი არ ვარო (თუმცა მისი ცნობილი ხუმრობა — „არსებობენ ებრაელი პიანისტები, ჰომოსექსუალი პიანისტები და ცუდი პიანისტები“ — გახდა მიზეზი იმისა, რომ ცნობილმა ებრაელმა შემსრულებელმა სამწლიანი ელექტრომუსიკური თერაპიის კურსები გაიარა მიჩიგანის საუნივერსიტეტო კლინიკაში) და იგი



ვიგონაჲ ჩემს კურსკელას

დებო – ირა და რუსუდან,
სუნთქვა მეკვრება, ნასვამს...
იმ კურთხეულმა უფალმა,
თქვენზე საცრემლად დამსვა.

რა გოგოები იყავით,
ახლა დამყურებთ ციდან...
გულნარა, ლია, ფიქრიავე,
თქვენ რაღა მოგივიდათ?!

ვაჰმე, სად ჩაექანებით,
წუთისოფელი მძარცვავს...
რამდენი წელიწადია,
თქვენსას ვერ ვისმენ ტკარცალს.

გაგისხენებთ და მაშინვე
მხარზე მაჯდება მტრედი;
ერთად დავლაშქრეთ ვარძია,
სამშვილდე, ფიტარეთი.

ბიჭებსაც არა გვიშავდა,
შეთხელდა ჩვენი რიგი...
ნიგნის ვიცოდით ყადრი და
ხელში დაჭერა ჭიქის.

გველოდა რაჭა-ლეჩხუმი,
სვანეთი – ზემო, ქვემო...
სადღა რეზო სირაძე,
მალაფერიძე თემო?!

წუხილი, დანად გაჩრილი...
არ გავჩენილვართ ლაჩრად,
ზაფხულში, ანანურისკენ,
მთვრალეებს გვიყვარდა გაჭრა.

ზედაზნის თავზე, მთვარიან
ლამის მოგვიხდა თევა...
სურათი, ლელვა ამდენი,
რა გულში დაეტევა?!

თავზარი, მეხიცი რომ ჰქვია,
რამდენჯერ დამეხალა...
დავცალე თასი სიმწრისა,
დავიარები ცალად.

უნივერსიტეტს, ჩვენს „თეთრ სახლს“,
ვლოცავდით, ნადიმს ვწევდით...
ვაი ამ ყოფას, რაღა ვქნა,
დამძიმებულმა სევდით?!

სულს ვუბერავდით ერთმანეთს,
და-ძმობა გვექონდა ნაღდი...
მე და ჭიქაც რა მწარედ
დავებრდით, დავფახფახდით.

ადრეც ვშოთავდი და ვქმენდი,
ღმერთო, დიდება შენდა!
სიყრმის მზე, თავანყვეტილი,
რა იქნა, სად გაჭენდა?!

შეამოღოების ფრთოსნები
მონადირული

ნეტავი თავად იცოდე, სთველო, რარიგად გშვენის,
ფრინველნი, დასავლეთისკენ, გუნდ-გუნდად
გადამფრენი,
ლაჟვარდში უწევთ გაქრობა, ასე დნებიან დღენი.

გომბორი გადმოულახავთ, მალევე მივლენ ლიხთან,
მეც მსურდა, უნა გამეგო – გარეულ ბატთა, იხვთა,
მთა-ბარისას რომ უბნობენ, ჩემი მტერი ვერ მიხვდა.

ნუ დაიზარებთ, შეხედეთ, ეს ხდება ადრე დილით,
მუნამულ მზეში ნავლები, ცა როა მონმენდილი,
მიფარფატებენ, თვითეულს, მისი მიჰყვება ჩრდილი.

თავზარდაცვალი უბედურება
ძმები სულაკაურების დატირება

ეტყობა, მართლა გაგნირა ბედმა,
ჩვენი მოდგმავ და ჯიშო,
საშინელებას ვინ თესავს, ამდენს,
გადავშენდებით, ვშიშობ,
შტორმში ეძებენ დამხრჩვალს, გაყინულს –
ლაშას, არჩილის პირმშოს.

დარტყმას, ზედიზედს, როგორ გაუძლებ,
გული რომც გქონდეს კაჟის,
თუ არა დაუნდობელი ხვედრი,
ასე რა გვიძირკვავს მაშინ,
ვაჟკაცი, დინჯი, რამ შეიყვანა
აგრიგალებულ ზღვაში?



ემზარ კვიციანი

მომელანდება ხელაპყრობილი,
გაოგნებული გიგი...
შემირცხვინია, წუთისოფელო,
შენი წესი და რიგი,
სულ შესანდობარს როდემდე ვსვამდეთ,
გალიცილიცებულ ჭიქით?!

დავინწყავს არ ნაზღაპა

თავშენიწული მეოჯახე

დღემდე ასე გრძელდება. დაუჯერებელი და
საკვირველი რამ არი. მიხარია ოდეს –
ელექტრონის ქვითარი, ამდენი ხნის გარდაცვლილ
დედაჩემის სახელზე, ინერება, მოდის.

საცოდავმა გოგუცამ თუმც ვერ შესძლო მოცემა
სწორუპოვარ განძისა – მუდმივ სიჭაბუკის;
თვითონ ჩალუსკუმდა და ჩემზე ჯავრობს, მიგზავნის
(ბნელის გასანათებლად) ოქროს თაველს შუქის.

იყო დრო, განაგებდა – იატაკის მოხეხვას,
რეცხვას ჯამ-ჭურჭელისა და სკამების ხრიგინს;
დარჩა ერთი კანტორა ანუ ერთი უწყება,
სადაც, კვლავინდებურად, ცოცხალია იგი.

კუპიის მონახულება

რამდენი გული ფეთქავდა, აქ რო მარხია ახლა...
გადაბურულა, მყუდროა მინა, ქცეული სახლად.

გზას ღობავს ეკალ-ბარდები, სხვას რას ელოდი ანკი;
მინდორს – ველური ბალახი, ხსოვნას ედება ჟანგი.

ასკილის მტვრიან ბუჩქებში, ფოთოლიც ვიცან წყავის...
ნომბრის სასაფლაოზე იასამანი ჰყავის.

გაზაფხულიც ვერ აღვიძებს, ვინც ასე დაიძინა...
შავი ჯვრები და ცემენტი, მარმარილო და რკინა.

ნოემბრის მოლოდინი

საძნელოა გამაგრდე, დროთა ბრუნვა იცი რო;
გიჭირს, შემოდგომიდან, ზამთარში ჩაიძირო.

ნისლით თავის მობურვა იწყებს შორმა ქედებმა;
ბეჭებზე ტყვიისფერი ღრუბელი დაგედება.

მოკუნტული, საბანქევშ, მალე იტყვი: ცოდო ვარ!
ალაგ-ალაგ, მალლობზე, ნამოფიფქა, მოთოვა.

ზოგჯერ გულჩათხრობილო, ზოგჯერ – ენაკვიმატო,
შენი თვეც მოგადგება, წელი რომ ნაგვიმატოს.

ნიფლნარში გახლართული მსათოგი

ალისუბანი

დღე ჩამაღდა, მთელ ღამეს საღლა არ ვიარე...
ერთადერთი ნაცნობი, ტყეში იყო მთვარე.

უსხლტებოდა, დროდადრო, გაშლილ ტოტებს ხეთა...
სიზმარს გავდა იმისი უცებ გამოწყეცა.

იმ შუქს გაუბედავი ნაბიჯები ვანდე;
გამოსროლილს გვერდიდან, აგრძელებდა ლანდებს.

ტანს კლაკნიდა ბილიკი, ვინრო, ოკრო-ბოკრო;
ფარისებრი, ბრიალა, მამრმავებდა ოქრო.

ნაბლს, გაბუძგულს – წინბო, ასკილს ცვლიდა პანტა...
ვიცოდე, ის სიზმარი დიდხანს არ გასტანდა.

იქედან რომ დავბრუნდე, მე ვიქნები ბეცი –
იმ ზღაპარში მეორედ თუკი მოვექეცი.

უხვი, სხივთა მთოვარი, იგი ახლაც ელავს;
მიტომაა, ყველაფრით რომ გავს ღვთის ნახელავს.

ერთი საღინარი

კენესას, გულსაკლავს, გამოსცემს სიმი,
აგვისტოს მზეში სული დამითვრა...
ვინ იქნებოდა მტვირთველი იმის,
რაც მანდო მამაჩემმა, დავითმა.

გიმზერო, მერევა დღეების რიცხვი,
ყვითელი, გაღლაბნილი ლაქებო!..
თვით მიმახვედრებს (სხვა ძალა მიძღვის) –
ხმებს, ციდან დაძრულს, რა შევავებო.

მწვანე ფოთლებში ამონათებს
ვარდები, ამოყრილი კოკრებად;
მეც ჩემსას მოვითავებ მანამდე –
მიყვარს ყოველის ერთად მოკრება.

ჩამოსანარნი

ლექსი მოსპო, შეჭამა – ქცემა, იგივე მუნმა;
მოგონილი წუხილი, საჭოჭმანო ჭმუნვა.

სხვათა გასაოცებლად, სხვათა გასაკვირად –
გაჭიმული უნიჭოდ, შპაგატი თუ ყირა.

ჯართს — ჟანგიანს, ახორხლილს, ვერ ახიკავს ამნეც...
მუსიკისას, წამლადაც, ვერ მიაგნებ ნამცეცს.

მომჯავველი ჯავჯავი, დაფეხვილი ფრაზა,
პოეზიად საღდება, გვატენიან რასაც.

ძნელი მისახვედრია, თავი მოსწონთ რითი;
იგვიანებს, უგვანოდ, მათი პანაშვილი.

ჭირნახულს ვერ ვუვლი

მეც ვყეფდი, ყოფა ჩამეშხამაო,
თანაც ვიქცევიდი თავს რალაცათი...
არად მწამს ტვინის წყლელთა, ამაო,
გავყვები იმ კვალს, რაც მაქვს ნაცადი.

მუხლამდე დადგა ხვავი მოსავლის,
რა მრჯის, სათქმელი გამოვიგონო?!
აბრიალდები, კვლავ, ბრელოსავით,
უბრალო, მოღვედილო სტრიქონო!

შენამების ნიჭუა

შემოდგომის სურათებიდან

ღამე იყოს, გინდა – დღე, არ შეეცდები, მგონი,
არ არსებობს, ვირწმუნე, ცისნაირი ფონი.

ნატვრას, სურვილს ამიხდენს თუ ისურვებს ზენა –
დახატავდა თვითონ ცას, შენი გამოჩენა.

ბნელა, არ დაგაბნიოს – შესახვევმა, ჩიხმა...
დასავლის ცა, ლურჯ-მწვანე, კვიპაროსის მიღმა.

ამოსათქმელს, სახილველს, მისხალ-მისხალ ვნონი;
ვურჩევ, მისი ჭირდება, ყოველისფერს, ფონი.

აპოციფიკა

მეჩვენება – შემოდგომა ვებერთელა ქვაბია;
ჯვალოსფერი, დაჯირჯვული, გულზე ჯავრი მაბია.

ქვებს, გამურულს, ალი ლოკავს, გავიხარო რად არა...
თაფლზე ტკბილი, მოთუხთუხე,
ბუშტებს ისვრის თათარა.

ვფეთდები, არ დავიმდულრო, თვალი იქეთ მიმიდის –
ნაკვერჩხლებზე ტკაცუნობს და იბრანება სიმინდი.

ამ ზღაპარის შემხედვარეს, რას დამაკლებს ნკვარამი;
ეს მქონდეს და მონატრული არ ვიქნები სხვა რამის.

დავინახე – ნისლი ბურავს შავშეთის მთას, არსიანს...
ჩემი გამომჩინებელი, ნოემბერიც კარზეა.

ვერვის ივიწყა...

სოკობედას დაემსგავსე,
ასკდები კედლებს, ასაკდები...
ბებერო, დროზე გაუტიე,
არ გახდე ვინმეს ასაგდები.

არავის წინ არ მოკაკეულხარ,
არ გიკისრია მონად რება;
გადაგელობა, ბოლოს გიღებს,
ის შენი სენი – მონატრება.

ურცხვად, როყოდ, რიყის ქვაზე,
აროდეს გითქვამს – ამარტია.
არ მოიძულო მარტობა,
სხვას უარესი დამართია.

განკარცულის ნუსილი

დაგაბრმავებს, სილამაზის ცოტა რამ გამეგება;
რას შემატებს შემოდგომას, ჩემებრ საწყლის შექება.

სადაცაა, გადაბუგავს ნეკერჩხალის ლადარი...
რას გაგიმხელს, ასე ვისგან არის დანახატარი.

გზისპირს ნითლად ასევედებს, რა სურათებს მისევდა;
ოქროცოცხას ჩაკონილი, თრიმლი ინვის ისედაც.

მალე ქარის, აწყვეტილის, გაისმება გოდება...
ზღაპარია ტყე, ფოთლისგან ვიდრე გაიჩხოტება.

რა ილონოს, ვისაც წლებმა ყველაფერი მოპარა...
თუ მიკადრებს, მზად ვარ კვლავაც – მისდა
შესამკობარად.

იშვიათი შამთხვევა

კაფელზე არეკლილი გამოსახულება

ისე ვჩანვარ ამაღამ, როგორც ადრე ვჩანდი;
ბებერს არ გავეს კედელზე თავდახრილი ლანდი.

განმაცვიფრა იმანაც (აქვე ვიტყვი ბარემ) —
დავაკვირდი, არსად ჩანს ჩემი სიჭალარე.

სილუეტი, გართხმული, ნაოჭებსაც ჩქმალავს;
გეგონება, რო მქონდა, იგივე მაქვს ძალა.

შავ არძაზე, დროდადრო, ყვანჩალები სხედან;
იშვიათად მომხდარა – ასლი ჯობდეს დედანს.

გარიგება

კოლხური მოტივებიდან

„ათას მანათ ფარას მერჩანქ, ცხენს დო ონანგერსია...“
გითხრა კაცმა, გაანზილვე, დაჰყოლოდი, გერჩია.

გიყურებდი, გამიკვირდა, დავრჩი განაოცები;
ჯიმა, დამიჯერე, მეტის, არვინაა მომცემი.

ამაზედაც ხომ შეგეტყო – ხარბი ხარ და მსუნაგი;
სხვაგან ნავა, სხვას შეაძლევს შავრასა და უნაგირს.

ჩავბლუჯავდი მე იმ ფარას, რო მექცია ვენახად;
ასეც, ისეც, აჯობებდა, ჭკუა არ დაგენაყა.

დაიგმინებს გული შენი, დახშული, დაგმანული...
ნაგებას ხარ: „ოუ, ნანა, ოდელია-რანუნი!..“

დამიხატა მაგ სიმღერამ – ქალი, მერე რა ქალი!..
დღემდე ვნანობ, მე რო იმას თავი არ შევაკალი.

სადაცაა ჩაქანება

მითრა

წელს ვერ ზიდულობს, მზე მეცოდება –
ქანცმილეული, მთა-მთა მბობლავი;
გამგუდავს, შემაქანებს გოდება,
უკან სამსხვერპლო ხარი მომბლავის.

თუნდ სულ ვიძახო „გვალე და გვალე“,
ამირანის სულს ვერ შევეხები;
სამაგიეროდ, ვიხილავ მალე –
დასავლეთის ცას, სისხლით შეღებილს.

ქართლი გზიდან

ზამთრისპირი

მოოქროვილნი, მალლობზე დგანან,
მე ვეფერები სურამის ფიჭვებს;
არაფერს არ ჩავიდენდი სანანს –
მთელი ცხოვრება მათ ჩრდილში ვინვე.

მშვენიერია მიდამო, ჰავა,
ფერდობზე თოვლი დევს გასალხობი...
სურამი იყო (შიამბო თავად) —
სავანე დედაჩემის ბალლობის.

ფრინველები დასავლეთისკენ მიქანებიან

ცა, გეგონება, გრძელ ქამანდს იხვევს,
რა უცებ, მათი მწკრივი იღვევა –
თვალს გავაყოლებ გადამფრენ იხვევს,
მიშრიალებენ შავ წერტილებად.

მკერდს მიუშვერენ აშვებულ ზამთარს,
სიცვიე მათაა ნვერებს მონისლავს...
მამშვიდებს, მუდამ ასეთად მწამდა –
დილა გვიანი შემოდგომისა.

შემოღამება ქალაქბარეთ

დედათა მონასტრისკენ მივისწრაფით

გავშორდით კრწანისს, გაქრა კუკია.
შინდისის გზაზე მთის ჩამუქება.
ჰაერის ჭავლი რა მსუბუქია,
რამდენი რამე მრჩება უქებლად.

ესეც შენ, რადგან ელტი მარადულს...
სურვილზე ძნელად იტყვი – დაძველდა...
ლხინიც ბეზრდება სულდგმულს, არათუ –
სულ მწუხარება და გულდანყვებთა.

რა ღაიცდის მანამდე?!

„ცოტა კაცია ამირან...“

თუ გაიხსენებ, მოგმართე ადრეც,
კეთილო უფლისწულო, დოფინო!..
სულს, გაძალღებულს, ძალათი ვათრევ,
შერცხვებათ, ისე ცოტას ვყოფინობ.

მირჩიე ბარემ – სად, ვისთან დავდო –
გამნითლებელი ჩემი ბრალდება;
ვგონებ არ ვგავარ აბუზარ ავტორს,
ბოლოს ნახავენ, ვინ ზარალდება.

გაუჩინარების სურვილი

ჩამოთოვილი ქედები სდუმან...
შემიყოლია ფიქრმა, ეგეთმა –
მათრობელ ზამთრის დადგომის უმალ,
კუთხის ოთახში მიყვარს შეკეტვა.

მძიმე საბანი მინდა მხურავდეს,
ძილი მერგება წესით, რიგითაც;
მარტის ბოლომდე, გაზაფხულამდე,
თავს არ გამოვყოფ, მერე, იქიდან.

ვიბრძენი სუსხი

გაშიშვლებულა ვაშლი, ბია,
ცას გადაეკრა რუხი ფერი;
ქარის ქრიალზეც საცნობია,
ძალას რომ იკრებს დეკემბერი.

ზამთარი ჩადგა ჩვეულ წრეში
და ფსკერი დაეწმინდა წყაროს;
არ დაინანებს, გარდა ხრეშის,
ხვრში ფიფქებიც მომაცაროს.

იოლად ვერაფერი მომერკვა

დამხედონ, სხვანაირი კარტი ვარ,
თან დასაშლელი არა ვარ ტივი,
არ გავიჭრები ისე მარტივად,
ვერც დამკეცავენ კაკლის ნარდივით.

როგორ ჩავიკრა, რაც აღვიძარი,
რარიგად შევურიგდე მღვიძარი –
გასარინდავად, გაურანდავი,
ზურგზე ამეკრას კუბოს ფიცარი?!

ამ არ დამედგომება

ბიბლიური მოტივი

ასე ვენვალე უწინაც... დამციმციმებდნენ ცანი;
წნორის კალანჩხას მივენდე, ირგვლივ შემოვიწანი.

ციდანვე ჩამონურული, წვეთები გავდა აღმასს...
ვთქვი: გამიტაცოს მდინარემ, ადიდებულმა წყალმა.

შავ შლამს გავცდები, ნითელი,
ვერ ამომგლისავს თიხა...
დამარწვეს ტალღა ლურჯ ზურგზე,
თუ სადმე არ გამრიცა.

ცოცხალმა, რარიგ ვინდომო სამარადისო ძილი?!
ქროლვას გავყევი ისარი – შორეთში გატყორცნილი.

ნაპირს ვეხლები, ახლავე მესმის დუდუნი, დუნე...
აქედან დაძრულს, რომელი ჩამიკრავს საუკუნე?!

გოტრფიდ პანის ისსაეზის კითხვისას

დაგათრობს, ხილვებსაც დაგასევეს ფერადს,
გაცურე მორევი, ჩაუდგი ფაცერი;
არ შეცდე, არასდროს შეხედო ცერად,
სხვა მადლი დაჰყვება პოეტის დაწერილს.

გამაცოცხლებელი გარდასულ ჟამთა –
საუკუნეებთან კვეთება ჯიქური;
თვალწინ დაგიყენებს გაზაფხულს, ზამთარს,
ახლაც მოგალანდა ის ცა, ანტიკური.

მელნისფერს რომ იკრავს, იმ ზღვაში შეხვალ.
სპარსთ მეფის ლაშქარი. იცან შორი ელდა.
საომარ ეტლების გრიალი, ჩეხვა.
ზნე და ქმედებანი პირქუშ დორიელთა.

აქედანვე ვეზალები

არ დამჭირდება არც ნილაბი და არც პირბადე,
ალარც ის ვიცი, რა მაკლია, სიკვდილს მივებარდე.

სიცივის ჭანგი, გაბასრული, გულზე გამედო,
სანუგეშებელს ვერას მეტყვი, ვგრძნობ, ყიამეთო!

მასწავლე რამე, არყოფნასთან შესარიგალი,
ამომიშენო, ნუ იკადრებ, ყორე, ფიქალი.

სიბერის დამძლევს, სად მივავნო წამალს, უებარს,
ძილთან, სასრული რომ არა აქვს, ჭირს შეგუება.

უცნაური არსება

ბოსხის სურათიდან გადმოსული

ზეთში გავლებულს უგავდა (შეგკრთი ამისა გამო) —
ქუთუთოები ნითელი, გველივით უწამწამო.

თვინიერს, დამყოლს არ გავდა, სხვაგვარი ეკრა დამლა,
შუბლ-სახეც ეხამებოდა მრგვალი თვალების ხამხამს.

ცივს, უძრავს, რა დაალტობდა,
მომწუხსხველ მზერის სალტეს!
ერთხანს ისიც კი ვიფიქრე, ვაითუ გასრიალდეს.

არ ამიღია ქვა, სიპი, აბჯარიც არ ავისხი;
გამოვტრიალდი, ოდნავად არ დამტყობია ზიზღი.

შემოდგომა აჩქარდა

გინდ გადახტი წყალში, გინდ — ბორბლებს შეუვარდი;
ნოემბერი ფოთლების დაყრაშია მარდი.

ვინ მიტეხა პირი და ვინ – დამიდო სარმა;
საფეთქელთან, წელანაც, კლანჭი გამკრა ქარმა.

არ ვარ გამონკეპილი, არც მივლია ნკიპად;
ბევრი შემხვდა, უფრო მეტს ველოდები ხიფათს.

პირიქეთში გაპარვას არ ვაპირებ ჯერეთ;
გინდ დამტოვეთ თქვენს გვერდით,
გინდათ – ჩამომწერეთ!

მოქმედი პირები:

1. ლუკა
2. დაყმევებული — (სასურველია, ლუკა და დაყმევებული ერთმა და იმავე მსახიობმა ითამაშოს)
3. ლუარსაბი — ლუკას მეგობარი
4. ნიკა — ლუკას მეგობარი
5. მიხო — ლუკას მამა
6. მაგდანა — ლუკას დედა
7. მაყვალა — ლუკას შეყვარებული
8. მართა — მაყვალას დედა
9. შაქრო — მაყვალას პაპა

(ისმის კახური ჩონგურის შორი, ერთ-ვეროვანი ხმა).

ლუარსაბი — (ინყებს მშვიდი, ტკბილი ხმით, თითქოს ბავშვებს ძილის წინ ზღაპარს უამბობდეს). ამბავი, რომელსაც ეხლა მოგიყვებით, მთლად ისეთი ძველიც არ არის, ლელთ-ლუნია რომ ამბობს, მაშინ ვაჟი ვაჟაბდის და ქალაი ქალაბდისო, მაგრამ ვერც იმას იტყვი, გუშინდელია... ეექვ, იმის მერე იორშიც და ალაზანშიც კაიძალმა წყალმა ჩამოიარა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, სხვა ქარი მიქროდა და მჯეროდა, დაბანილ-დასუფთავებულ-დავარცხნილ მინას ერთთავად მზით გაჩახჩახებული კრიალა ცა დაჰყურებდა და ირგვლივაც სულ სიკეთით სავსე, მჩქეფარე სიცოცხლის მოყვარული ხალხი მეხვია, რომლებიც სხვათა სიხარულს საკუთარი სიხარულისგან ვერ არჩევდნენ და სხვათა სიკეთით ნეტარებდნენ. რა იყო მაინც, შა, ზოგჯერ მგონია, მცირე ხნით ჩამთვლიმა, ჩემი ახალგაზრდობა დამე-სიხმრა და უცებ უკვე ხანდაზმულს გამომეღვიძა-მეთქი. აღარც კი მჯერა, მე თვითონ თუ ვიყავი ამ ამბის მონაწილე.

(*ჩონგურის ხმა თანდათან კლებულობს და წყდება*).

მოგესხნებათ, მაშინაც და ეხლაც ზაფხული ჩვენში ცხელი იცის, მაგრამ იმ წელნიანდ მაინც სულ სხვანაირი პაპანაქება დაიჭრა — ბოტრო, ბულიანი — ჰაერში დატრიალებული ალხისაგან იქით კავკასიონი აღარ ილანდებოდა და აქეთ კიდევ იორის ზეგანი. შებეზრდა ხალხი, ცერად დაიწყო ყურება გათეთრებული ზეცისაკენ. ჰეეე, ჯერ თურმე სად იყავი, მკათათვეზე უარესი მარიაშობისთვე გამოდგა, იმან მთლიანად მოგვითავა ხელი. ჩაკვდა, ჩაიხარმა სოფელი, დღისით აღარავინ გამოდიოდა გარეთ, თუ ვინმე თავმოქმედებული გამოჩნდებოდა, ისიც გრილო-გრილო დაიპარებოდა და ლობებებს ეგლისებოდა.

ხალხი მაინც ტოკავდა, ჩუჩუნებდა, სულს იბრუნებდა, ბახტურიძიანთ ბოსტიდან ბავშვის ტირილი ისმოდა, ვილაცა თუ რაღაცა ნასყიდას ძალს უნადინო ღვავის საბაბს აძლევდა, მიხოს ეზოში, მსხალზე, ჭიანჭველურა ჭიჭინაზე სქედებოდა, მსხლის ძირას კი ლუკა იჯდა და გაშტერებული დაჰყურებდა ჭიანჭველას, თავისზე ხუთჯერ დიდ ტვირთს ყოველგვარი ურიკისა და კურტნის გარეშე რომ მიათრევდა შინისაკენ.

ჰო, დაჰყურებდა, მაგრამ ვერც იმ ჭიანჭველას ამჩნევდა და ვერც სიცხესა გრძობდა, ორ კვირაზე მეტი იყო, გუნება ჰქონდა ნაშხარი, აღარც მუშაობა იზიდავდა, აღარც — სმა-ჭამა და აღარც — გართობა-ხადილობა. ლუკას უგუნებობადა უნდოდა ისედაც სულმხუთულ სოფელს? დღისით ხვატისაგან ნიათდაკარგულმა საღამოობითაც მოიწინა, უხალისობით მთლად ჩამოყარა ყურები.

კაცო, ეგეთი რა ეძგირა, ეგეთი რა ანანდეული სატკვიარი გამოყვარდაო?! — კვირობდა დიდ-პატარა. ამან ესა თქვა და იმან ისა, მთის იქითურსაც გადასწვდნენ და მთისაქეთურსაც. ჩხრიკეს, იკვლიეს, იძიეს და მაინც რომ ვერაფერი იგუშანეს, განბილებულები დაღუმდნენ.

ადრეც მითქვამს, ლუკასნაირი ჩონგური სოფელში არავინ იცოდა. უიმისოდ ლხინს ლხინი არ ეთქმოდა და გართობას — გართობა. დაკვრით ხომ საუცხოოდ უკრავდა, ხმა კიდევ უკეთესი ამოსდიოდა ყელიდან — ისეთ სიმღერას იტყოდა, მიჯნურობის აღწაკიდებულ ბულბულს გაჩუმებდა და დამორცხვებულს მისვამდა ვარდის ძირში.

მაგრამ რად გინდა, აგერ ორ კვირაზე მეტი იყო, აღარც ჩონგური აელო ხელში და აღარც სოფელში გამოჩენილიყო.

სხვებზე უნინ მშობლებს ეკუთვნოდათ შეფიქრიანება და შეფიქრიანდნენ კიდევ



ანგელოზის ფრთის ქვეშ

რადიოპიესა

ვაც. ჯერ შორიდან უთვალთვალეს, გარშემო უტრიალეს, უდარილეს — ეგებ მივხვდეთ, რა დაემართათ. მერე ეფერნენ, ეგურგურნენ, თაფლად დაეღვარნენ — თვითონ გვეტყვის თავის სატიკვარსო. გაგიგონია! ვერაფერი დააცდენინეს. ბოლოს იფიქრეს, ამაზე უკეთესს რა წამალს მოეუნახავთო და კაი სადილი გაუნყეს. ყოველ შემთხვევისათვის ვაქირიდან ქალ-სიძეც დაიბარეს, ლუკასთან სიტყვა ეთქმით და საქმეში ხელს თუ არ წავგავშვებენ, წახდენითაც ხომ არაფერს წახხდენენო. მაგდანამ ერთი ბენჩივით დედალი დააკვლევინა ქმარს, მიხომ, თავის მხრივ, ქვევრს მოხადა თავი. იშტის მომგვრელი სუფრა ნორთავათი დაამშვენეს და თავში ლუკა მოუსვეს. არც ამან გასჭრა — ორი-სამი ჭიქა დალია ძალისძალად, მერე შეიკრა კაპინი და ვედარც ლუკმა გადააცდენინეს და ვედარც ხმა ამოაღებინეს.

ფუჭად ჩაუარათ სამზადისმა, ჩაუამე-ბულები, მოქრუშულები აიშლნენ სუფრიდან.

ქალ-სიძე რომ გაისტუმრეს, მიხო და მაგდანა ერთმანეთს იმაზე წაეკიდნენ, ჯერ ექიმი მოვგვაროთ და მერე მკითხავთან წავიდეთ, თუ ჯერ ვამკითხავებინოთ და მერე ექიმი მოვგვაროთო. დარიფენ, შეჰყვნენ ერთმანეთსა და მაგრად იჩხუბეს. იმათი ხმა ალბათ საქობში ჩადიოდა. შეყვლთებული მიხო დინგაზე გამოვიდა, ცოტა გულს გადავყალობო. იქ კი ბედად მე და ნიკა, ლუკას ძმადაცავი, დავხვდით, შვილის მაგივრად ის გავიამხანაგეთ და ის გავიყოლიეთ იფინანებში პურის საჭმელად.

(*ისმის და თითქოს არც ისმის ნაკადულის რაკრაკი, ჩიტების ჭიკჭიკი, სიოსაგან ანათრთოლი ფოთლების ხმიანობა... იგრძნობა, რომ ბუნებაში არიან.*)

ნიკა — მიდი, მიდი, დალიე, მიხო ძიავ, გულიდან დარიფე დადგეყვება.

მიხო — ნუ დარდობ, ნიკავ, მე დალევაზე პატივი არა მჭირდება.

ნიკა — ეგრე, ეგრე, ჯიგარი ხარ, მიხო ძიავ.

ლუარსაბი — (ინყებს სიმღერას) სმა უმღერალი არ ვარგა, ვაჟკაცი დაუთრობელი... (ხმარეულად ასდევნენ ნიკა და მიხო) ფუფუჰ, არა, რაა, არ გამოდის. კიდევ კარგი, ჩვენს გარდა არავის ესმის.

ნიკა — ვაჰ, შენც რაღა ამ სიმღერას ჩააცივდი, ლუარსაბ, სხვა სცადე რამე, უფრო იოლი.

ლუარსაბი — კაი, ბატონო, სხვა იყოს, რაა. აბა დავიწყეთ — პურსა ჰჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცე, ვისა მგლოვობენ, არ ვიცე, არ იციანოო... (ისევ არეული, შეუწყობელი ხმები). ნიკავ, რა ღმერთი გინყრება, ამხელა კაცმა წესიერი მეორე ვერ უნდა თქვა?!
ნიკა — ვაჰ, ეხლა მე დამაბრალებ! ძალა ხო არ არის, ძმაო, ვერ ატყობ, რომ უიმი-სოდ არაფერი გამოდის?

მიხო — ლუკაზე ამბობ, არა? კარგია, სულ მე მავს ეგ მამაძალი ეგა...
ნიკა — ჰოო, კაცო, სიმღერაზეც ხო შეგეტყუო.

მიხო — მიდი, მიდი, მაიმუნო შენა... (ყველანი ხარხარებენ).

ლუარსაბი — რა მაგის პასუხია და მიხო ძიავ, ნელან რაღაცა გნიასი გამოდიოდა თქვენი ეზოდან, რა მოხდა, შენ და მაგდანა

ძალო ხო არ წაჰკამათდით?

ნიკა — წაჰკამათდითო? (თავისთვის იცინის).

მიხო — ჰო, ეგრე იყო.

ლუარსაბი — ეტყობა, ისევ იმ დუთინას გამო დაერით ერთმანეთს, არა?

მიხო — ჰო, ეგრეა. (უცებ გაბრაზდება), კაცო, მე აქ ჩემი სატიკვრის დასავეინყებლად წამოვედი და თქვენ კიდევ... თქვენ კიდევ უფრო მიმღვრებთ იარასა?!
ლუარსაბი — თვითონ რაო, რას ამბობდა?

მიხო — ვინა?

ლუარსაბი — ვინა და შენი ბედოვლათი შვილი.

მიხო — აეს ქვა ამბობს რამეს, მე რო ვზივარ? (ტაშვით ისმის ორ-სამჯერ ხელის დარტყმა ქვაზე).

ლუარსაბი — დაა... ვითომ ვერც თქვენა ხვდებით, რა სჭირს, არა?

მიხო — ეეეე, ერთი ეგ გამაგებინა, ლუარსაბ, და რაღა მომკლავედა.

ლუარსაბი — ოოო, რა ხარ, მიხო ძიავ, რა ხარ, ვინც არ გიცნობს... მაშ არც იმან შეგაფიქრიანათ, ტარიელივით ტყე-ველად ეგრე რატომ გაიჭრაო?

მიხო — ვინ გაიჭრა, ლუკამ გაიჭრა რამე, ლუარსაბ? შენ რა იკლიბაკლოდ მელაპარაკებ?

ნიკა — მიხო ძიავ, ხო იცი, ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო, მაშ ვერა ხვდებით, რასენი შეეყარა თქვენს ლუკას, არა?

მიხო — აგე, მაღლა ღმერთი და აქ კიდევ თქვენა, თუ რამესა ვგუშანობდე. რო ვხვდებოდე, ეგრე გავჩერდებოდი? ოლონდ ვინმე გულისხმაში ჩამაგდოს და მერე მე ვიცი.

ლუარსაბი — გულისხმაში ჩაგდება რასა ჰქვია, რაა, პირდაპირ ვერ გეტყვი?
მიხო — შე კაი დედმამისშვილო, თუკი რამე იცი, რა პირში წყალი ჩაგიგუბებია, სამახაროლოს უცდი?!
ლუარსაბი — მიხო ძიავ, დავიჯერო, ვერ ატყობთ, რო ლუკას ისაკოს გოგო ჰყავს ათვალმაზებული, იმისი თხოვნა უნდა და იმითმ არის ეგრე გაბაცობუცებული.

მიხო — რომელი ისაკოსი, ლუარსაბ?
ლუარსაბი — ხეჭრელიანთი, ჩვენს სოფელში მაშ სხვა ისაკო ვინ არის.
მიხო — მაყვალას თხოვნა უნდა, ბიჭო?

ლუარსაბი — ჰო, მაყვალასი, ისაკოს მაშ სხვა რომელი გოგო ჰყავს გასათხოვარი.
მიხო — აუჰ, მაგ ქვანვიებისა, კაცო! ძუნები, ძუნები, რომ უჭადან წვეთი წყალი არ გავარდებოდა.
ლუარსაბი — რას იზამ.
მიხო — ვაჰ, თუ რას იზამო და ითხოოს მაშინ, წინ ვინ უდგას?!
ლუარსაბი — ითხოოს, რაა, ეგრე იოლი ხო არ არის, დალოცვილო, კრიდე-ბა კაცსა, ვერ გაუბედნია...

მიხო — მერე, თქვენ რაღა აკეთებთ, ძმაკაცები არა ხართ, რატო არ ნაეშველებით? სუფრას რომ შემოუსხდებით ხოლმე და გულზე მუშტს იბრაგუნებთ, ჩვენაო ერთმანეთისათვის ესენი ვართ და ისინი ვართო, ეხლა რაღა გაბრკოლებთ?
ლუარსაბი — რა არის, იცი? ვი-

ფიქრეთ, მიხო ძიავ არ ეწყინოსო.
მიხო — გამაგიჟებთ თქვენა! მეწყინოს რასა ჰქვია, დღე და ღამე იმის ნატრული ვარ, გვარის გამგრძელებელს ველირსომეთქი და ეგ მეწყინება? ლუკაც ხო თქვენი კბილაა, თქვენ რო უკვე ბაღში შელაღეთ შვილები, ეგ როდემდე იჯდეს ყუყვივით მარტო?

ლუარსაბი — ეექვ, ჩვენ რათ შევყენეთ ფეხი, მიხო ძიავ, იცი? ხალხმა არა თქვას, ესენი ვისი ტიკი-ტომრები არიან, ლუკას თვითონ თუ ვერ გაუბედნია, მშობლები ხო ჰყავს, უპატრონი ხო არ არისო.

მიხო — უპატრონი ხო არ არისო?
ნიკა — ჰო, ობოლი ხო არ არისო...

მიხო — მშობლები ხო ცოცხლები ჰყავსო, არა?

ლუარსაბი — ჰო, რაა...

მიხო — ბიჭოო, ბიჭოო! ბრძენი ხარ, ბრძენი, ლუარსაბ, წინდახედული, აზრიანი, გამგებიანი... ყველაფერს გაითვალისწინებ ხოლმე, საქმეს ყველა მხრიდან შემოუვლი, ასწონ-დასწონი და ადამიანს სწორე გზაზე დააყენებ... ეხლა აღარა მიჭირს რა, ეხლა მე ვიცი და ჩემმა კაცობამ! გავგაზე პირდაპირ ისაკოსაკენ.

ნიკა — დაიცა, შე კაი კაცო, რა ცეცხლის კიდებაა, ჩავათავოთ პურის ჭამა და მერე წადი. აგრილდება კიდევ და უფრო გულდინჯად ავზომ

მიხო — არა, არა, ეგ გადასადები საქმე არა ყოფილა, ნიკავ, როცა შვილი ეგეთ ყოფაში მყავს, აგრილდება დაველოდო? ისედაც თურმე რამდენი დრო გამოცდენია. კარგად იყავით, კარგად.

ნიკა — ბიჭოო, როგორ გაცუხცუხვდა! (იცინიან).

ლუარსაბი — ნეტა მეტისმეტი ხო არ მოგვივიადა, ჯო?

ნიკა — ვაჩნია, შინ რამდენი ჰქონდა დალეული.

ლუარსაბი — რავი, მერე სანანებელი არ გაგვიხდეს-მეთქი.

ნიკა — ნეტავი შენა. მა რა ვქნათ, კაცო, რა ვიღონოთ, როდემდე უნდა იყოს სოფელი ეგრე თვალგულამოდამებელი. (შორეული ხმა ჩონგურისა)

მიხო — მაგდან, მაგდან!

მაგდანა — რა იყო, ადამიანო, რა გაყვირებს?

მიხო — ბიჭი სად არის, დედაკაცო?

მაგდანა — ნაკალოვრებისაკენ ჩავიდა, ვირს გადავბამო. რა იყო, რო?

მიხო — არაფერი, არაფერი. მოიტა ერთი, ხელ-პირი და ფეხები დამაბანინე, საგარეო ტანისამოსიც გამიმზადე და ფრჩხილებიც დამაჭერი, სხვაგანა ვარ წასასვლელი.

მაგდანა — სად სხვაგან, ამბავს მაინც არ დაგვიტოვებ, საით იჩაჩქნები?

მიხო — ეგ მე ვიცი.

მაგდანა — (თავისთვის) წახვალ და წადი, ქა, რავი, სულ გარე-გარე არ დადიხარ, ეხლაც სხვაგან არ ეხირე?

მიხო — ხეჭრელიანთან უნდა გადავიდე.

მაგდანა — რაო, ვისთანაო?

მიხო — აბა ეხლა ყურსაც დაგაკლდეს! ვისთან და ისაკოსთან.

მაგდანა — იმათთან რა საქმე გაქვს, ადამიანო?

მიხო — ლუკასთვის გოგო უნდა ვითხოვო.

მაგდანა — რა უნდა ჰქნა, კაცო?!

მიხო — გოგო უნდა ვითხოვო-მეთქი, ვერ გაიგე შენა!

მაგდანა — დადექი, მიხო, შინ დაეტიე, მამიჩემის ცხოვნება, შენი ჭკუის ამბავი რომ ვიცი, რამე ფათერაკს არ გადაეყარო.

მიხო — ფათერაკს არა მათერაკსა... რაა, ჯერ არავისაგან არაფერი გვითხოვინა? ქალის თხოვნა რაღა ვითომ, რო ეგ გავიჭირდეს.

მაგდანა — მე ჩემი მითქვამს და... თანაც ნასვამი ხარ, დაიწყებ იქ აკარაკულ ლაპარაკსა და სულ წახხდენ საქმეს. ნუ აიტეხავ ხოლმე რაღაცას, მოისვენე შენცა და ხალხიც მოასვენე.

მიხო — რა მოვისვენო, დედაკაცო, ხომ ხედავ, როგორ ვემზადები, (ისმის წყლის ჭყაპა-ჭყუპის ხმა), ვინმეს ხომ არა ჰგონია, ლუკას დედ-მამა დაეხოცა და უპატრონოაო. სანამ პირში სული მიდგას, მე მაგ სიტყვებს არავის ვათქმევინებ, შვილს არავის დავაჩაგვრინებ!

მაგდანა — ვიმ ქა, ვინა სჩაგრავს, რო?

მიხო — ეგ მე ვიცი, რო გითხრა, მაინც ვერ გაიგებ და...

მაკდანა — ისე მაგ სიმართლით შენ იხარე!

(შორეული ხმა ჩონგურისა)

მიხო — გამარჯობა, ხეჭრელიანებო, როგორ ხართ, როგორ! ისაკო საით არის, ჰა, ისაკო გარმოვიდეს გარეთ!

მართა — *(თავისთვის)* ეს ვილა ოხერი მოეხეტა, ქა. *(ხმამალა)* გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, მაგრამ ისაკო არ არის შინა.

მიხო — რას ამბობ, კაცო, შინ არ არის რასა ჰქვიან, მა სად არის?

მართა — *(თავისთვის)* აჰ, მიხო ყოფილა ეს სანაცლიე. *(ხმამალა)* ვენახშია, ვენახში, ლობიოს საგლეჯად.

მიხო — ვაჰ, ამ სიცხეში ვენახში რამ ნაიყვანა.

მართა — საქმემ სიცხე და სიცივე რა იცის, მიხო.

მიხო — კარგი, ჰო, რაც არის არის, ეგ სიცხე-სიცივის ამბავი მერე გავარჩიოთ, ეხლა შენს მამამთილს დაუძახე. არც შაქრო ძიასთანა ვარ პირშავად, სიტყვა იმასთანაც მეთქმის.

მართა — ნუხელ საღამოს ნახირს ჩვენი ძროხა არ მოჰყვად და ჩემი მამამთილი დილაბინდებ ნავედა ჩუთლანთ ხევისაკენ იმის საძებნელად.

მიხო — ერიჰაა, კაცებთან მერჩივნა ლაპარაკი, მაგრამ არა უშავს რა, პირდაპირ მაყვალას ვეტყვი სათქმელს, მაყვალა გამოვიდეს ორიოდ ნუთით გარეთ.

მართა — არც მაყვალა მყავს შინა, მამიდის სანახავად წავიდა ზემო ბოდბეში.

მიხო — კაცო, რა ღმერთი გაუნყრათ ამ კეთილძალეებს, მე რომ დამჭირდა, რაღა მაშინ აიყარენ ეგრე ერთიანად დიდ-პატარა შინიდან! მაგრამ სხვას რა დავაბრალო, ყველაფერი ჩემი უკუღმართი იღბლის ბრალია, კაცი შავბუნელ ვარსკვლავზე რო დაიბადება, მორჩა, იმის საშველი აღარსად არის. არადა, როგორი იმედიანი მოვდიოდი აქეთ, მეგონა, ამ საღამოსვე ავამღერებ-მეთქი ჩემს ლუკას.

მართა — რა იყო, მიხო, რა სანუხარი გაგჩენია, ეგრე რას შეულონებხარ, რატო არ იტყვი? სხვები თუ არ არიან შინ, იქნება მე გისაშველო.

მიხო — გეტყვი, მართავ, გეტყვი, მეტი რა ჩარა მაქვს, სულ წვრილად გეტყვი ჩემს საღონისს... რაც მართალია, მართალია, თქვენი ქების მეტი არა გაგვიგია რა, ქვეყანამ იცის, რა კარგი და კეთილი გულის ხალხი ხართ, რა გულუხვი, ხელგაშლილი და გულქართლი, რა გამეტებულები...

მართა — დაიცა, დაიცა, მიხო, ეგრე დანვრილებითაც არ გინდა, ცოტა უფრო მოკლედ თქვი შენი სასუხარი.

მიხო — მოკლედ კიდევ ის არის, შენი ჭირიმე, რო ბიჭი ვერა გეყავ კარგად, ლამის არის ხელიდან გამოგვეცალოს.

მართა — ჰო, ქა, ეგ მეც გავიგე, ლაპარაკობდნენ, ლუკა ვერა ჰყავდა კარგად.

მიხო — კარგად ვერ არის კი არა, ცარიელი ტანისამოსიდა დადის, ჩხირზე გადაბოტების თავიც აღარა აქვს.

მართა — ეგრე უცებ რა დაემართა სალ-სალამათ ბიჭსა, ქა?

მიხო — რაღა რა დაემართა, გუნება აქვს ნამხდარი და თქვენი დახმარების იმედზე ვართ, მართავ, ეხლა გვჭირდება შემეველება და ხელის გამართვა, ამ სიცხეში თქვენს კარზე გაჭირვებამ მომიყვანა.

მართა — თუკი არ იტყვი, რა გინდა, რანაირად დაგეხმაროთ, ადამიანო?

მიხო — ჰოდა, თუ ეგრეა, გოგო რო დაბრუნდება ბოდბიდან, უთხარი, ჩვენთან გადმოვიდეს, მართო ის თუ გვიშველის, სხვა ვერავინ.

მართა — რას ამბობ, მიხო, ჩემი მაყვალა ბიბლითეკარია, ექიმი კი არა!

მიხო — მართავ, ჭკვიანი და გაგებულნი ქალი ხარ და როგორ ვერ მიხვდი, რო ჩვენ ექიმი კი არა გვჭირდება, თქვენი გოგო გვინდა, ვითხოვოთ, მართო ეგ თუ მოაბრუნებს საამქვეყნოდ ლუკას.

მართა — უი, შენ რა გითხარი, მიხო, ხუმარა რო იყავი, ვიცოდი, მაგრამ მთლად ეგეთიც არ მეგონე, თუ გოგო იყო თქვენი ბიჭის წამალი, თქვენს ახლო-მახლო ვერავინა ნახე ხელის გამმართავი?

მიხო — ვინა თქვა, არ არიანო, არიან და მერე როგორი გოგოები, მაგრამ ხო იცი, რანაირი გაჰქირი იციან ეხლანდელმა ახალგაზრდებმა, თუ რამე აიჩემეს, მორჩა, ველარ გადაათქმევიანებ. ლუარსაბმა და ნიკამ მითხრეს, ლუკას ისაკოს

გოგოს თხოვება უნდა, სხვები თვალთ არ დანახებიანო და მეც იძულებული გავხდი, თქვენკენ წამოვჩანჩალბულიყავ. წამდვილად არ მებალისებოდა, მაგრამ მეტი რაჩრჩქნდა.

მართა — ერიჰაა, შენ რაღაცა დაუკრეფავში მიაშტვრევე! მიხო კი ხარ, მაგრამ ნათქვამს აზრი შენც ხომ უნდა მიატანო.

მიხო — ე! რა გენყინა, შე კაი ქალო, გასაბრაზებელი რა გითხარი, ვთხოვლობთ-მეთქი, ხო არ გართმევთ? ნავეყვანთ, სმა-ჭამას არ მოვაკლებთ და ჩაცმა-დახურვას. თუკი ბიჭს გუნება გამოუკეთდება, მოსულიერდება, ეგეთ რამეზე უარი როგორ უნდა გვითხრაო?!

მართა — *(თავისთვის)* ღვინო ალაპარაკებს ამ მიწის ტყვეს ეგეთ აკარაკულებს და მეც იმიტომ ვუთმენ, თორემ ხომ გამოვშობამდი ერთი მაგრად.

მიხო — რა მოხდა, განა ისეთს რასა გთხოვთ, თქვე კაი დედამისისვილებო, მართლა რამე სათხოვარზე რომ მოვსულიყავი, მაშინ ხომ მთლად დაიხუთებოდით. ამაზეა ნათქვამი, ავ მეზობელს ცეცხლიც საციქველი ეგონაო, გაგონილა ეგეთი გაუთმეობა!

მართა — *(ისევ თავისთვის)* ხალხო, იმისთანა რა ჩაცეცხლა და ჩანავთა ამ ჩემი ცოდვით საესემ, რო ეგრე გადაირია. ან თუ გაგიყვდა, რაღა ჩვენ სახლს დაეტაკა, რაღა აქეთ აიღო გეზი?!

მიხო — განა იგრე კი არ გვინდა, ჩვენს კომლს მუქთად ბეწვი არ შეუტანია შინ, თუ ვისმე რამე ურგია, სანუფქოდ ჩვენი ორი იმდენი წასულა, ოღონდ ბიჭს გუნება გამოუკეთდეს და არც ეხლა ვართ არაფრის დამშურებლები. ისაკოს უთხარი, ლუკა თუ თქვენს გოგოსა თხოვლობს, იმან კიდევ, ავე, ჩვენი ვირი თხოვობს და ვენახიდან ჭერემი ამოზიდოს.

მართა — მართლა ეგრე გვიან არის, ჯო?! უჰ... მაგრამ იცით, როგორ ფინთადა ვარ, ბიჭებო, თითქოს თავის მაგივრად ცარიელი თუჯის ზარი მედგას კისერზე და ამ ზარში ენასავით რაღაცა ხან ერთ საფეთქელში დამკრავს — დგაფ! შიგნიდან, ხან მეორეში — დგუფ! ისიც შიგნიდან.

ნიკა — და შენ კიდევ ის კი არ გიკვირს, ეგ ზარი რატომ არის ცარიელი, იმის ნატრული ხარ, გაიგო, რა დგაფუნობს მაგ სიცარიელებში, არა?

ლუარსაბი — ეგრეა თუ იგრეა, რაკი დავინყეთ, საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა.

მიხო — *(უნადინოდ)* კარგი, ჰო, ნავალ, აბა. რა ვქნა, ნავალ. აი, პირს დავიბან და ნავალ.

(ისევ ისმის ჩონგურის ხმა შორიდან)

მიხო — რა ჰქენით, რა გადანყვიტეთ, მართავ, რატო არ გადმოვიდა დღეს დილას თქვენი გოგო, ალბათ მამიდასთან შეფერხდა, არა?

მართა — არა, მიხო, მაყვალა ნუხელ საღამოსვე დაბრუნდა ბოდბიდან, ის არაფერ შუაშია. აი, ისაკოს რო გადავეცი შენი დანახარები და თქვენი სახედრის ამბავიც ვუთხარი, ეგრე მიყვირა, ქალო, განა შენ კი არ იცი, ვენახში ჭერმები რომ არ გვიდგა, სხვითა ვირი რა ოხრად მინდაო.

მიხო — აუჰ, უჭერმოდა ხართ დარჩენილები, ხალხო, ეგ როგორ დაგემართათ?!

მართა — ჩემი იმან იციან, რასაც იზამს. უცხოები კი

არა ვართ, ბავშვობა ერთადა გვაქვს გატარებული... რაღა ბევრი გავაგრძელო, ხვალე ათ საათამდე მაყვალა თვითონ თუ არ გადმოვა, მე მოვალ და პასუხი დამახვედრეთ... *(თანდათან შორიდან ისმის)* მადლი თესეთ, ხეჭრელიანებო, მადლი! სხვას ვერაფერს წაიღებთ ამქვეყნიდან.

მართა — დიდება შენდა, ღმერთო, ყველა დამფრთხალმა ჩვენს კარზე უნდა ჩამოიაროს!

(ძალის გაანჩხლებული ყეფა)

მიხო — კარგი, ძალო, შე მამაძალისშვილო, არ დამაძინებ, არ ჩაიგდებ ხმასა!

ნიკა — ჩვენა ვართ, მიხო ძიავე, მე და ლუარსაბი, რაღა დროს ძილია, გამოგვხედე, ადამიანო.

ლუარსაბი — ნუხელ ეზოში გეძინა, კაცო?

მიხო — ჰო, გვიან მოვედი და შინაურები აღარ გავაღვიძე.

ლუარსაბი — რა ჰქენი, იყავი ისაკოსთან?

მიხო — ჰო.

ნიკა — მერე?

მიხო — მერე ზურაბასთან გამოვიარე, ჩემს გარებიძაშვილთან და კაი პური ვჭამეთ, უფ, იცით რა სუფრა გაიშალა, ბიჭებო?! გვიანობამდე შევერჩი იქა.

ლუარსაბი — მიხო ძიავე, ჩვენ ეგ სულ არ გვეცნობისწადილება, ქალის ამბავი გვითხარი, ქალისა.

მიხო — ჰოოო, ქალისა... ქალისა რაა, მაყვალა კიდევ ათი საათისთვის უნდა გადმოვიდეს, თუ არ გადმოვა და მე გადავაკითხავ.

ნიკა — კარგად ვერ მოჰქცეულხარ, მაგდენი დრო არ უნდა მიგეცა, ვერ მოგიწონებ... *(ხითხითებს)*

ლუარსაბი — მერე? რაღა დროს ათი საათია, კაი ხანია თერთმეტი დაიწყო, ჩვენს საქმეს გაჭიანურება არ გამოადგება.



მართა — მიხო, მე და ჩემი ღმერთმა, ისეთს ნურაფერს მაკადრებინებ, მერე სანანებელი გაგვიხდეს შენცა და მეცა...

მიხო — კაცო, მაშ რანაირად გინდათ, ბიჭმა ეგრე გაშემშიშებულმა როდემდე უნდა იაროს? ვინა ხართ, რა ხართ, რა ჯილაგისანი ხართ? ადამიანს სიკეთის გაკეთება შეეძლოს და არ გააკეთოს, იმას ადამიანი დაერქმება? შენ ხომ არა გგონია, მე წამოვიწყე ეგ საქმე, ავე, ლუარსაბზე ჭკვიანი ვინ არის ჩვენს სოფელში, იმანა თქვა, ლუკას მაყვალას თხოვება უნდა, სხვა არავისიო. ეხლა რაღას იტყვი!

მართა — თვალს შენც დაგიდგეს და ლუარსაბსაც, ლუარსაბი ვინ ოხერია, იმის რაკუნზე ვიარო, რაა, თამრიკო იმისი რჩევით გავათხოვე, რომ ახლა მაყვალა მივაყოლო?!

მიხო — რა გინდა, ქალო, შენ ხო არა გთხოვლობთ, მაყვალას მაგივრად შენ რათ იფოფრები?

მართა — ნადი, მიხო, მოშორდი ჩემს ეზოს, სანამ თავი მთელი გაქვს. ნადი და სადაც ეგ ღვინო ჩაისხი, მონელებითაც იქ მოინელებ.

მიხო — ვაი, მაშ გიფი არა ვარ და გიფზეც უარესი, შენ რომ აგყევი ლაპარაკში! მართავ, რას გეტყვი, იცი, გატყობ, სიტყვით ვერაფერს შეგაგნებინებ, მე კიდევ იმდენი დრო არა მაქვს, სხვისი დედაკაცები მოვიყვანო ჭკვავზე. ერთი სიტყვით, შენი მოვალეობაა, ისაკო რო მოვა ვენახიდან, ჩვენი ვირის ამბავი უთხრა, მერე იმან იცის, რასაც იზამს. უცხოები კი

მიხო — გავიგე, გავიგე, მერე?

მართა — რაღა მერე, შე კაი ადამიანო, ისიც გინდა გავიგო, რა მოხდა მერე? მერე კიდევ კაცმა მთელი ღამე ველარ დაიძინა, განიადაგებულად იმეორებდა, მე მაგათი ჯიში და ჯილაგო... გავიგე ეხლა?

მიხო — ჰო, გავიგე, გავიგე, როგორ ვერ გავიგე, კაცი უჭერმოხდა ეგრე გაემნარებინოს, პირველად მესმის, სამომავლოდ მაინც დარგეთ კაი ჯიშისა, ყაისი.

(ტყე, სიო დაძვრება ფოთლებში, ჩიტების ხმინობა... შორიდან ჩონგურის ხმა და სიმღერა ისმის და შორსვე რჩება დასასრულამდე)

ვაიმე, დედავ, ფეხები! ტყეში დავეხეტები, ნეტავ მაყვდეს ვირი, შევჯდები და ვივლი... ვირი ტყეში შემვივარდა, მგელს დაელო პირი, მგელმა ვირი შემეჭამა, დავეჯი და ვტირი...

შაქრო — ეს არის საქმე, კაცო, ორი დღეა დამანყდა ფეხები და ჩემი ძროხის კვალს ვერსად მივგავნი. სად ოხრობაში შეიძლება ნათრეულიყო ის მგლის კერძი. მე შენ გეტყვი, ისაკო შეინუხებს იმისი ძებნით თავსა თუ მართა... მაყვალას ვენაცვალე, იმას ხო მე თვითონაც არ გამოვუშვებდი საძებნელადა, ის არის ჩემი დამტირებელი...

(ტყიდან გაურკვეველი ლაპარაკი ისმის, სიტყვები არ გაირჩევა)

შაქრო — დაიცა, ბიჭო, ემანდ ჩემს თაფლოს კი არა ჰხდინენ ტყავსა!

დაყმევებული — *(ჯერ შორიდან ისმის. თუ რეუსისორს არ დაეზარება, მცირე რევერბერაციის გამოყენებაც შეიძლება დაყმევებულის საუბრისას)*. მამ არც ჭრიანტელი გინდა? ზაფხულში მშვენიერი გრილი საქმელია.

ლუკა — არა, არა, რას ამბობ, მერე გულსა მძმარავს ხოლმე.

შაქრო — კაცო, ვინ არიან ნეტავ ამ შუა ტყეში? მგონი, იმ დიდ პანტაზე სხედან. ჰო, ავე ის, სულ მაღლა როა ასული, მიხოს ლუკასა ჰგავს, ჰგავს კი არა, ის არის... იფ, გენაცვა, როგორ გადამჯდარა ტოტზე და ჩამოუყრია ფეხები, როგორ ნებივრად მიჰყუდებია პანტის ტანსა... მაგრამ ის მეორე ვინლაა, რომ არა ჩანს, ან ეგრე უცნაურად რათა ჰპრანჭავს კილოს. *(სიცილით)* იი პანტის ქვეშ რო ფაღონიანი ვირი დგას, ის ხო არ ელაპარაკება?..

დაყმევებული — არც გარფა გინდა? გარფას მაინც არ შესჭამ? ის ხომ შემრგოა.

ლუკა — მომპორე იქით, მაშ მაგრად გამოსაშუპრი არა ხარ! რაც შენ თვითონ არ მოგონს, მე რათ უნდა შემომთავაზო?

დაყმევებული — კარგი, ჰო, შეჭამანდებიდან რომელს აირჩევდი, შინდის შეჭამანდს, ლოლოშეჭამანდს, კალტის შეჭამანდს, ხირხიტოს...

ლუკა — *(გაბრაზებული ყვირის)* წვნიანები არ გავაგონო, წვნიანები არ დამანახო, ეხლა რა დროს წვნიანებია! თანაც ხირხიტომ ციების აშლაც იცის.

შაქრო — *(თავისთვის)* ვინ არის, კაცო, ვის დასტყვის ლუკა ეგრე გულადად, აბა ცოტა ახლოს მივიდე.

დაყმევებული — ნუკი ბრაზდები, ლუკავ, შენ რაც მოგეგუნებება, იმას მოგართმევთ, ჩემო ბატონო.

ლუკა — ჰოდა, ეგრე ქენი!

დაყმევებული — ეს ენკენისთვეც ხო განახვერდა, წინამხარში რთველი ჩამთავრდა, ახალი კაკალი, შოთი, მაჭარი... ჰა როგორია? ნიგოზი ნება-ნება დაფცქვენი და...

ლუკა — შენი არ მიკვირს! რათ მინდა, მაგ ღარიბულ საქმელებს რომ მამალე, მეტი არაფერი გემოვება?

დაყმევებული — რა მოხდა მერე, განა სიღარიბე სირცხვილია? მამ შენზეც რომ თქვან, ხელმოკლედ ცხოვრობსო, მოგეწონება?

ლუკა — მაგას როგორ იტყვიან, მე რა ხელმოკლე მნახე! მანქანის ფული შეგროვილი მაქვს, აი, რთველი ჩაივლის და ვიყიდი.

შაქრო — *(სიცილს ძლივს იკავებს)* რას ამბობს, რასა! მანქანა კი არა, ნეტავი თითო წყვილი ნიფხავი გაყიდინათ შენცა და მამაშენსაც, რომ ამ ზამთარს გაყინული გავები გაითბოთ.



დალილა ბედიანიძე

მწვანეაქვდიანი ნითელქუდა

ო, ღმერთო, მე ის ნითელქუდა ვარ, მგლის მუცლიდან ამოყვანის შემდეგ რომ მწვანე ქუდი დაიხურა სამუდამოდ და ნორჩ ნაძვად მოვევლინა უღრანი ტყის მიწას, ო, ღმერთო, მე ის ნითელქუდა ვარ, რომელმაც მგელი დაივიწყა და ისევ ტყისკენ მიუწევს გული, რათა თავისი მწვანე ქუდით შეუერთდეს ტყის სიზურმუხტეს და თავისი ზღაპარი უამბოს ყველას, ვისაც მგლისა ეშინია და გაამხნევოს, რომ სიკვდილი არაფერია, შეიძლება, ისევ მოხვიდე ამქვეყნად და ქუდი ისე შეიცვალო, რომ მგელმა ვეღარ გიცნოს და აღარ შეგტამოს. ო, ღმერთო, მე ის ნითელქუდა ვარ, სამუდამოდ რომ დავბრუნდი უკან. მხედავ? მე გხედავ!

ვგრძნობ, როგორ კვდება ჩემს სულში ბავშვი, ბავშვი უმშობლო, ბავშვი ობოლი და გამხმარ ხეებს გრიგალი ნაშლის, ჩვენს ნასაშლელად ციდან შობილი.

მე მაინცდება გზა გამოვლილი, საით მივდივარ აღარც ის ვიცი, ცას ასწყდა მკერდზე ვარსკვლავი – ღილი და ვნებიანად დაინწყეს სიცილს.

ვერავის ვუმხელ, რომ დავიღალე და მეშინია სიკვდილის – მგლისა. რამდენი დღე და რამდენი ღამე მომცდარი სულმა მოისაკლისა.

ჩემს გულში მხოლოდ სიყვარულია, გულს სიძულვილის ერჩის ეკალი. რამდენ ოცნებას აქ ჩაუვლია, ნეტავი, უარს არ მოვეკალი!

თენდება — სულში მიკვდება ბავშვი, როგორ გავზრდილვარ, მე ახლა ვხვდები. და სიყვარულის მარად ძებნაში მე დაკარგული ლტოლვილი ვხდები.

ზღვა წვეთებისგან შედგება, ხალხი – ადამიანებისგან. ზღვის ერთი წვეთი ვარ, რომელიც ჩემმა წინაპარმა მდინარეებმა ზღვას მიუმატეს და ზღვას თუ დავაკლდები, ზღვა სავსე აღარ იქნება. მე ზღვის ჰანგებზე ვმდები და ვცეკვავ და ტალღების ხელისგულზე სიცოცხლის სურათები მახატია და ტალღები ზღვის ფარდაა, რომელიც დიდი ღღვით აიწევა ხოლმე და სცენაზე გამოჩნდება, თუ რა ტრიალებს ზღვის მდულარ გულში. ზღვის ერთი წვეთი ვარ – ერთი სიტყვა ვარ იმ დიდი ამბიდან, ცხოვრება რომ ჰქვია და მდინარეებს ზღვაში შეაქვთ. სულგანაბული ვქანაობ ზღვაში მზის სხივების საქანელათი და ვგრძნობ, რაც უფრო მემატება დრო და ასაკი, მით უფრო ვმსუბუქდები ცაში ასასვლელად და ვგრძნობ, როგორ მსვამს ჩემი მზე, რომელსაც ძალიან, ძალიან ვწყურვიარ.

და ვარსკვლავები – სისხლის წვეთები მიმოფანტულან ღრუბლების ფრთებზე და კოცონივით მეც ავეინებები, მთვარე მამლურად ილესავს დეზებს.

ჯერ არ მინახავს ასეთი ღამე, ო, როგორ გალობს ვარსკვლავთა ქორო! დამხრეს ქარებმა, ქოროვით შემჭამეს, ძალა არ შემწევს მათ განვეშორო.

ხანდახან წვიმაც გამოერევა, ხანდახან თონეს ნააგავს გვაღვა. სიტყვა სიტყვას სდევს და არ მეღევა, ჩემს ფანჯარასთან ზეცას ხევს ალვა.

იგია ჩემი მდუმარე მოწმე და ჩემი მზერის ნავთსაყუდარი და ვარსკვლავები – წვეთები ძონის – ღრუბლებს აჩნია, როგორც სუდარებს.

ამ მერამდენე ღამეს კვლავ ვათევ, მტანჯავს უცნობი მომავლის შიში და სახარება დატოვა მათემ, რომ ლოცვით იხსნას ადამის ჯიში.

მესამე წვიმა

გაბრაზებული მთვარე შინ შევიდა და ღრუბლის კარი მიიჯახუნა. ახლა აქ მოვა მესამე წვიმა, ამაღამ წვიმა არის სამობით. მძიმე წვეთები სხივების ნამწამებზე ჰკიდიათ ვარსკვლავებს და თვალს ვეღარ ახელებს, თვალდახუჭული ვარსკვლავები სიზმრებს ხედავენ გაღმაქვეყნიურს. მეც სიზმარში ვარ და არ ვიცი, მესიზმრება მესამე წვიმა, თუ მართლა მანვიმს. ძალიან ცივა. მიწა კანკალებს, ვით ქარიშხალში მწვანე კაკალი. წუთ-წუთობით და წვეთ-წვეთობით წვიმა ზღვას ავებს. ტალღების ენა სანაპიროს ტურებს ლოკავს. გაღმა-გამოღმა ნათელია, ზღვა არის ბნელი, რადგან გაბრაზებული მთვარე შინ შევიდა ამ მესამე წვიმის ჯინაზე.

ციკლიდან „ლიქსაპი ლიზიზა“

ტანზე კაბა გიყვავის, კაბა არის ზიზი. ბედნიერი იყავი, ლიზი!

შენ ასეთი ლამაზი ხარ ნეტავი ვისი? ძლიერი ხარ და ნაზი, ლიზი!

ღმერთმა მტერი გაშოროს, აგარიდოს ზიზი, სიყვარულით ნაშობო, ლიზი!

დახვალ — კვალზე იშლება ია-ვარდი ღირსი, მზე გადგება, ვით შვება, ლიზი!

ცხადი ხარ, თუ ლანდი ხარ, მოვლენილი მზისით? მეც მესტუმრე ხანდისხან, ლიზი!

და დედა მზემ სახეზე ღრუბელი ხელივით აიფარა, როცა დაინახა, როგორ მოკლა კაენმა აბელი. ძმათამკვლელ ომში არვინაა გამარჯვებული და სამწუხაროდ ბოროტი კეთილს ზოგჯერ ერევა და თითო მოკლული ძმა თითო ჩამოვარდნილი ვარსკვლავია. თვით მზეს აკრთობს უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი და ნაოჭებით სახე დაღარვია, სიცოცხლე აკლდება, რამდენჯერაც კეთილის მოკვლას დაინახავს. ვინ ვის დაუბნელა მზე? ვინ ვის ნაართვა მზე? ვინ ჩამოგლიჯა ციდან მზე თავისი სიავით? ეს მზე ხომ უფლის საჩუქარია სამყაროსათვის, როგორც სიცოცხლე! და მზე მხოლოდ მაშინ გადმოგვხედავს წყალობით, როცა ძმა ძმას სიყვარულით გადაეხევევა.

და დედამინამ აღასრულა ერთი ნაბიჯიც, მზეს კიდევ ერთხელ შემოურბინა და დაღლილი ღრუბელზე დაჯდა დასასვენებლად და დრო გაჩერდა ერთი წამით, წამით, რომელიც ახალი წლის დადგომას უდრის და მზის ბილიკი ზღვას დაეტყო, როგორც მათრახი, რომლითაც მარჯვე მხედარი თავის ქურანა ცხენს მიერეკება. ყველაფერი ისე მოძრაობს, რომ ახლდება დროის დინება, წელი წელს ერთვის, ვით ნაკადები ოკეანეში და ჩვენ, ნაპირზე გამორიყულნი, ტყეებიდან და მთებიდან ვუმზერთ ყველაფერს. წამიდან წამად იცვლება ჟამი. გაოცებული მზე თავის თვალებს გულუბრყვილოდ ახამხამებს და სხივებზე – წამნამებზე ცრემლი ჰკიდია. საახალწლო ვარსკვლავები – დროის თითებზე ბრილიანტის ბექტებია.

დროის მორევში ტრიალებენ სიტყვის თევზები და უსასრულო წრეს მიყვები დაუსაბამოს და თევზებივით მე მოქნილი სიტყვით ვეგზნები, რომ დრომ განმწმინდოს და ახალი ტალღით განმბანოს.

ვინ იცის, როდის დამთავრდება ეს თავბრუსხვევა, ვინ იცის, როდის გამომტაცებს მორევს ნაპირი! სამოთხის ბაღში ცდუნებაა და ფრხილად, ევა! გულში ჩამატყდა ბასრი წვერი ცოდვის რაპირის.

არავინ იცის, რას უმზადებს ბედი მდევარი, არავინ იცის, როდის დაჰკრავს სიკვდილის გონგი. დაინურება შემოდგომით ყველა მტევანი და აივება ტკბილი მაჭრით სიცოცხლის დოქი.

და შემოდგომის მეც მეწვია ცოდვა, თუ მადლი, და ჩამითრია მეც ცხოვრების მლაშე მორევმა. უფალო, შენს წინ ვდგავარ მლილი, პანია მატლი, ძალა მიბოძე, რომ შევიძლო ცოდვის მორევა!

ციკლიდან „ლიქსაპი მაქსა“

მე შეგეჩვიე. სიზმრად და ცხადში შენით სავსეა ეს მოთმინება. ფანჯრის მინებზე ყინულის ნაყში დნება, ყინულმა დნობა იწება.

და მიილია ზამთარი ესე, ვიღვიძებ ზამთრის ძილისგან ახლა. გული ფრთხილად სიცოცხლის ხეზე და სიხარული ყოველ დღეს ახლავს.

მაქს! გზა შენამდე გრძელია ძლიერ, ცხრა მთა, ცხრა ზღვა მაქვს გადმოსალახი, თუმც გზის სიძნელე ვერ მიცვლის იერს, როგორც გაარღვევს მიწას ბალახი.

და მე იმ წამზე ვოცნებობ მუდამ, როს შეხვდებიან ერთურთს თვალები და ჩამოდნება, ვით თოვლის გუნდა, დღეები სავსე თმენით, წვალეებით.

მე შეგეჩვიე და შენ ხარ ჩემში, მიდულს ძარღვებში ეს ცხელი სისხლი. შენზე ფიქრი და ოცნება შემშლის, მაქს, მე დახმული კარი ვარ სხვისთვის!



ციკლიდან „ლექსები მამსხა“

იქით მივიწევე, სადაც შენი სული ტრიალებს და ეფერება საგნებსა და ადამიანებს.

ლამის ყინვაში შენი სუნთქვა ათბობს სამყაროს, არ შეუძლია ამ სიცივეს, რომ ჩვენ გაგვყაროს.

და ლამაზია ყველაფერი ირგვლივ და სუფთა და ყველა კენტი აქ იქცევა წყვილად და ჯგუფად.

მახსოვს, ოდესღაც შენ მაჩუქე პანია ჯვარი, დავხედავ, ქრება გაბრაზება და ყველა ჯვარი

და სიმშვიდეში, სინათლეში გადავინაცვლებ, ერთადერთი ხარ, ბედნიერი შემქმნა ვინაც მე.

ალალი მზერით ვეფერები მე შენს სამყაროს, რომელიც არის ახლა ოქროს უხვი მადარი.

თენდება გხედავ, დაღამდება – განგეშორები, ვერ მიხვდებიან, რას განვიცდი, ჩემი სწორები.

და საიდუმლო ჩემი გულში ღრმად ჩამარხულა, მე ჩვენს სიყვარულს არვის ვუმხელ ჯერარნახულად.

იქით მივიწევე, სადაც მელის ეგ შენი სული. როგორც ზღაპარში ჯადოსნურში – ხარ უფლისწული.

 მოღრუბლულია დილა,
 მთებზე მატულობს ნისლი.
 ყველა ხმა გაკმენდილა,
 მხოლოდ ნისლის ხმა ისმის.

მოდის და მომღერის
 და ფარავს არემარეს.
 მზის სხივის ერთი ღერი
 გზა არის გაღმა მხარეს.

და ჩვენ არავინ ვიცით,
 რა ხდება ახლა გაღმა.
 რა საჭიროა ფიცი,
 დაე, იფეთქოს ნაღმმა!

დაე, გააპოს ნისლი
 მზის სხივთა ბასრმა ხმალმა
 და როგორც გველის სისინს,
 აჰყვეს ტორტმანით პალმა!

ნისლი ეწვია ქალაქს,
 როგორც სტუმარი უცხო.
 ჯიუტს თავისი გააქვს,
 ურცხვი კი ისევ ურცხვობს,

ხოლო მზის მორცხვი სხივი
 ვინრო გზა არის გაღმა.
 სადღაც მამალი ყივის,
 რათა გვატაროს ნაღმა.

ნინო სიხარულიძე

ართი ნამია

სიყვარულში სიყვარულის მხოლოდ ერთი ნამია, დანარჩენს იმ ერთი ნამის ინერცია ჰქვია – მერე წლობით ვდგავართ მაგრად გადარაზულ კართან და გვენატრება ნამი, როცა კარი იყო ღია. მერე წლობით ვაკონინებთ წუთისოფლის ნამსხვრევებს და ხუხულას ვაგებთ, თუმცა ნატრულნი ვართ სასახლის, დრო ოცნების ჯალათია და უბადლო ჩუბინი: მოვა, გველხოკერა დღეებს ტყვიასავით დაგვახლის; ერთმანეთში შეყუყულებს ისევ კენტად დაგვტოვებს, გამოგვამწყვდევს მარტოობის დახვეწებულ საკანში, არ დაგვინდობს – სულს დაგვიზოროს და გონებას ახვევებს, სევდიანად დასრულდება ბედთან ჩვენი თამაში. სიყვარულში სიყვარულის მხოლოდ ერთი ნამია, დანარჩენს იმ ერთი ნამის მონატრება ჰქვია...

ავტოპორტრეტი

ძალზე ცოტა ვარ ზეცისთვის, მიწისთვის ძალზე ბევრი ვარ, წვიმად ვწერივარ სარკმელზე ნოემბრის ყვითელ ღამეში; სანამ არ ამომიკითხავთ, ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან, არ დამასრულებს განგება თქვენი წყალობის გარეშე. ძალზე მძიმე ვარ ფრენისთვის, ქვემძრომობისთვის – პირიქით: არ მიცდია და, მერნმუნე, არც მომავალში ვაპირებ, ვარ ისე, როგორც აღისა საოცრებათა მახეში, როგორც მეზღაპრე, რომელიც ზღაპრებმა გაინაპირეს. უფერული ვარ ბრბოსათვის, გულთმისანათვის – პირიქით: მოზაიკური პანო ვარ, ფერებით მონაფერები და მოთმინების გამწყდარ ძაფს ვგავართ თოვლიან ზამთარში, როცა გაყინულ ქალაქში მოწყენა დამეძგერება. ძალზე უცხო ვარ შურისთვის, ნატურისთვის შინაური ვარ, შევნატრი უმისამართოდ გაბნეულ სიტყვა-თილისმებს, სიტყვა მაცოცხლებს, სიტყვა მკლავს, ჩუბინის ნასროლ ტყვიას ჰგავს და ბედისწერა სიმართლეს პირდაპირ გულში მიმიზნებს. ძალზე დიდი ვარ ღვარძლისთვის, ღვანლისთვის ძალზე მცირე ვარ და მაინც მფარველ ანგელოზს კალთაზე ვებლაუჭები, დრო აღარ მაცლის და, ღამის, ღიღივით ავწყვე სამყაროს, ღამის ზემოდან დავლანდო მონატრებული ქუჩები. ...მაგრამ ჯერ ისევ ტორტმანებს წვიმა წერტილის გარეშე, ჯერ ისევ წვიმად ვწერივარ ნოემბრის ყვითელ ღამეში.

 რაღა ადარდებს მაგდალინელს – იხილა ქრისტე. მხილველის გული გასაოცარ სასწაულს იტევს. შენ კი მდუმარე ბაგეს შენსას დაადე კლიტე და ცოდვის შენის სანახები საღმობით ჭვრიტე. ჭორ-მართალს ქვეყნის ნუ აჰყვები – ტყუის ყოველი, იყუჩე, ჩემო, და დანდობას ნულარ მოელი. უკვე დასრულდა საიდუმლო ესე სერობა და ღმერთს ღმერთობა მოეწყინა, ლუციფერს კი – ლუციფერობა. ...და მაინც, იქნებ, ცისარტყელამ გაიშვიდფეროს, ნიშნად შენდობის იგალობონ „ოსანა“ ნელი, თორემ ბინდდება, ირინდება ცა, ირიბდება და მგლოვიარე მაგდალინელს უშრება ცრემლი.

საშობაო გზავნილი


მიდი-მოდისარ, მიმოგაქვს სული, ნაზამთრალი და ნალალატევი, ვერ ამოგითქვამს ლექსი-სალბუნი, ყოვლისმთქმელი და ყოვლისდამტევი. ის გტკენდა, ვისაც სულს უბერავდი, არახალია შენი ნაღველი და გაღონება ჭრიჭინა ჭორი, გასამხელი თუ ვერგასამხელი. სულ მისხალ-მისხალ აწონილია შენი დღეების იწილბინილო, ორგული ცა და ორგული მიწა როგორმე უნდა ჩამოიცილო. „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“, მაგრამ როდის? ფარისევლობას იფერებს მტერი და ძმადნაფიცის იერით მოდის – მოდის ტიალი და მის თვალეში ლალატისფერი კრთის მიმოზები, ფრესკიდან ჩუმად იპარებიან ფრთებდაღენილი ანგელოზები – ისევ და ისევ ბუტბუტებ ლოცვას, დანგრულ სულს კი აგებ ხელახლა, ეს – მერამდენედ ჩამოიქეცი! ეს – მერამდენედ ელდა გეახლა! ვაი, სანთელი აუნთებელი... ვაი, იქ განყდა, სადაც წვრილია, სულ საღამოა და მარტოობა, სულ ნიდაბია და ტკივილია. დგები და ეძებ, ისევ და ისევ ეძებ საკუთარ სულის ნამსხვრევებს, აღარც დარია, აღარც ავდარი და ქარი ციდან ღრუბელს აძევებს. მიდი, აღმართე სულის კედლები! მიდი, იცლება ქვიშის საათი, დრო ხომ ისეთი უღმობელია, ისეთი ავი და მუხანათი, რომ არ დაგინდობს, ჩამოიცილება საათი წუთით, წუთი კი – წამით, ის კი 25 დეკემბერს იშვა – სადღაც, ბეთლემში, ბაგაში, ღამით... იმას ახსოვხარ და მუდამ გხედავს – მიდი, თავიდან! ისევ თავიდან! ეგ – არაფერი, რომ გაგიმეტეს; ეგ – არაფერი, მზე რომ ჩავიდა. ეგ – არაფერი, რომ უანგაროდ არ ყვარებიხარ არც ერთ სულიერს, რომ მაღლი მატლად გადაგიქციეს და თაფლში შხამი გამოურიეს, რომ საშობაოდ ანთებულ სანთელს არ შეარჩინეს სითბო და ფერი, რომ შენს სახელზე გვიან კი არა, სულ არ გამოცხვა ის ობლის კვერი – მაინც ადექი, წამოიმართე, ციხესიმაგრედ აზიდე სული და ხელისგულზე დაფრენილ ფანტელს ახარე შობის დღესასწაული!

 დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია – ოცდაოთხი მოფრთხილე ჩიტი. ოცდაოთხჯერ ოცდაოთხი ლალატია ამ სეზონის უმთავრესი ჰიტი. გულისკარზე ეჭვის ჭია მახატია, მაგრამ არვის დასცდენია კრინტი, ეს ლექსიც ხომ უგზოუკვლო ბარათია – თოვლში გამოტყუებული კვირტი. გარშემო სულ ქიშია და შამათია, საფლავში კი კვენის სერაფიტი. დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია – ოცდაოთხი ფრთებდაჭრილი ჩიტი.

ცვარიც სხვისია

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული!“
 გალაკტიონი

ვის ბალახზე გავიაროთ, ბატონო ჩემო? შენ ეგ თქვი, თორემ ფეხშიშველა იმდენია, ვერც კი დაითვლი. ეგ ბალახი უკვე სხვისია, გავლას ვინ ჩივის, ახლოსაც არ გაგვაკარებენ, აქ აღარც მკლავის ძალა ჭრის და აღარც – ნისია. მერე რა, რომ ბალახის ქვეშ წინაპართა დაღლილ ძვლებს სძინავთ და ძილშიაც სტკივთ, რასაც საქართველო ჯერ კიდევ ჰქვია – მერე რა... ღიაა კარი, ყველასთვის ღიაა კარი და ურდულის ნამსხვრევები მიწაზე ყრია. არავინაა, ნამსხვრევები რომ წამოკრიფოს და საიმედოდ ჩარაზოს კარი. ჰოდა, ვის ბალახზე გავიაროთ, ბატონო ჩემო? ჭიგო ვის ვაზს შევუყენოთ? ვის ვენახში გავმართოთ რთველი? ვისი ჭერი ავნიოთ მხრებით? შენ ეგ თქვი, თორემ რამდენია ფეხშიშველი! ზღვა კოვზით დაილიაო, – თქმულა, აკი ვილევით, ვქრებით და ვდნებით – ღიაა კარი, უმონყალოდ ღიაა კარი ჩვენივ დასტურით, ჩვენივე ნებით და თუ ოდესღაც მართლაც გვერქვა ციხის ამღებნი, ბედის დაცივით, დღეს გავმხდარვართ ციხის ნამგებნი. მიდი, მეზღაპრე – ახუჭუჭე „ჰევი ენდები“, რომ მოსკდებიან თაფლისა და რძის მდინარენი, რომ გავბრწყინდებით და წართმეულს, ჭრელი ხონჩებით დაგვიბრუნებენ ჩვენი მტრები, შესაზარენი, რომ უეჭველად, უეჭველად ასე იქნება და აღარ უნდა შეგვანუხოს ავმა ფიქრებმა. მიდი, მეზღაპრე... და სანამ შენ ენამზიანობ, მავანი უხმოდ შეასრულებს თავის მისიას – უკვე ცვარიც კი, მოციმციმე მამულის ცრემლი, ის, ბალახზე რომ მარგალიტობს, ცვარიც სხვისია.



ანტიფატივისტი

თუკი ყველაფერი გათვლილია, გზაც და მომავალი ხიფათებიც, მაშინ რატომ გრძნობ აღმაფრენას, როცა ხელმეორედ იბადები.

თუკი ყველაფერი ამაოა, მოგონილი არის სიყვარულიც, რად გვიფარავს ღმერთი საბოლოო, ჯვარით გოლგოთაზე აღმართულით.

რატომ ხარობს მაშინ სულში ია, ცაში ვარსკვლავად რად იფანტები, თუკი ყველაფერი გათვლილია, გზაც და მომავალი ხიფათებიც.

ბასული გემი

წყალს ნაულია იმედების თეთრი ხიდები, შენმა სიმორემ შემანუნა დღესაც ძალიან. თუ გასულ გემებს ვერ ვუყურებ გულდამშვიდებით, ეს უსათუოდ, უსათუოდ შენი ბრალია. და ჩემიც ალბათ, რადგან წყეულ ნისლში დაგკარგე, ვერ აგედევნე, ვერ გაგყევი, როგორც თოლია, ვერ მივხვდი, ნუნუნს ამ ცხოვრების ავსა და კარგზე არასდროს შვება და სიკეთე არ მოჰყოლია. ახლა კი ვხვდები, მაგრამ ზამთრის ბაღში ჩიტები



თემურ გაბუნია

თავდავინყებით არ გალობენ კარგა ხანია, მე კი ველარც შენ ვერ გიგონებ გულდამშვიდებით და სიმორემაც შემანუნა შენმა ძალიან.

აქ ყველაფერი გედის ბოლო ცეკვას მაგონებს, განზობას ნატრობს უნაყოფო ლელვის ფესვები. აი, საცაა შეაბამენ ეტლში დრაკონებს და ჩვენც ცოდვილთა საუფლოში გადავშვებით.

აპოკალიფსის საყვირებიც დაიგუგუნებს, დაიგუგუნებს განწირულად და დანანებით და ვარსკვლავებად დაეზნევა მკერდზე უკუნეთს ცრემლი დაღლილი მონაზვნების და წმინდანების.

მაღე ჩვენც წავალთ, შევერევით ფერმკრთალ დაისებს, თან უსასრულო გზის სევდასაც ნავიყოლიებთ. მთვარე კი სულთა თეთრ ამაღლას ისე დაისევს, როგორც ტალღებზე მოცეკვავე გემი თოლიებს.

სიზმარი

მესიზმრა ფერხულში ქალი ატეხილი, ცაში ფერმიხდილი მთვარის გაღიმება. ტანი მსხმოიარე ბაღია ხეხილის, სული დაჭიმულა გიგანტურ სიმებდა. ზეიმობს მუსიკა და ჰანგი ნეტარი ლურჯ მადრევენებით ცაში იკლაკნება, არ არის ადვილი იგემო ნეტარის, თან შეძლო ბურუსში გზა-კვალის გაგნებაც. კვლავ როკავს ფერხულში ნახევრად შიშველი, ცაში კი ფერმიხდილ მთვარეს ეღიმება...

პოპულარის სსოვნას

წემს, წემამა ქუჩის შავი ტალახი გუბის ნაცრისფერ წყალში აგლისა, მე კი უთქვენოდ ვგავარ გალახულს და გულმაც ბევრჯერ მოგისაკლისათ.

სევდა შემბებს ბედის მარხილში, უამინდობაც შემომეთვისა. რა ვუყოთ, ალბათ, არ ვიყავ ღირსი ჯვარზე დაღვრილი სისხლის წვეთისაც!

დასასრული

ჰოროვიცთან ერთად კი აუზში ჩასვლაზე უარი თქვა ლექსო ბურდულმა, ვისი თქმითაც: „ელტონ ჯონი ხარ, გოროვიცი თუ თვითონ სკარლატი, თუ პიდარასტი ხარ, პიდარასტი ხარ მაინც“.

მოკლედ, ბორჯომი ზამთარშიც საოცრება ყოფილა. თოვლმა კიდე უფრო მეტად გამოაჩინა ამ პატარა ქალაქის მთავარი ხიბლი — მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ავსტრიულ დიზაინთან და ეს ყველაფერი ნახევრად ველურ, ჯერ კიდევ მოურჯულელებელ ქართულ ბუნებაში.

ბორჯომი მე მაინც განსაკუთრებულად მიყვარდა ყოველთვის, ჯერ ის რად ღირს, ტყეპარკში უნიკალური ქვა რომ აღმოაჩინეს და შტუტგარტში, ნათლობაში ამ ქვის სადღეგრძელო რომ დალიეს გერმანელებმა. ქვა კი ერთი ჩვეულებრივი (ერთი შეხედვით ალბათ) ქვა იყო, მაგრამ ისეთი დაფერილობის, რომ დედამიწაზე არსებული ყველა ფერის ყველა ტონალობა ზედ ეტეოდა. ქვა იქით იყოს და ნაღვლის ბუშტის ამოჭრას რომ მიპირებდა ერთი თურქი ექიმი და მერე ექთანმა რომ გადამარჩინა (დაილოცოს იმისი დედაც, მამაც და მონაგარიც), შენო, შვილო, საქართველოდან ხარო, რას დაეხეტები ალთა-ბალთას და წეები სკალპელის ქვეშ, მე თვითონ ნაღვლის ბუშტის მწვავე ანთება მქონდა ისეთი, ხასიათში გადამეზარდა ლამის და თქვენთან რომაა კურორტი „ბაღდაჯანა“ თუ რალაც ეგეთი, ჩადი და გამორეცხვები გაიკეთე, თუ არ გიშველა, შენი ხმალი, ჩემი კისერიო.

ზღაპრებში რომ ხდება ხოლმე, კეთილი ბერიქალები რომ გამოეცხადებიან პროტაგონისტს, ეგრე მოხდა ზუსტად „ბაღდაჯანაში“, ანუ ბორჯომში, ყოფილ მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე ორმა ხელკანკალა კეთილმა ბებომ ისეთი ჯადოქრობა ჩამიტარა, თურქეთის კლინიკებს ორი-სამი ჩემნაირი მოწმე გაკოტრების პირას მიიყვანდა.

მეოთხე სამმართველო ერთი ხანობა საქართველოს არცთუ ისე შორსმჭვრეტელმა მთავრობამ ვილაც უცხოელს მიყიდა, მერე რალაც საქველმოქმედო ფონდით გაკეთდა და ხალხმა პირადი შენატანის ხარჯზე დაიბრუნა ტერიტორია. ახლა იქ ბალნეოლოგიური დისპანსერია, გარედან რომანოვების დროინდელი კედლებით, შიგნიდან კი ულტრათანამედროვე დონის აპარატურით. მახსოვს, ამ ძველი შენობის დანგრევას აპირებდნენ და შევიცარიელმა არქიტექტორმა გაცივებით იკითხა, უკეთესის აშენებას რას გეგმავთო. რომ უთხრეს, რალაც შუშებიან, ახალი

გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული საქართველოს ამბები



დიზაინის შენობის დადგმას ვაპირებთო, თურმე სიცილით მოკვდა ქალი — თქვე ოჯახაშენებულზე, ჩვენო, სადმე ძველი ქვა გვაპოვინა, ეგრევე ლეგენდას ვუქმნით, რომ პაციენტ-ტურისტს თანხის გადახდა გაუადვილდეს, თავი მომაკვდავად კი არა, დამსვენებლად იგრძნოს და თქვენ რა ჯანდაბა გეტაკათო. მეო, მომტყდეს ორივე ხელი თუ ამ ძველი შენობის დანგრევას თანხმობა ვთქვა და ვინმე უნამუსო თქვენში მოძებნეთ, გეყოლებათო. მოკლედ, თავიდან კი იყო მითქმა-მოთქმა, თავის მატორზე ვერაო, ბებია ყავდა მაგას რუსიო, შურთ შვეიცარიელებს ჩვენო და იქამდეც კი მივედით — მგონი რომანოვების გადარჩენილი წევრის ანასტასიას და მისი შვეიცარიაში დაბადებული შვილის, ნიკოლაის შვილია ეს ქალიო, ვამბობდით ჭორად თუ მართლად, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა — რუსეთის იმპერატორის დროინდელი შენობები დარჩა, მეტიც, ტერიტორიაზე მსგავსი დიზაინისა და კონსტრუქციის რამდენიმე დამხმარე შენობა ჩაიდგა და ახალი კლინიკა გაიხსნა.

კლინიკა რა დასათვალისწინებელი იყო და სტუმრებს შევთავაზე — ბორჯომის ხეობის უძველეს მონასტრებს განახებთ-მეთქი. ჩემი ჩანაფიქრი კონკრეტული და

მზაკერული კი იყო (ჩემი სომეხი სტუმრისთვის ქვაბისხევის წმინდა მარიაშვილის მიძინების ტაძარი და მასში გამოსახული შოთა რუსთაველისა და დედამისის, იას ფრესკები მინდოდა, მენახებინა), მაგრამ კეთილშობილური მინარევებიც ჰქონდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, დიდი ქალაქების ყველა ტაძარს დაეკისრა რეგიონებში ეგრეთ წოდებული სამეურნეო ტაძრების შენახვა და მოვლა-პატრონობა (სხვათა შორის, იდეა ჩემ მეგობარს, მღვდელ ლევან ალადაშვილს ეკუთვნოდა და ასეთი შინაარსი ჰქონდა: დიდი ქალაქების ტაძრები ეკონომიურად და ხშირ შემთხვევაში, მორალურადც — ნირვა ლოცვების ჩატარებით, ეზო-კარის მონესრიგებით, სოფლებში და მოვლა-პატრონობით მალაღმთიან რეგიონებში ერთ კონკრეტულ ეკლესიას ეხმარებოდნენ. ეს ეგრეთ წოდებული „მოძმე ტაძრების“ ინსტიტუტი ძალიან დიდი დახმარება აღმოჩნდა არა მხოლოდ ეკლესიების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვა-მოვლის მხრივ, არამედ მიმდებარე სოფლების გამოცოცხლებასაც ხელი შეუწყო, რადგან ნირვის ჩასატარებლად ჩასულ ქალაქელ მღვდელს

ხშირად ქალაქელი მრევლიც მიყვებოდა, ნირვის მერე ტრაპეზს კი ამბებისა და ცოდნის გაცვლა-გამოცვლა სდევდა თან), ქვაბისხევის ეკლესია ქართველი ავტორებისთვის განსაკუთრებული მოვლის და ზრუნვის ადგილად იქცა. ქრისტიანი თუ მუსლიმი, ბუდისტი თუ ათეისტი მწერლები თავს ვალდებულად მივიჩნევდით ხოლმე, წელიწადში ერთხელ მაინც დიდი შოთას ფრესკა გვენახა და მცირე შესანიშნოთაც მონასტერს დავხმარებოდით (ქართველი აზერბაიჯანელი მთარგმნელის ოქტაი ქაზუმოვის იდეა იყო ამ წესის ტრადიციად გადაქცევა). მოკლედ, ვიფიქრე, ორ კურდღელს ერთად დავიჭერ-მეთქი, მაგრამ სტუმრებს დაეზარათ, ზოგს თოვლმავალით სიარულის შეეშინდა, ზოგს შოთა რუსთაველის ფრესკის ნახვის, ზოგსაც, უბრალოდ, ბაკურიანში დაბრუნება და სრიალი ერჩივნა.

გვიანობამდე ისევ ბორჯომის ქუჩებში ვიხეტიალეთ. ვსვით უზომოდ ბევრი მოცხარის ჩაი და ვჭამეთ დინდგელიანი ჩურჩხელები. ბლომად ვუსმინეთ ფალიაშვილს კლასიკური მუსიკის კაფეში და საერთოდ არ ვუყურებ ჩემი საყვარელი რეჟისორის, ლარს ფონ ტრიერის ახალ ფილმს (ახალი უცხოური ფილმების პრემიერა საქართველოში, ტრადიციულად, ჯერ ბორჯომში ტარდებოდა და შემდეგ დანარჩენ კინოთეატრებში).

დარწმუნებული ვარ, მე ჩემს გზაზე რომ წავსულიყავი და ისინი ბაკურიანში გამეშვება, პალესტინას ისრაელი მაინც არ აღიარებდა, მაგრამ ასეა ხოლმე, როცა სტუმარი გყავს და ქართველი ხარ, იდაყვზე ვერ იკებენ, უნდა შეეგუო იმას, რომ შეიძლება მოგინოს ყველა საქმის გადადება, შეიძლება ფეხმძიმე ცოლი მარტო და ტაქსით გაუშვა სამშობაროში, გადადო წინა საღამოს ჩასაბარებელი სტატიის საბოლოო ვარიანტი ან სულაც გააცდინო პლენარული სხდომა იმიტომ, რომ სტუმრებს პატივი სცე და კმაყოფილი გაუშვა სახლში, მერე კი მთელი თვე იმართლო თავი ცოლთან, სამსახურში და შეიძლება სახელმწიფოს წინაშეც კი, რომ სხვანაირად არ შეგეძლო, რომ „ასე მოხდა, ასე გამოვიდა“.

მე კი არც ფეხმძიმე ცოლი მყავდა, არც სტატიის ბოლო ვარიანტი მქონდა ჩასაბარებელი და საერთოდ, დრო მქონდა იმაზე მეტი, ვიდრე ბაზუაჩემის მამას, დიმიტრის აქვს ახლა შორაპნის სასაფლაოზე. დავრახზე ჩემი აზერბაიჯანელ-სომხური დელეგაცია, ჩავსხი ტაირონ სკოტ ჯეიმსის ელექტრო მატარებლის ბოლო რეისზე და გავუყევი 1982 წელს კარპენტერის ფილმ „რალაც“ — ასავით დათოვლილ მთებს უკან, ბაკურიანში.

ზოგი სტუმარი მარგებელიაო — დაჯდები შენთვის თბილ ნომერში და წაიკითხავ მაინც წიგნებს.

დასასრული

დაყმევებული — კარგი, თუ ეგრეა, რთველი მოდის, ერთი კარგი თხა დაეკლათ, ნაწილი ხაშლამად გავუშვათ, ნაწილი ჩავხრატოთ...

ლუკა — მოაშორე იქით, თხის სუნს ვერ ვიტან.

დაყმევებული — ვაჰ, რა მიზეზიანი ვინმე ჰყოფილხარ, ლუკავ, წენიანები შენ არ მოგნონს, თხის ხორცი არ გიყვარს, მამ მხალეულზე რას იტყვი, ჰა?

ლუკა — რაო, რას სთქვი? მხალეულიო? შენ მასხარად ხომ არ მიგდებ? ხმა გაიქრე, თორემ ეს ალმასისპირიანი წალდი თუ გადმოგიშვივლე ზევიდან, ერთ წუთში სულს გაგაფრთხობინებ!

შაქრო — (თავისთვის) ვაჰ, საკვირველი არ არის, ეგრე ვინ დაუყმევებია და დაუწოდოვტებია მიხოს ბიჭსა! მარტო ეთეთრი ვირი შეიყურება მალლა, სხვა მეტი არავინა ჩანს აქა... ბიჭოს! დიდება შენდა, ღმერთო! ორივე ლუკა ყოფილა, თვითონ იცვლის რიგრიგობით ხმასა.

დაყმევებული — მე ვინა მკითხავს, მაგრამ ყალბაზე კარგი საჭმელი ბევრი არაფერი მეგულება.

ლუკა — ყალია? ყალია კარგია, მაგრამ ჯერ ცოტა ადრეა. მთაზე თოვლს რომ ჩამოჰყრიონ, აი, მაშინა აქვს ყალიას თავისი მადლი.

დაყმევებული — ლუკავ, ეგეთი შარიანი არ მეგონე, ვერ იქნა და შენი მოსანონი ვერაფერი მოვამზადე. იცი, რას გეტყვი? მოდი, თვითონ მითხარი, შენს გუნებას რა ენაზეა, რა ესიამოვნება და მერე სუფრის განყოფილება ჩემზე იყოს. დამჯერდები?

ლუკა — არა, არა, განა შენი ყადრი და ფასი არ ვიცი და ეგრე იმიტომ გელაპარაკები? აბა, რა გესწავლება, რა უნდა მოიტანო. ოღონდ ერთს გეტყვი, თევზეული იყოს აუცილებლად! ხო იცი, თევზეული ძალიან მიყვარს. ჰო, ხაშლამა ორი-სამი წლის გავსებული მოზერისა, კარგად ჩახრაკული ნამთვეი თოხლი, ღორის სუკები ხო გაქვს ჩაბასტურმებული, იმისი მწვადი, ოღონდ ცოტა მოგვიანებით... გეყოფა, ნულარ მალაპარაკებს, დანარჩენი შენ თვითონ იცი... (ხმა აუთრთოლდება და ჩაუნყდება).

შაქრო — (თავისთვის) ჰშიან ალბათ მამაძალსა და ეტყობა, ეს არტისტობაც შიმშილმა დაანყობინა. აბა, ერთი აბგა ვნახო, საჭმელი თუ დამრჩა რამე. ეჰ, ორ კაცს ვერ გააძღობს, მაგრამ საკმარისად მოალორლოცებს. შევეძრახები და ერთადა ვჭამოთ... დაიცა, დაიცა, ისევე აგრძელებს.

დაყმევებული — კარგი, ეს ქეიფი ხომ მოგწონთ და მოვითავეთ, აბა ეხლა თუ მეტყვი, სმა-ჭამით ნაამებ კაცს რა ესურვილება?

ლუკა — (მორცხვად) დაიკარგე იქით, რათ იცი ეგეთი რადაცეები, გამანითლებ ხოლმე ამხელა კაცსა.

დაყმევებული — ბიჭო, მე გკითხავ, შენ მიპასუხე, შენ ხომ არაფერი დაგბრალდება?

ლუკა — რათ იცი ეგეთი აჩემება, ადამიანო?!

დაყმევებული — მა როგორ გინდა, ნიკაც სულ მაგას არ ჩაგჩიჩინებს, მორცხვი ქალი — ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი — ერთ ქალამნადო, უცოლო კაცი და მგელი ერთიანო, ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო, ერთმა დოლაბმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერაფერს დაფქვავსო და რა ვიცი კიდევ, რას არა.

შაქრო — (თავისთვის) ეს როგორ გავიბოძიძე ფეხი და ველარ მოვშორდი აქაურობას, როგორ მოვცდი და დავიშრიტე. ეგრე ძალიან ნამდვილი არტისტიც ვერ შემეყოლიებდა. ამ მამაძალს მხოლოდ სიმღერა კი არა, მსახიობობაც მაგარი შესძლებია.

დაყმევებული — აბა, დამაცა, ლუკავ, აგე ციცლიბონანთ თინაზე რას იტყვი, როგორი მოყვანილი ტანი აქვს, ნანწკარა ჩიტვით არის შეკრული.

ლუკა — რავი, რა გითხრა, მარტო ტანი ხო არ არის, ერთი მუჭა სახე აქვს, ეგ ვის მოეწონება.

დაყმევებული — სარდონის ელიზა? ჭკვიანი, ჭკვიანი, რო წიგნი არ არის ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგას არა ჰქონდეს ნაკითხული.

ლუკა — აუჰ, რანაირი ქუფრია, მაგის მთხოველი ვინ იქნება.

დაყმევებული — დარდი ნუ გაქვს, შავ

თამაზ ხმალიძე

ანგელოზის ფრთის ქვეშ

ნეზეს შავი კერატი არ დაეღვეა, შენ შენი იგულისჭირე.

შაქრო — (თავისთვის) იფ, გენაცვათ, ამაზე ამბობენ, უგუნებობა სჭირს და აღარა მღერისო?! ჯერ გემრიელად იპურმარილა და ეხლა ქალების არჩევანშია შესული. აღარა მღერის რასა ჰქვიან, მე ჩემი დღენი არ მიმღერია, მამ წუთისოფელი სულ უგუნებოდ გამიტარებია და ეგ არის.

დაყმევებული — ბახტურიდიანთ გაიანე? ეგ ხომ თეთრია, ქათქათა, მზისუნახველი.

ლუკა — რას ამბობ, ვერან, რო დადის, ფეხები გარიელასავით დააქვს.

დაყმევებული — ის მითხარი და... ჭიჭიბოანთ მერი?

ლუკა — სქელია, ჯო, ძალიან სქელი, ეხლა რო ეგეთია, დაქალებული რაღა იქნება.

დაყმევებული — იოსებას მერი? მაგასაც ხომ ვერ დაინუნებ?

ლუკა — ბიჭო, მე ვისი რა დამწუნებელი ვარ, ღმერთმა ყველას ხელი მოუშართოს, მაგრამ, ეტყობა, სიარულის დროს კარგად არც მაგისათვის შეგიხედავს, ცოტა ლანგობს.

შაქრო — (თავისთვის) ვერ უყურებ ამ მაიმუნს, როგორი დაკვირვებული თვალი ჰქონია! თავის სარსად მამას კი არა ჰგვანებია, მჭადში ნახშირს რომ ვერ გამოარჩევს.

დაყმევებული — მამ ნაღობიდიანთ მედიკო?

ლუკა — აჰ-აჰ-აჰ, ძალიან ჟღალია, მაგფერი აპუერიც კი არ ვარგა, ხარს ახრიობს.

დაყმევებული — ერიჰაა, ეტყობა, შენს მოსანონს აქვერავისა ვნახავთ, ქალაქისაკენ ხომ არ ავიღოთ გეზი.

ლუკა — (მორცხვად) არა, ჯო, რას ამბობ, რაა, ჩვენს სოფელში გოგოები გამოილია?

დაყმევებული — მაშინ კოტიტანთ დალი. ჯერ ძუძუ-მკერდს შეხედე, ერთ ქალად მარტო ისა ღირს.

ლუკა — არა, ეგ თავს ვერ დაიჭერს, ძმაო, ჩემნაირ კაცს ცოლად ეგეთი გოგო არ გამოადგება.

დაყმევებული — პართენას თამარი? წყნარი კიდევ ეგ არის, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს.

ლუკა — ოოო, ეგ კიდევ ჭინჭიანად ვერ არის, ძალიან მჭლეა, ხელი არსად მოეკიდება.

შაქრო — (თავისთვის) დაიცა, დაიცა, მაგათ, მგონი, ჩვენი უზნისაკენ გადმოუხვიეს.

დაყმევებული — მოდი, მოვრიგდეთ და ნიკას ცოლისდაზე შევაჩეროთ არჩევანი. ნიკა ხომ აქებს, იგეთია, კაცს ცივ ქვაზე დაასახლებსო, თანაც შეხედე, რომელ ქალაქელს ჩამოუვარდება?

ლუკა — რას ამბობ, ვერან, ჩემზე რამ-

დენით უფროსია. დაყმევებული — იყოს მერე, გარეგნულად არაფერი ეტყობა და მოსახარშად ხომ არ გინდა?

ლუკა — ეგ შენ ვერ ატყობ, თორემ რამდენიც უნდა ინანთული წაისვას და გაიგლორთოს, წლებს მაინც თავისი მიაქვს.

დაყმევებული — მამ, აგე, ხეჭრელიანთ მაყვალა, იმაზე რაღას იტყვი?

ლუკა — მაყვალა? (შეყოვნდება) მაყვალა... ეგ კიდევ რანაირად აბდღერიალებს თვალებს...

შაქრო — ოხ, შე მამა-პაპა ძაღლო, თვითონ იმისთანა ვინა ჰგდინხარ, შენი მოსანონი რომ არავინ დადის ქვეყანაზედა?! (ბურქებიდან გლავა-გლუჯით გამოვარდება მდელიოზე), ჩემს კალმით ნახატ შეილიშვილს შენი დასანუნი რა სჭირს, შე რეგვენო, შე ხებრევე, შე დუთინავ, შენა!

(ისმის ტოტებისა და ფოთლების შხრილის ხმა, მერე მინაზე ბრავვანი)

შაქრო — ღმერთო, შენ მიშველე, ღმერთო, შენ მიშველე! აჰა, ეგე, ნავიდა დღე და არა ფათერაკიო. ეს რა დამემართა, კაცო, ვაითუ ჩემი დაუდევრობით ამ სიბერეში ადამის შვილი ვიმსხვერბულე! ნეტავ, ორივე ჩამოვარდა?.. თუმცა, რასა ვობოდავ, თავიდან იყვენ ორნი, ბოლოს ხომ ერთი-და დარჩა. არა, მაინც რა მინდოდა, რა თავი ქვას ვახალე, რათ გავიბოძიძე ფეხი და აღარ მოვშორდი აქაურობას, გეგონება, ძროხა ბაგაზე მყოლოდეს დაბინავებული. ლუკავ, ჰეე, ბიჭო, ლუკავ, შემომხედე, ნუ გამწინრავ, შენს ცოდვას ლოდივით ნუ დამკიდებ კისერზე... არა, არ იღებს ხმასა... ნეტავ, შიშისაგან მალღავე დაკარგა გონი, თუ ძირს დაცემისას ამოუვიდა სული?!

თუმცა ჯერ ისევე თბილია, კაცო, მგონი სუნთქავს კიდევ! რა წყალში გადავვარდე მე უბედურო, ამ შუა ტყეში ჩემი მშველელი ვინ იქნება? (ისმის ვირის ყროყინი), ალბათ არავინ ამ ვირის გარდა... ჰო, ეს მართლა მიშველის... ჩოქში, ჩოქში, ჩოქში, მოდი ლურჯავ აქა, მოდი, შენს ლუკას ერთად მივეპატრონოთ. ვაჰ, რა მძიმეა ეს მამაძალი, ძლიერ გადავკიდე ვირსა, კიდევ კარგი, ფალანი ზედ ედგა. აჰა, ნავედით, ათი წუთიც არ უნდა შინ მისვლასა, იქ კიდევ შეიძლება, მეც მეშველოს და ამასაც... მაგრამ რა ვქნა, რა ვიღონო, ეგრე ცოცხალ-მკვდარს ხომ ვერ მივაყენებ თავის კომლსა, ვინ იცის, მე დამაბრალონ რამე, მაგათ ოჯახში ხომ დიდპატარიანად სარსადია ყველა... იქნება აჯობოს, ჯერ ჩვენსა მივიყვანო, ჰა? ეგებ, გადმოგხედოს ღმერთმა, ცოტა მოსულიერდეს და თავისი ფეხით მიადგეს თავის ცერცეტ მამას. ჰო, ეს წალღია თუ წალღუნა ნურც ამას დავტოვებთ აქა, ნუ დავუკარგავთ, ეტყობა, ძალიან უყვარდა ამ საცოდვასა... რას ამბობდა? ალმასის პირიანიო, ისეც ამას რა ვუთხარი...

(ვირის ფლოქვების ბაკუნი, ჭიშკრის ჭრიალი, ქალის შეკვივლება)

მაყვალა — ვაიმე, პაპავ, თვალი დამიდგეს, თუ მაგის გაკეთებას აპირებდი, ეგ წალდი ჯერ ჩემთვის დაგეკრა და ლუკაზე მერე აგენია ხელი.

შაქრო — რას ამბობ, შვილო, არავინ გაიგოს, შენს გახარებას! სანაღდე ან შენ რა დაგიშავებია და ან ამას? ეგეც არ იყოს, მე ვისთვის რა წალდის ჩამრტყმელი მნახე? ხიდან ჩამოვარდნილს მივეპატრონე, ვაიშავიდლით საიდან სად ვატარე და ეგ იმიტომ, რომ ამისი შავსვიანობა მე დამბრალეოდა?!

მაყვალა — ვაიმე, შემომხედე, ლუკავ, მე ადრე და მალე დასამინებელს! ეს რა დამმართია, ნუთუ მართლა გავნიორწყლდი, ნუთუ მართლა დამიბნელდა მზე! პაპავ, ეგეთი უსულგულობა მაინც რაღა იყო, ხურჯინივით თავდაღმა გადაკიდებული რომ მოგქონდა, მამ ქვეყნად ცოდო-მადლი აღარ არის? ან გზაში წყარო თუ არა, გუბე მაინც არსად შეგხვდა, ერთი მუჭა წყალი მიგესხა სახეზე?..

შაქრო — გამახსენდა, რო... ვერ მატყობ, რო მაგაზე უარეს დღეში მე ვარ, მე უფრო მაქვს გონება დაკარგული, ვიდრე მაგას... წყალი და წყალი, აჰა, ეგე წყალი და დაასხი... ჰო, მართლა, მაყვალ, ძროხა ხო არსად გამოჩენილა?

მაყვალა — რა ძროხა, პაპავ, თვალი ძროხასაც დასდგომია, ეხლა იმისი დარდი მაქვს?.. არა, მე ვარ დასახრუკი, მე! უნდა გადავხირებულიყავ გუმინ, ამისმა მამამ რომ დამიბარა და ეგეთ უბედურებაშიც აღარ ჩავვარდებოდი... არ დამღუპო, ლუკავ, ხმა ამოიღე, ბიჭო, შენი მოღუღუნე ხმის ჭირიმე...

შაქრო — ვახ, მგონი, უშველა წყალმა, გოგო, თვალები აახამხამა, მოგონდა, კაცო, გაცოცხლდა, ეეე!..

ლუკა — სადა ვარ, მაყვალ, თუ უკვე სამოთხეში ვარ, შენ აქ რა გინდა, გო?..

მაყვალა — უი, შენ დაგენამლოს შენი მაყვალა, რა ძალიან შემაშინე, ბიჭო!

ლუკა — მართლა სამოთხეში ვყოფილვარ, გოგო, შენს ბღღერიალა თვალებს ვენაცვალე...

შაქრო — თუ ეგრეა, მაშინ მე წავალ და ძროხის ამბავს მიხედავ, შვილებო, გზა ყვის ნამავალისა...

(ისმის ჩონგურის ხმას აყოლილი სიმღერა და თანდათან იკარგება)

ნეტავი, გოგო, შენი ხმა ავადმყოფს გამაგონაო, ტუჩი ტუჩს დამადებინა, გულმკერდში ჩამაკონაო...

ნიკა — ესეც ეგრე, ლუარსაბ, ლუკას საქმეც ხო გაჩინა! სადაც არის ბედი შენი, იქ მივიყვანს ვირი შენიო, ეგრე გამოვიდა, არა?

ლუარსაბი — მაგისი რა გითხრა, ნიკავ, მაგრამ ის კი უტყუარად ვიცი, შეყვარებულებს დიდთვალეა კეთილი ანგელოზი დაუძღვის წინ, იმისი მადლი ჰფარავთ და თუ გაუჭირდათ, თავის კეთილმონყალე, თბილ ფრთას გადააფარებს ხოლმე.





**მარტალი კინოს.
ტატა თვალჭრელიძე. სავლა**

კინომცოდნე და კულტუროლოგი ნეა ზორკაია თავის დოკუმენტურ მოთხრობაში „ექვსი ნაკიანი თვე“ (ყურნალი „ნოვი მირ“, 8, 2008), რომელიც შეეხება 1968 წლის კომუნისტური რეჟიმის რეპრესიებს მის მიმართ, რაკი რამდენიმე ანტისამთავრობო, კოლექტიურ წერილზე მოაწერა ხელი, წერს:

„ლუდას (ნეა ზორკაიას კოლეგა) ასპირანტი ჩამოფრინდა თბილისიდან და გაიგო, რომ ლუდა მოხსნილია. როგორც პევებიან, ინსტიტუტში ისე უტირია, რომ მოსაბრუნებელი გამხდარა. მერე სწრაფად მოინდინდა ცრემლები, გამოიძლია ყველანაირი დელიკატესი, გემრიელი ბადრიჯანი იქნებოდა თუ ლობიო, ყოველთვის რომ ჩამოაქვს ხოლმე საქართველოდან, ჩაჯდა ტაქსში და ლუდასთან მოვიდა უმხიარულესი ღიმილით. უამბო თბილისის ახალი ამბები და ჭორები, გზად მალაზიაშიც შეიბრინა პროდუქტებისთვის და ასევე ლუდას გადასცა ერთი თავი თავისი დისერტაციისა, ახლახანს რომ დაენერა. თავისი დისერტაციის სატიტულო ფურცლიდან ლუდას გვარის მოხსნაზე, არანაირ შესაძლო უსიამოვნებებზე სიტყვა არ დაუძრავს არასდროს. იმას თავში არ მოუვიდოდა იდეა, რომ, როგორც გარემოებებიც უნდა შექმნილიყო, სატიტულო ფურცლიდან წაეშალა ლუდამილა ივანოვნა. მისი სახელი და გვარია ტატა თვალჭრელიძე და ძალიან კეთილი, მშვენიერი გოგონა“.



ეს ძალიან კეთილი და მშვენიერი გოგონა 1981-1984 წლებში მშვენიერი ქალბატონი გახლდათ და უნივერსიტეტის მეორად, კინოსასცენარო ფაკულტეტის სტუდენტებს (დათო აგიაშვილის და ერლომ ახვლედიანის სახელოსნო) კინომცოდნეობის კურსს გვიკითხავდა და სწორედ მან გაგვაგებინა და შეგვაყვარა: ფედერიკო ფელინის თუ მიქელანჯელო ანტონიონის, სესილია თაყაიშვილის თუ სერგო ზაქარიადის, მარსელ კარნესა თუ აკირა კუროსავას, ოთარ იოსელიანისა თუ მიხეილ კობახიძის და სხვა ბევრი კარგი რეჟისორისა თუ მსახიობის ნამუშევრები.

თეორიული ლექციების ჩატარების გარდა, ქალბატონ ტატას უნივერსიტეტის ჟურნალისტების კორპუსში მოჰქონდა ხოლმე ჩვენთვის ძალიან საინტერესო ფილმები (ვალერიო ძურლინის „უდაბნო ტარტარი“, ფედერიკო ფელინის „ორკესტრის რეპეტიცია“, აკირა კუროსავას „ჯარისკაცის ჩრდილი“ და ბევრი სხვა) და ამ ფილმების ნახვის შემდეგ გამართულ დისკუსიებში, სადაც ჩვენც თავისუფლად

შეგვეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა და ქალბატონ ტატასთან კამათიც, ნამდვილი — როგორც კომუნისტური იდეოლოგიისაგან, ასევე დასავლური მასობრივი სტანდარტებისაგან თავისუფალი, თვითმყოფადი და დაუმორჩილებელი კინოს სიყვარულს გვასწავლიდა.

ქალბატონი ტატას მეოხებით ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით, თუ როგორ ცდილობდნენ დიდი რეჟისორები ეკრანზე წარმოეჩინათ მოვლენების დაფარული არსი, რითაც გასაგები ხდებოდა ის დიდი სხვაობა, რაც არსებობდა ჭეშმარიტ და მოჩვენებით სინამდვილეს შორის...

და ნელ-ნელა იმის მიხვედრასაც ვინყებდით, რომ კინოში მთავარი არც დეკორაციაა, არც რომელიმე ტრიუკი, არც ლამაზად გადაღებული ბუნება და, თქვენ წარმოიდგინეთ, არცა ლიტერატურული ტექსტი, სიტყვის რაოდენ დიდ ოსტატსაც არ არ უნდა დაენეროს — მთავარია, რომ

წავლი სახელმძღვანელო ყველა კინორეჟისორისთვის...

„ალბათ, მზა ჩადის ახლა ასანთში“, ანუ არაუღ-ღარაუღად მოყოლილი ფანადგაშული ნარტილის აგაპი

აი, მე რომ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს ვედავები, დაწერეთ-მეთქი — ეგრე მექცეოდა ხოლმე ერლომ ახვლედიანი, რადგან იმისთვის კინოსცენარისტების ჯგუფში ყველაზე მეტად დაპირისპირებული სტუდენტი ვიყავი — თუ ვინმე შეიძლება ყოფილიყო ანტი-ერლომი, ალბათ, უფრო მე — და ისიც, ხან შემოვლით, ხანაც პირდაპირ, მედავებოდა...

არადა, ვითომ ჩემს ჯგუფელებს ურჩევდა და, სინამდვილეში, ხომ ვიცოდი, რომ სულ მე გულისხმობდა: დღლა რომ თენდება, და ხომ ცნობილ-



ვინც კინოს მასწავლიდა

ფილმმა კინოს სპეციფიური ხერხების მეოხებით მაყურებელი ააღელვოს აზრის სიღრმითა და ემოციური ძალით...

მე იმითაც ამაყი ვიყავი, რომ ქალბატონი ტატა დიდი გეოლოგის, ალექსანდრე თვალჭრელიძის ოჯახიდან იყო და მისი ძმა, სანდრო თვალჭრელიძე ჩემი ლექტორი გახლდათ — ის კიდევ მინერალოგიაში მიკითხავდა ლექციებს გეოლოგიურ (ძირითად) ფაკულტეტზე...

იმასაც ვიტყვი, რომ ჩემ სამაგიდო ნიგნებს შორის ყოველთვის იქნება 1981 წელს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ დაბეჭდილი ტატა თვალჭრელიძის ნიგნი „სიმართლე ეკრანზე“, რომელიც კინოზე სტატიების კრებულია და იმათგან რამდენიმე წერილი — ფედერიკო ფელინის, მიქელანჯელო ანტონიონის და აკირა კუროსავას შესახებ ჩემი ფანქრით ხაზგასმული აზრებით არის სავსე. დღესაც ამ ნიგნიდან ვიხსენებ ხოლმე, თუ რატომ უყვარს ანტონიონის ის ძალიან საგნები, რომ სულ იმათ იღებს და ამ საგნებს როგორ ალაპარაკებს ეკრანიდან; როგორ მოძრაობს მარსელ კარნეს კინოკამერა და ეს რანაირად უნდა დაგინახოთ კადრებიდან; რომელი ფანტასტიკური ხერხებით ქმნის აკირა კუროსავა თავის ფილოსოფიურ იგავებს ადამიანურ სისუსტეებზე თუ ბუნების დიდებულებაზე...

ტატა თვალჭრელიძე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა და...

იმ დროიდან სულ იმისგან ნასწავლ სიმართლეს დავეძებ ეკრანზე და ათასში ერთხელ თუ გადავეყარე სადმე, მერე სულ ჩემს ლექტორს ვუყვები ხოლმე გუნებაში... ვუყვები და ვეკამათები კიდევც...

და, ახლაც, ამდენი ხნის მერე, ისე გავხდები ხოლმე ტატა თვალჭრელიძის სტუდენტი, ვერც კი ვიგებ...

მინანერი:

ტატა თვალჭრელიძემ უნივერსიტეტში დააარსა კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ამ ლაბორატორიის მუშაობის შედეგი იყო მისი ნიგნი „კინემატოგრაფიული ძიებანი“, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დაბეჭდა 1989 წელს და რომელიც, როგორც მე მგონია, აუცილებლად წასაკითხი, კინოენის შესას-

მისო მოსულიშვილი

ია და ცხადია, რომ სულ სხვადასხვანაირად თენდებაო და, აბა, რა ხმები ისმის ხოლმე ქალაქში; რაც მოვლენები ხდება, ყველა თითო-ორულა სიტყვით ჩაინიშნეთ დღიურებში, ისეთი შესაფერისი სიტყვით, რომ დახედავთ, ის მოვლენა მოგაგონოთ; კინოს რომ უყურებთ, ფურცელზე უნდა ხედავდეთ სცენარსო და, პირიქითაც, ანუ ფურცელზე რომ კითხულობთ, კინო უნდა დაინახოთ; ხელოსანი რომ მუშაობს, ნებისმიერი ოსტატი, ხარაზი იქნება თუ მესაათე და კიდევ, ვინც გინდათ, იმათაც კარგად დააკვირდით, ძალიან საინტერესოა კინოსთვისო. და დაწერეთო, დაწერეთო, დაწერეთო...

და სულ მე!..
ჰოდა...


დრო რომ გავიდა, მერე და მერე, დიდი გაჭირვებით მივხვდი, რომ, თურმე, ყველაზე მეტად მე ვყოფილვარ ერლომ ახვლედიანი...

ხომ მიხვდით, რასაც ვამბობ?
ჰო, არა?

მე ჯერ ვერა და, მოდი, კიდევ ერთხელ ვცდი:

მაშინ ვერ ვხვდებოდი, მეგონა, ყველაზე დიდი ანტი-ერლომი ვიყავი და, თურმე, უბრალოდ, ჩემს სხვა ჯგუფელებზე უფრო მეტად ერლომი თავად ვყოფილვარ...

რატომ და...
ჩემნაირი ჯიუტი და მოკამათე სტუდენტი ერლომ ახვლედიანს, ეგებ, არცა ჰყოლია და თავიდანვე იცოდა ეს, რაკი სულ



მე დამძახოდა — დაწერე და დაწერეო...

მე, ბრყეყმა, არ ვიცოდი მაშინ და თქვენ კიდევ ჯვარი გწერიათ, რომ მალევე მიხვდეთ ხოლმე ეგეთებს...

არადა, სულ თავიდან რომ ვნახე ლექციაზე შემოსული, რალაცნაირი იყო, დაბნეული, თითქოს გურამ რჩეულიშვილს ბაძავდა იმ თავისი სასაცილო და მსუბუქი ბათინკებით, თანაც ისე აბნეულად ლაპარაკობდა, ისე მიედ-მოედებოდა რალაცებს, რომ ვერ გადავიტანე ერთი შეხედვით, იმთავითვე...

მეთქი, ეს ვინ არის და აბა, ამან რა უნდა მასწავლოს...

...და მეკამათეთო — თან გვეხვეწებოდა და...

მეც შევეკამათე, თანაც ძალიან...

აი, ხომ ვამბობ, ძლივს მივხვდი წლების მერე, რომ მართლა ძალიან მაგარი იყო...

და, თურმე, სამი წელი მართო სცენარების წერას კი არ მასწავლიდა, ადამიანობასაც, გია არგანაშვილი რომ „ერლომ ახვლედიანობას“ ეძახის...

მე ვერ ვივარგე, თორემ...

არადა, ღმერთმანი, მართლა ვცდილობდი: თოთხმეტი წელიწადი სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში ვიმუშავე და ამ დროის განმავლობაში ჯერ იმისი მოკრძალებული და საბოდიშო ღიმილი შემომეყრებოდა, მერე თავად ერლომ ახვლედიანიც და, ორივე მხრიდან გულითადი მისალმების შემდეგ, ვთხოვდი — სანამ ამ ჟურნალში ვარ, რამე მოიტანეთ-მეთქი! აბა, რა მოვიტანო, არაფერი მაქვსო.

როგორ, სულ არაფერს წერთ-მეთქი?

არა, არაფერსო — ისეთი სახეგაბადრული მეტყობდა, რომ პირლიას დამატოვებდა ხოლმე და ახლა აქეთ შემომიბრუნებდა შეკითხვას — აბა, შენ რა დაწერეო?

გვარიანად შევფიქრიანდებოდი და — მეც არაფერი-მეთქი — შემცბარი და გაკვირვებული ვპასუხობდი — უფრო სწორად, ვერაფერი...

აი, ხომ ხედავო — დასძენდა ჩემი დაბნეული სახის ყურადღებით დამკვირვებელი და ღიმილ-ღიმილითვე მისურვებდა კარგად ყოფნას...

მოკლედ, „ნიკო და ვანოსავით“ გამოდიოდა ხოლმე ჩვენი ლაპარაკები, ოლონდ ნიკო რომელი იყო და ვანო რომელი — ახლაც ვერ ვხვდები...

ვითომ აბნეული და, სწორედ იმ აბნეული ლაპარაკით უახლოვდებოდა ისეთ მთავარ რამეებს, რომ — უუუუჰ...

იმისნაირად — ვერაფერ...

გურამ რჩეულიშვილს იმიტომაც უყვარდა განსაკუთრებით, ალბათ...

აი, ხომ ვაღიარებ, წლების მერე და მერე, ძლივს მივხვდი ამას...

ხომ მიხვდით, რასაც ვამბობ?
ჰო, არა?

მე ჯერ ვერა და, მოდი, ერლომ ახვლედიანის აი, ეს ლექსი ვნახოთ, „ლიტერატურული გახეთის“ 2012 წლის 14-27 დეკემბრის ნომერში რომ დაიბეჭდა და, ეგება, უცაბედად მაინც მივხვდეთ, რა უცნაური, სულ სხვანაირი ხედვა ჰქონდა:

ასანთი ძველი
ამოვისუნთქო, მინდა, ეს ლექსიც...
ასანთი ძველი და მასზე წერო, ფრთაანული, მენამულ ფონზე...
ალბათ, მზე ჩადის ახლა ასანთში.

მინანერი, ანუ ერლომ ახვლედიანის ყველაზე უხეირო ნასტუდენტარის ნათქვამი მის ნიგნზე „კოლო ქალაქში“:

ამ რომანს ერლომ ახვლედიანი ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როცა გურამ რჩეულიშვილი ცოცხალი იყო — გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებში, ალბათ.

მე რომ იმისი კინოსასცენარო ჯგუფის სტუდენტი ვიყავი ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის უნივერსიტეტში, მაშინაც წერდა... და ის ამბავი, თავისით ფხვადგმულ წერტილზე, არც მწერალს რომ არ ემორჩილებოდა და არც კალამს, მაშინვე ვიცოდით:

მაგიდის ანთებულ ნათურასთან ზის, თურმე, ბატონი ერლომი, წერს სუფთა ფურცელზე და თან მწერები დასტრიალებენ, წკაპუნითაც უცვივან ფურცელზე.

ჰოდა, უკვე დაწერილ ერთ წინადადებას რომ კითხულობს — აბა, ერთი რა დაწერეო — უცებ დაინახავს, რომ წერტილმა

ფეხი აიდგა, ამოდრავდა და სულ სხვა ადგილისკენ გასწავა...

მერე ხშირად მიფიქრია — ნეტავ, მე რომ მოვკვდები, იმის მერე მაინც არ დაამთავროს, რომ იმ ამოდრავებული ნერტილის ამბავის წაკითხვა მოვასწრომეთქი...

და მოვასწარი...
ერლომ ახვლედიანის ეს ნაწარმოები 2010 წელს წიგნად გამოცემა გამოცემლობა „სიესტამ“, რამაც ძალიან გამახარა, რადგან, თუკი მაინცდამაინც ამ წიგნის საყიდლად მიმავალს საიდანმე აგური არ დამეცემოდა თავში, წაკითხვასაც თავისუფლად მოვასწრებდი და მეც შევიტყობდი — თუ რა გადახდა იმ ფეხადგმულ ნერტილს, ანუ კოდოს ქალაქში...

და ის აგური კიდევ ტყუილ-უბრალოდ რომ არავის დაეცემოდა თავში — ესეც ერლომ ახვლედიანმა მასწავლა...

ახლა უკვე ვიცი, რომ „კოლო ქალაქში“ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურას დაამშვენებდა და იმაზე მსჯელობა საჯილდაო ქვად იქცეოდა ყველა გონიერი და გემოვნებიანი კრიტიკოსისა თუ ლიტერატურათმცოდნისთვის.

კაცი კინოდან

როცა კაცი კინოდან არის, ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ მთელი მისი ცხოვრებაც ფილმივით არის აგებული და ყოველთვის არ ემორჩილება სცენარის შესაქმნელად მიღებულ საკვანძო მომენტებს — მაგალითად, როცა კულმინაცია და კვანძის გახსნა ერთმანეთს დაემთხვევა და, თურმე, ფინალიც ეს ყოფილა...

თუმცა ჯერ კი ადრეა...

ჯერ არ დამდგარა 2014 წლის 12 თებერვალი, როცა თბილისში მისი ბოლო ფილმის „Tbilisi, I Love You“ პრემიერა (მისი ცხოვრების კულმინაციად რომ იქცევა), მაგრამ თავად ვერ ესწრება, თავად ანგელოზთა ქალაქშია და რაკი ძალიან გახარებულია, სისხლძარღვებში ბლოკირება დაეწყება, აორტაში გაუჩნდება საცობი და გული უცებ გაუჩერდება (კვანძის გახსნა და ფინალიც)...

ჯერ 2013 წლის 1 თებერვალია და ოთხმოცდაათიანი წლებიდან ლოს-ანჯელესში წასული, ანუ ოცდაათი წლის უნახავი, თავის დროზე ჩემი კინოდრამატურგიის ლექტორი დათო აგიაშვილი შინ მყავს სტუმრად.

მანამდე ფეისბუქზე ვნახე, დამეგობრება გავუგზავნე და მაშინვე მომივიდა თანხმობა.

გამიხარდა, მეც ისე ვახსოვარ-მეთქი და, რომელ რეჟისორს რა სცენარი დაეუწერე, რომელი პროექტი როგორ ჩაგვივარდა და რისი იმედოვნობა რჩებოდა, ამეებზე ვილაპარაკეთ ფეისბუქის კერძო ფოსტაში. რაც მთავარია, ის არ დამვიწყებია, რომ სცენარისტის სახელი და გვარი მხოლოდ კარგი ფილმის ტიტრებში უნდა მოხვედეს...

დათოს კარგი მანერების გარდა, თავისებური ჩაღიძობით შეფერილი, არის-ტოკრატული იუმორი აქვს, რასაც ჩემს პირად ფოსტაში მოწერილი ეს მოკლე წერილიც ცხადყოფს:


„მიხი, როგორ ხარ, ამ დილაუთენია რამ გაგაღვიძა?..“

ტელეფონატებში გადავედი სამუშაოდ კინოსტუდიიდან და იქ მიჩვეულზე, აქაც დილით ადრე მივედი. მთელი სართული ცარიელი იყო. ვიყურებულე ოთახში, მერე კიბესთან დავედი.

თორმეტის ნახევარზე გამოჩნდა, რედაქტორი იყო, შობა არჩევაძე. ქვემოდან ამომხედა და მითხრა: — ვა, დათოჯან, ხეზე გეძინა?..“

ჰოდა, ამ ლაპარაკებისას ჩემი თხოვნის პასუხად რამდენიმე ამერიკული ფორმატის სცენარიც გამომიგზავნა, ერთი ჩემი სცენარიც ნახა და რაკი კარგი რჩევებიც ისე მომიცა, თითქოს ის ოცდაათი წელი არც გასულიყოს და ისე იმის ლექციაზე ვმჯდარიყავი უნივერსიტეტის რომელიღაც აუდიტორიაში, მთლად თავზე ხელი ავიდე, გავუთამამდი და თანამედროვე ფორმატის სცენარის დანერის სახელმძღვანელო ვთხოვო, თავისი შეხედულებებისამებრ...

ჰოდა, სწორედ იმ სახელმძღვანელოთი არის მოსული ჩემთან Now Write! Screenwrit-



ing – 2010 წელს გამოცემული სცენარისტების სავარჯიშოებია დღევანდელი მსოფლიოს საუკეთესო მწერლებისგან და მასწავლებლებისგან, შერი ელისის და ლაური ლემპსონის რედაქტორებით.

ბოლოს რომ ვნახე, 1991 წლის დასაწყისი იყო, ძმები ზუბალაშვილების ქუჩიდან გამოუხვიეს დათო აგიაშვილმა, მისმა მეუღლემ მარიკა ლომთათიძემ და ჰარტმუტ გრიესმაიერმა (Hartmut Griesmayr), მაშინ საქართველო-გერმანიის ერთობლივ მხატვრულ ფილმზე „ელზაზე“ მუშაობდნენ და დათომ ჯერ ის გერმანელი რეჟისორი გამაცნო. ჩემს ხუმრობაზე, ამის გვარ-სახელს რა დამიხსოვრებს-მეთქი, გაიღიმა, მერე მარიკას უთხრა, ეს არ უთარგმნო, უთხარი, რომ ეს ჩემი საუკეთესო მოწაფე იყო კინოსასცენარო ფაკულტეტზეო. ახლა მე რომ გამეცინა, რა იყო, დათომ მკითხა და ვუთხარი — აბა, როგორი საუკეთესო მოწაფე გამოვდექი, დღემდე არც ერთი კინოფილმი არ გადაღებულა ჩემი სცენარით-მეთქი... არც ეს უთარგმნო, მარიკას უღიმიოდა დათო და მაშინ შემახსენა, მხოლოდ კარგი ფილმის ტიტრებში უნდა ეწეროს სცენარისტის გვარიო...

სანამ ჩემიანები ყავას მოგვიტანენ და მე კი შამპანურს დავასხამ მაღალყელიან ფუჟერებში, დათო მისხნის, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოებიდან ზოგი ვიცი, მაგრამ ზოგიც სულ ახალია და კარგად უნდა დაუვიწყრდე... მოკლედ, ეს წიგნი ჩემიანებს უფრო გამოადგება...

დიდ მაღლობას ვუხედი, წიგნს ვათვალიერებ და უკანა ყდაზე თვალში მხედება ფასი, თხუთმეტ დოლარამდე გადაუხდია ამ წიგნში, მაგრამ ამ თანხაზე დათოსთან ლაპარაკი არ შეიძლება („ვა, როგორი ძვირი ყოფილა, როგორ შეგანუხე, იქნება გადავიხადო...“ და ამისთანები), თავად ჩათვალა, რომ ეს წიგნი მჭირდებოდა ყველაზე მეტად, უკეთ რომ მენერა სცენარები და მორჩა, იქ დამთავრდა ყველაფერი.

ყველაფერი როგორ — ჩემდათავად რამდენიმე საკუთარი წიგნიც ხომ დავახვედრე, რაც ჯერ არ წაუკითხავს და იმას გავატან. ვლაპარაკობთ დათოს ბოლო პროექტზე, რომლის სახელია „თბილისი — ჩემი ქალაქი“, ეს არის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კრებული, რომელსაც იღებს სხვადასხვა თაობის თორმეტი ქართველი რეჟისორი. მსახიობები ქართველებიც ჰყავთ, მაგრამ ისეთი სახელიანი უცხოელებიც, როგორიც არიან მალკოლმ მაკდაუელი და რონ პერლმანი. რაც შეეხება თავად პროექტის იდეას, დათოს ადრე უნახავს მსგავსი ფილმები პარიზზე და ნიუ-იორკზე. და 2011 წელს, როცა ოცი წლის უნახავ თავის ქალაქში დაბრუნდა, საპროდიუსერო კომპანია „იბერია ფიქჩერზის“ მეშვეობით გამოაცხადა თბილისის თემატიკასთან დაკავშირებული სცენარების კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმოცამდე რეჟისორმა, ორმოცდაათამდე სცენარით, საიდანაც თორმეტი შეარჩია...

დათო მიყვება, როგორ ჩააკითხა ამ პროექტში მონაწილეობისთვის ოთარ იოსელიანს პარიზში, თუმცა მისგან უარი მიიღო, ათ წუთში გამიჭირდება სათქმელის თქმა... არც იმას მიმალავს, ერთმა ცნობილმა რეჟისორმა როგორ მოუტანა ძველი გა-

დაღებული ფილმი და თავად როგორ გაისტუმრა უარით. მერე ამ უარს მეც მისაბუთებს, განიხილავს იმ ფილმს — მიმანიშნებს, სად არის უგემოვნობა და ეს უგემოვნობა რომ დათოს ფილმში ვერაფრით მოხვდება, თუნდაც ავტორად ასჯერ უფრო ცნობილი რეჟისორი იყოს, მეც ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების უნივერსიტეტის კინოსასცენარო ფაკულტეტიდან ვიცი, სადაც, როგორც უკვე არაერთგზის დამიდასტურებია, დათო აგიაშვილი მიკითხავდა კინოდრამატურგიას და სწორედ დათომ წააკითხა მაშინ დანერული ჩემი ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარი კინორეჟისორ ბუბა ხოტივარს — ნიკა აგიაშვილის შვილისაგან, რომელიც თავის დროზე ლადო ასათიანს, მირზა გელოვანს და იმათი თაობის მწერლებს პატრონობდა, სხვანაირად წარმოუდგენელიც კი იყო...

სწორედ იმ პერიოდშიდან ვიცი, რომ დათოსთვის კინო ყველაზე მთავარი კი არა, გადაწყვეტილია და ვინც კინოს გამოადგება, ყველას კოლეგად განიხილავს და იმის გაკეთებულის ავ-კარგსაც შეუმცდარად შეაფასებს („გიორგი ოვაშვილი?.. ნიჭიერია, კარგი სცენარი მომიტანა ამ პროექტისთვის, მაგრამ მერე „სიმინდის კუნძულის“ გადაღება უნდა დაეწყოს და ჩემს პროექტში მონაწილეობაზე უარის თქმა მოუწია“).

მიყვება ამ პროექტის ფინანსირების პრობლემებზე, სადაც ყველაზე საწყენი ის არის, რომ ქართულმა მხარემ მონაწილეობაზე უარი უთხრა...

შამპანურის დონე ნელ-ნელა იკლებს ბოთლიდან და...

რაკი ორივენი ძველი თბილისის ერთი და იმავე უბნიდან ვართ, აქაურ ძალს და მამაძალსაც კარგად ვიცნობთ, მომავალ პროექტსაც ვთავაზობ, რომელშიც ერთი ამერიკელი მწერლის დანერული რომანი უზუსტესად მოერგება ამ ჩვენს უბნელებსაც.

კიო, მიდასტურებს დათო, მეც ისე მიყვარს, რომ „ტორტილა ფლეტი“ ნიკას და გიორგისაც წავაკითხე თავის დროზე (ნიკა რეჟისორია და გიორგი, იგივე ჯორჯ ფინი — მსახიობი, და ესეც არ უნდა გაგიკვირდეს, დათო კინოს ყველაფერზე წინ აყენებს და თუ არა კინოდან, აბა, საიდან უნდა იყვნენ მისი შვილებიც?), მაგრამ ჯონ სტივინზის შვილიშვილებს საავტორო უფლებების პრობლემები აქვთ, სასამართლოში არის აღძრული საჩჩელი და ჯერ უნდა დაველოდოთ. ისე კი, ჯონ სტივინზის საქართველოში მოგზაურობაზე ჩვენც ვგაქვს ნაფიქრო.

ვეუბნები, რომ რობერტ კაპასა და ჯონ სტივინზის მოგზაურობაზე მოკლე მოთხრობა მაქვს დანერული, „თითქმის ფუნქციონირებ“ და იმას ფეისბუქიდან წავაკითხე.

საინტერესოა, გამომიგზავნო და მერე იმასაც მისხნის, რომ ამერიკაში ნებისმიერმა სცენარისტმა იმათი სისტემა უნდა გაიაროს, ანუ თავისი აგენტი უნდა ჰყავდეს, სცენარის შეკვეთა რომ მიიღოს და ჩვენებურად — ერთი სცენარი მიიტანე და იქნება ის გადაიღონ — არაფერი გამოვა, არავინ დაგელაპარაკება, საერთოდ. შამპანურის დონე უკვე ფსკერამდეა დასული და — დათო მელაპარაკება, რომ ადვილი არ იყო თბილისიდან წასვლა, მაგრამ მთელი მისი ოჯახი ამას ისე უყურებდა, როგორც მოგზაურობას, რომელიც ისევე თბილისში უნდა დასრულდეს.

უფრო სწორად, დათო აგიაშვილი არც წასულა თბილისიდან, სულ აქ იყო და ეს პროექტიც, „თბილისი — ჩემი სიყვარული“ ამისი დასტური უნდა იყოს...

აი, ამ სიტყვებით მემშვიდობება, თავის თხელ პალტოს ჩაიცვამს, კუბოკრულ შარფს მოიხვევს, ჩემი ნაჩუქარი წიგნების პარკს აიღებს და იმის დიდი მონადინებით, რომ კინოში რამე გავაკეთო, სცენარის წაკითხვას და თავის შენიშვნებს მპირდება, რაც საშოშიც როგორ არ არის, მაგრამ სამადლობელი უფროა...

აი, ეგრე მივაცილებ...
ჯერ 2013 წლის 1 თებერვალია და ოთხმოცდაათიანი წლებიდან ლოს-ანჯელესში წასულ, ანუ ოცდაათი წლის უნახავ ჩემს კინოდრამატურგიის ლექტორს, დათო აგიაშვილს ვემშვიდობები და მომავალი ფილმის წარმატებას ვუსურვებ...

მიდის, ქვემოთ მიუყვება მთანმინდის უბნის ქვაფენილიან ქუჩას და ისევე ის ეპიზოდი მახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან, სადაც იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ერთ-ერთ „ფიცის კაცზე“, სარდალ აგიაშვილზეა ლაპარაკი:

„მხედარმა ცხენი უეცრად შეაჩერა. თოფი აგიაშვილს გულზე დაადვა: — დამრჩი!

— რალა მეთქმის!..
უცნობი მხედარი ეჭვის თვალით უყურებდა, არ მოელოდა ასე ადვილად გამარჯვებას.

აგიაშვილმა ხმალი შეაბრუნა, წვერში ხელი მოკიდა და ტარმუშით მტერს გაუშვირა.

უცნობმა თოფი დაუშვა და ლეკურის გამოსართმევად მარცხენა ხელი გაუწოდა.

ამ დროს აგიაშვილის ლეკური ჰაერში გადატრიალდა, ჰაერშივე სტაცა მას ხელი პატრონმა და უცნობი მარჯვენა მხრიდან მარცხენა ტუძუში დაიჭრა.

— ამას ვეძებდი... ღირსი ვარ... — და ცხენიდან ნახევრად ჩამოხტა, ნახევრად გადმოვარდა.

— ვინ ბრძანდები? — დაეკითხა აგიაშვილი.

— ასტამურ ინალიპა.

— ეს მეორე ძმაც მე მხვდა... — გაუელვა თავში, — თქვენებს შევატყობინებ, აქიმი მოგაშველონ.

ამ გამარჯვებით, ცოტა არ იყოს, დანაღვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უთხრა: — ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი იქ... მიეშველეთ“.

ეს ეპიზოდი იმიტომ მახსენდება ხოლმე, რომ კარგად ვიცი — დათო აგიაშვილი სწორედ ამ „ფიცის კაცების“ შთამომავალია და კინოზე აქვს ფიცი დაღებული, ნამდვილ კინოზე...

მიდის, ზუბალაშვილების ქუჩაზე გადაუხვევს და ერთი შავი ჯიპი ისე ახლოს ჩაუქროლებს, შემაკრთობს და თვალს მიეფარება...

თუმცა ჯერ კი ადრეა...

ჯერ არ დამდგარა 2014 წლის 12 თებერვალი, როცა თბილისში მისი ბოლო ფილმის „Tbilisi, I Love You“ პრემიერა (მისი ცხოვრების კულმინაციად რომ იქცევა), მაგრამ თავად ვერ ესწრება, თავად ანგელოზთა ქალაქშია და რაკი ძალიან გახარებულია, სისხლძარღვებში ბლოკირება დაეწყება, აორტაში გაუჩნდება საცობი და გული უცებ გაუჩერდება (კვანძის გახსნა და ფინალიც)...

როცა კაცი კინოდანაა, ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ მთელი მისი ცხოვრებაც ფილმივით არის აგებული და ყოველთვის არ ემორჩილება სცენარის შესაქმნელად მიღებულ საკვანძო მომენტებს — მაგალითად, როცა კულმინაცია და კვანძის გახსნა ერთმანეთს დაემთხვევა და, თურმე, ფინალიც ეს ყოფილა...

მიწანერი: ნიკა აგიაშვილი-უმცროსისთვის შეთვლილი მაქვს, რომ თუ აქ მოხსენიებულ პროექტზე — ჯონ სტივინზის „ტორტილა ფლეტის“ თბილისურ ვარიანტზე — მუშაობა მოუწდება და მეც დაეჭირდები, ყველა საქმეს გადავდებ და აუცილებლად მივეხმარები...

სხვანაირად არ ვიცი, როგორ უნდა შევძლო იმ დიდი სიკეთის ნაწილობრივ მაინც გადახდა, რაც დათო აგიაშვილისგან მახსოვს...



გაგონიერება

გია ქარჩხაძე

„ქარჩხაძის გამომცემლობა“ ქართული წიგნის ბაზარზე 2004 წელს გამოჩნდა. მკითხველს ყურადღების მიღმა არ დარჩენია საბავშვო, შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი სერიოზული, ხარისხზე ორიენტირებული და სანდო გამომცემლობა, რომლის წიგნები გამოირჩევა როგორც ენობრივი თვალსაზრისითა და საუკეთესო ქართული ტექსტებით, ასევე, საინტერესო შინაარსით, შთაბეჭდავი ვიზუალური გარეკანითა თუ ილუსტრაციებით.

„ქარჩხაძის გამომცემლობა“ საზოგადოებას ხშირად ანებივრებს სიახლეებით. საბავშვო მრავალფეროვნობრივი ლიტერატურის გარდა ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს უფროსებისთვისაც — მხატვრული ლიტერატურის მოყვარულებს ჯგერ ქარჩხაძის შემოქმედებას, ხლო ხელოვნებისა და კულტურის ქომავებს საინტერესო თემატურ ნიგნებს სთავაზობს.

გამომცემლობის დირექტორს, გია ქარჩხაძეს, რამდენიმე წლის წინ შეეხვედი და მასთან ინტერვიუ „ლიტერატურულ გახეთში“ დაიბეჭდა კიდევ. ბატონ გიას საგამომცემლო სიახლეებზე სასაუბროდ დღეს ისევ ვეპატივები.

— ჩვენი პირველი შეხვედრისას გამომცემლობა მუშაობდა ორი ძირითადი მიმართულებით. ეს იყო საბავშვო ლიტერატურა და ჯგერ ქარჩხაძის შემოქმედება. საინტერესოა, რა ხდება თქვენთან ახლა — თუნდაც პრიორიტეტების მხრივ, ხომ არ გაფართოვდა, ან შეიცვალა ისინი?

— ჩვენი შეხვედრიდან ლამის ექვსი წელია გასული. საინტერესოა, მართლაც, იმ დროიდან დღემდე შეაჯამო განვლილი. ჩვენთან საბავშვო ლიტერატურა, შემეცნებითი და მხატვრულიც, წამყვან მიმართულებად რჩება, უბრალოდ, უფრო სიღრმეში წავედით, ახალი ხაზი გაჩნდა — ეს არის ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისათვის. თავდაპირველად სულხან-საბას იგავეები გამოვეცით. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება იოლ წამონწყებად მოგეჩვენოს, თუმცა გააჩნია, როგორც გვას აირჩევ — რამდენად რთულს, ან მარტივს, რამდენად ღრმად ან ზედაპირულად მიუდგები საკითხს და ამა თუ იმ პროექტით ბავშრის რა სეგმენტზე დააპირებ გასვლას. ჩვენ, პრიორიტეტი, რთულ გზებს ვირჩევთ ყოველთვის.

როგორც გითხარით, სერია — ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისათვის — დავინწყეთ სულხან-საბას იგავეებით. იცით, რომ ეს იგავეები ბავშვებისთვის რთულად გასაგებია და ხშირად უფროსებსაც ნაკლებად ესმით. გადავწყვიტეთ, განსაკუთრებული სიფრთხილით დაგვემუშავეთ ტექსტი, პრაქტიკულად არ შეეხებოდით ავტორის თხრობის მანერას, სტილისტიკას, სიტყვათა წყობასაც კი, მაგრამ იმავდროულად, ის გასაგები და სასიამოვნოდ საკითხავი გაგვეხადა თანამედროვე მკითხველისთვის. ამასთან, ნიგნი მშვენიერი ილუსტრაციებით გაგვეფორმებინა. ჩვენ, რეალურად, ვიმუშავეთ ლექსიკაზე, შევცვალეთ მოძველებული, ძნელად გასაგები ლექსიკური ერთეულები. იგავეები იმდენად ფაქიზად განახლდა, რომ თავიდან, ასე ვთქვათ, ტესტირებისთვის ვისაც წავაკითხეთ, არავის ჰქონია განცდა, რომ ეს არ იყო ორიგინალური ტექსტი.

— ადაპტირებული კლასიკური ლიტერატურა დღეს აქტიურად გამოიცემა, ამგვარი პროექტების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იმუშავებს ტექსტზე. ხშირად ძალიან უხეშადაც ჩარეულან დედანი. თქვენ როგორ გადანწყვიტეთ ეს პრობლემა?

— მართლაც ფილიგრანული, ძალიან საფრთხილო სამუშაოა. როცა ასეთი გამოცემის მომზადებას გადაწყვეტ, შეიძლება, გაგიჭიროდეს კიდევ, მონახო ადამიანი,

ვისაც ამ საქმეს ანდობ. მე კი ასეთ რთულ ამოცანებს იმიტომ ვეჭიდები, რომ სპეციალისტი, არც მეტი არც ნაკლები, სახელში მყავს, ის დედაჩემია, ლეილა ბერიაშვილი —



ვილი — განათლებით ფილოლოგი, ქართულის ბრწყინვალე მცოდნე და იმ რამდენიმე ადამიანთაგანი, ვისაც შეუძლია, ამგვარი სირთულის ამოცანებს გაართვას თავი.

— ქალბატონი ლეილა წლების განმავლობაში მუშაობს მწერალ ჯგერ ქარჩხაძის ტექსტების რედაქციაზე და ვიტყვოდი, თქვენი გამომცემლობის ხარისხის ნიშნის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის.


— საერთოდ, რაც საგამომცემლო საქმე ნამოვიწყე, პირველივე დღიდან თუ ნუთიდან ის ჩემს გვერდითაა და რეალურად მისი დამსახურებაა, რომ მკითხველმა ჩვენი გამომცემლობა სწორედ კარგი ტექსტებით გაიცნო. თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით გამართულ ქართულს — ნათარგმნი ლიტერატურა იქნებოდა, მხატვრული თუ შემეცნებითი. და ის, რომ გამომცემლობას ძირითადად აქებდნენ კარგი ტექსტების გამო, მთლიანად დედაჩემის დამსახურებაა. განსაკუთრებით პირველ წლებში ჩვენი ყველა ნიგნი, ლამის თითოეული სიტყვა მის ხელში გადიოდა. ამიტომაც ახლა უფრო რთულ ამოცანებს შევეჭიდეთ.

— თქვენი ცნობილი პროექტია „საბავშვო ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასევე სერიით — ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისათვის — გამოიცემა. ამაზეც ქალბატონმა ლეილამ იმუშავა?

— დიახ, დაახლოებით წლინახევრის წინ გამოიცა „საბავშვო ვეფხისტყაოსანი“, მოთხრობილი პროზად. ასეთი ამოცანა გვექონდა: ამბავი მოგვეთხრო ბავშვებისთვის გასაგები ენით. როცა „ვეფხისტყაოსანზე“ საუბარი და ასეთ თამამ პროექტს იწყებ, აუცილებელია, განსაზღვრო ტექსტის საბოლოო სახე, აირჩიო, რას გამოკვეთ და — რის ხარჯზე. გადავწყვიტეთ, მოგვეთხრო ამბავი, რაც შეიძლება მეტი დეტალით, მეტი კონკრეტული, სამაგიეროდ, უარი გვეთქვა პოეტურობაზე, აფორიზმებზე, ფილოსოფიაზე, იმაზე, რაც ვთქვათ, ბავშვისთვის ისედაც რთულად გასაგებია. როდესაც ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, იმ ხატოვან თხრობაში, იმ ჩუქურთმებში, საოცარ სამკაულში უამრავი დეტალია ჩაკარგული და შეიძლება, ხშირად შეუმჩნეველიც დაგჩრქვ. როცა პოეტურობა, ფილოსოფიით, ესთეტიკით შებურული სიუჟეტი გამოიკვეთა — გასაოცრად დიდი ინფორმაცია წამოვიდა წინ — არა მხოლოდ ყოფითი დეტალები, არამედ ეპოქა, ურთიერთობები, ცხოვრება, ინტერესები, საგნები,

მასალა, ფერები, იქაური სურნელი. შედეგმა „ვეფხისტყაოსანი“ კარგი მცოდნეებიც გააოცა, ჩვენი ტექსტი უფროსებისთვისაც საინტერესო საკითხავი აღმოჩნდა. დაახლოებით ორი წელიწადი მარტო ტექსტზე ვიმუშავეთ, არანაკლები დრო დაეთმო ილუსტრირებას. ასეთი პროექტები სწრაფად არ კეთდება.

დედა, როგორც ავტორი, ცხადია, ლელავდა, როგორ მიიღებდა საზოგადოება „ვეფხისტყაოსანის“ პროზად გადმოცემას. მე ვარწმუნებდი, რომ თუ ყველაფერს ხარისხიანად გავაკეთებდით, მიუღებელი არავისთვის იქნებოდა. საერთოდ, დარწმუნებული ვარ, რაც უნდა თამამი ნაბიჯი გადავდგა, თუ იმ საქმისთვის ბოლომდე გაირჯები, ძალისხმევას არ დაიშურებ, ცუდად არასდროს მოგიბრუნდება. ეს ჩემი რწმენაა. ამ პროექტმაც ამიტომ გაამართლა.



— ორივე სიტყვა ნიგნის მხატვრობაზეც მოიხარით.

— ნიგნი დაასურათა თეატრის მხატვარმა ნინო ჩიტაიშვილმა. აქაც რთული ამოცანის წინაშე ვიდექით — როგორ უნდა გავცეოდით, თუნდაც, მოწინებს პოემის მიმართ და დაგვესურათების? „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვებისათვის? პატარები საკუთარ გამიერებს ხომ ყოველთვის როგორც ბავშვებს, ისე უყურებენ. შესაბამისად, ეს ჩვენც უნდა გავვეთვალისწინებინა. საერთოდ, ყველაზე მეტ დროს ვუთმობთ ხომღვე სტილის შემუშავებას, მიგნებას, ვიდრე თვითონ ილუსტრირების პროცესს. ამ შემთხვევაშიც რამდენიმე თვე დაგვჭირდა, ვიდრე ჩამოვყალიბდებოდით, რა გვინდოდა, როგორი ტიპაჟები უნდა შეგვექმნა, რა დონეზე დიდები და რა დონეზე ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ მთავარი გამიერები. ამის შემდეგ იოლად წავიდა საქმე. შედეგით კმაყოფილები ვართ. მოთხოვნა ჩვენს „საბავშვო ვეფხისტყაოსანზე“ დიდა, ნიგნი უკვე რამდენჯერმე გამოვეცით. ამის მერე კი ვიმუშავეთ ქართულ ხალხურ ზღაპრებზე, რომელიც ძალიან მალე გამოვა.

— ქართული ხალხური ზღაპრების ტექსტებსაც იგივე პრინციპით მიუდევით?

— შევარჩიეთ ზღაპრები პირველწყაროებიდან, ანუ საექსპედიციო ჩანაწერებიდან, იმიტომ, რომ ის, რაც მე და თქვენ ვაპქვს ნაკითხავი, კონკრეტული ადამიანების — რაზიკაშვილის, აღნიაშვილისა და სხვების — მიერ დამუშავებული ტექსტებია. მაშინაც, როცა საექსპედიციო ჩანაწერები კეთდება, მთხრობელი თავისებურად ყვება ზღაპარს, ისე აწყობს სიუჟეტს, როგორც იმნუთას სურს. ასე რომ, ძველი ტექსტების განმეორება-გამოფხვრა და მათგან ძირითადი ძარღვის განსაზღვრა ურთულესი ამოცანა იყო. ვფიქრობ, თავი გავართვით და მალე ბავშვებს ახალი საკითხავი ექნებათ.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხაზი ბავშვებისათვის „ქართული ხალხური ზღაპრებით“ არ დასრულდება, სხვა საინტერესო ნიგნებსაც შევთავაზებთ მკითხველს.

— ძალიან მნიშვნელოვანია მიდგომა საქმისადმი, ვგულისხმობ იმას, რომ თითო გამომცემას ასეთ დიდ დროს უთმობთ. დღეს, ალბათ, ძნელად მოიძებნება ქართველი გამომცემელი, ნიგნზე ორისამი წელი მუშაობდეს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ნიშანია.

— რატომაც არა, სხვებიც მუშაობენ ასე. მართალია, არის ნიგნები, რომლებიც

სწრაფად მზადდება გამოსაცემად, მაგრამ არსებობს სერიოზული პროექტებიც — გააჩნია, ვინ რა არჩევანს აკეთებს. ზოგი გამომცემლობა ცდილობს, დააბალანსოს და განახორციელოს რთული პროექტებიც და მარტივიც. გამომცემლობას ხომ ის დანიშნულება აქვს, რომ იარსებოს, რაღაც შემოსავალი ჰქონდეს, ეს საქმე მაინც კომერციაა, დაფინანსებული და ფონდირებული სფერო არ ვახლავთ.

ყველაზე კარგი შეთანხმება-შეზავება ის არის, როცა პროექტი, რომელსაც ახორციელებ, ერთდროულად საჭირო და სასარგებლოც არის და კომერციულადაც გამართლებულია. თუმცა ხშირად ასე ვერ ხდება და გამომცემლებს უწევთ სხვადასხვა გამოსავლის ძიება. მთავარია, ხარისხი შეინარჩუნო, თამასა არ დაწიო, გქონდეს გარკვეული ორიენტირები და ეძიო მათი კომერციული გზები. ეს არის ჩემთვის ყველაზე გამართლებული გზა.

— წლებია, დიდი პოპულარობით სარგებლობს თქვენი შემეცნებით-საგანმანათლებლო სერიები ბავშვებისათვის, მათ შორის, დღემდე დიდი მოთხოვნაა ენციკლოპედიებზე.

— შემეცნებით ლიტერატურაზე მუშაობა გრძელდება და მუდმივად გაგრძელდება, რადგან სრულიად აუცილებელი სფეროა. თუ გახსოვთ ჩვენი „ოლოგიების“ სერია, მასაც ვაგრძელებთ, ოლონდ უკვე არა თარგმნილ, არამედ ორიგინალურ მასალას შევთავაზებთ მკითხველს.

პირველი ხმოვანი ნიგნებიც ნაყიდი პროექტები იყო, შემდეგ ჩვენი ვერსიები გამოვეცით. მაგალითად, ახლახან გამოვიდა „მანკატუნა“, სამგანზომილებიანი ხმოვანი ნიგნი. გადაშლისას ჩაიკოვსკის მუსიკა ისმის და ფიგურები ამოდის. ასევეა, ვთქვათ, „მითები და თანავარსკვლავედები“.

სხვათა შორის, „მანკატუნა“ ბოლონის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე გვექონდა წაღებული და მართალია, უფლებები არ გავცივდით, მაგრამ გავიცანით ძალიან ბევრი გამომცემელი, რომელიც დაინტერესდა ჩვენი პროექტით, გამოცდილებით, ვილაპარაკეთ ანალოგიური ტიპის პროექტების შექმნაზე. როცა თვითონ ქმნი და ამა თუ იმ პროექტის წარმდგენი ხარ საერთაშორისო ბაზარზე, განსაკუთრებით საინტერესო ხდები მსოფლიოსთვის.


— ფენტეზის ჟანრის მწერალი ნატო დავითაშვილი თქვენს ავტორად რჩება? ვფიქრობ, ის „ქარჩხაძის გამომცემლობის“ ერთგვარი აღმოჩენაა.

— ნატო დავითაშვილის მეხუთე ნიგნი გამოდის გაზაფხულზე ჩვენთან. თითქმის ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ ნატოს ახალ საკითხავს ვთავაზობთ მკითხველს. ამას წინათ კინოპროდუქსერებმა მოგვაკითხეს, სურთ, გადაილონ ფილმი მისი პირველი ნაწარმოების — „ამბავი ლილე იროელისას“ — მიხედვით. ამან ძალიან გავგახარა.

რაც შეეხება აღმოჩენებს, ასეთი რამ ხშირად არ ხდება. თანაც, ჩვენ ხშირად საკუთარი, საინიციატივო პროექტები გვაქვს — ვარჩევთ თემას და ვუკვეთავთ ავტორს. ასე იყო ზემოთ ნახსენები „მანკატუნასა“ და „მითები და თანავარსკვლავედების“ შემთხვევაშიც, ტექსტები ჩვენი ავტორის მიერ დაინერა. ამჟამად მიდის მუშაობა რამდენიმე ნიგნზე ამავე პრინციპით.

— დიდებისთვის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხაზი გრძელდება?

— ბოლო წლებია, რაც ვმუშაობთ ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მაღალპოლიგრაფიული, უხვად ილუსტრირებული ნიგნ-ალბომების გამოცემაზე. პირველად, როგორც იცით, გამოვეცით „ქართული ნაქარგობა“, ეს გახლავთ, ფაქტობრივად, ქართული საეკლესიო ქარგულობის მრავალმხრივი კვლევების შედეგების პირველი პუბლიკაცია. ნიგნში შევიდა XII-XIX საუკუნეების მხატვრული, კომპოზიციური, იკონოგრაფიული და ტექნიკური თვალსაზრისით საუკეთესო საეკლესიო ძეგლები. ტექსტებზე შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა იმუშავეს. სერიოზული ნიგნი გამოვიდა, ერთდროულად საინტერესო, როგორც ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ასევე, ზოგადად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის.



დამცავი სიბელი და საქველმოქმედო საღამო

მალე დამთავრდება ორი პროექტი, რომელსაც მეოთხე წელია ვამზადებთ. ეს გახლავთ „ქართული ხატები“ და „ძველი ქართული სამკაული“. ეს გამოცემები, ისე, როგორც „ქართული მინანქარი“, მომზადებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად. ამ წიგნებში წარმოდგენილი კოლექციები შესწავლილია ცალკეულ ავტორთა მიერ და თითოეული ტექსტი, რომელიც ერთვის ფოტომასალას, მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის ერთგვარი რეზიუმე გახლავთ. ფოტოებს ჩვენი ძალებით ვიღებთ, სპეციალურად ამ პროექტისთვის საზღვარგარეთ შევიძინეთ აპარატურა და მომზადებულს ძალიან მაღალი დონის ფოტომასალა ვთავაზობთ.

პარალელურად გრძელდება სერია „ქართული მხატვრობა“, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. გამოვეცით ნიკო ფიროსმანაშვილის, ელენე ახვლედიანის, გიგო გაბაშვილის, ავთო ვარაზის, ირაკლი ფარჯიანის, კარლო კაჭარავას ალბომები. ვმუშაობთ ახალ პროექტებზეც.

რა ლიტერატურული სიახლეები გაქვთ?

გამოვეცით რამდენიმე წიგნი თინეჯერებისთვის, მათ შორის, ახლახან — კახა ჯამბურის „ღმერთი არსებობს, იცი?“ თარგმანებზეც ვმუშაობთ, გამოსულია ვირჯინია ვულფის მოთხრობები, დასრულდა ჯონ სტეინბეკის დიდი, ძალიან ცნობილი რომანის — „ედემის აღმოსავლეთით“ — თარგმანა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, უფროსებისთვის შედარებით ნაკლებ ლიტერატურას გამოვეცემთ, საბავშვო სფერო მაინც რჩება გამოცემლობის უმთავრეს პრიორიტეტად, რადგან ეს, ალბათ, მაინც ის საქმეა, რომელიც ყველაზე კარგად გამოგვძის.


თქვენი გამომცემლობა, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ჯემალ ქარჩხაძის წიგნების გარეშე. მკითხველს დიდ არჩევანს სთავაზობთ, თქვენთან ყველაფერია, რაც მწერლის სიცოცხლეში თუ მას მერე გამოცემულა. ფაქტიურად, თქვენი დახმარებით, ახალმა თაობამ ახლიდან აღმოაჩინა ჯემალ ქარჩხაძის „თანამედროვე კლასიკად“ წოდებული შემოქმედება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდა გარღვევა და თანამედროვე ქართული ტექსტების თარგმანა დაიწყო უცხოურ ენებზე. ჩვენ შემთხვევაში, საინტერესო სიახლე ის არის, რომ მამაჩემის, ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ თარგმანა ორ ენაზე. წიგნი შევდურად გამოიცა 2013 წელს, ხოლო შარშან, არც მეტი არც ნაკლები, არაბულ ენაზე — ეგვიპტეში, კაიროში. ახლა გვაქვს მოლაპარაკება ნორვეგიულ გამომცემლობასთან, ძირითადად ყველაფერი უკვე შეთანხმებულია და გაზაფხულის ბოლოს დაიწყებენ თარგმანას. ისინიც „ანტონიო და დავითს“ თარგმნიან. საქმე ის არის, რომ როდესაც წიგნს აწერია, თუ რამდენ ენაზე არის გამოცემული, სხვა ცენტრებს დება. თუმცა, მე რომ მკითხო, „ანტონიო და დავითი“ მართლაც ერთ-ერთი წამყვანი ნაწარმოებია მამაჩემის შემოქმედებაში და ამიტომ ამ წიგნის თარგმანა ჩემგანვე იყო ინიცირებული. ასე რომ, შემძილა ვთქვა, ყინული დაიძრა. თუმცა ეს ძალიან რთული პროცესია, მოგეხსენებათ.

რას გვეტყვით მამათქვენის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, რომელსაც წლებია, პატრონობთ — გამოსაცემად ხომ არ ამზადებთ რამეს?

ალბათ, მეტის გაკეთებაც შემეძლო. ნაკულულობის განცდა მაქვს. მისი დაუმთავრებელი რომანის, „განზომილებების“ განახლებულ გამოცემას გვეგმავთ, გვაქვს კიდევ უამრავი სარქიფო მასალა, რომლის დამუშავებას მე და დედაჩემი რა ხანია, ვაპირებთ. ის პირველი ვერსიაც ჩვენ მოვამზადეთ გამოსაცემად, იმ წიგნად ავანყეთ, რომელსაც იცნობს საზოგადოება, მაგრამ დარჩენილია ძალიან ბევრი ნაწერი, ვერსია, ვარიანტი, ჩანაწერი თუ ჩანახატი, ძალიან საინტერესო მცირე-მცირე ელემენტები. იმ მასალიდან „განზომილებას“ შეიძლება 100-150-გვერდამდე დაემატოს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ წავედით წინ. ამიტომაც მოვაცოლეთ თქვენს კითხვას, რომ მე თვითონ უკმარისობის განცდა მაქვს-მეთქი — რაც შემძილა, ვაკეთებ, თუმცა მაინც ვერ ვყოფნი ამ საქმეს.

ესაუბრა თამარ ჟურული



მწერალთა სახლში ბორის პასტერნაკის დაბადებიდან 125 წლისთავი კვირეულით აღინიშნა. რუსი პოეტის საიუბილეო დღეები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

კვირეული გაიხსნა გამოფენით, რომელმაც გააერთიანა ბორის პასტერნაკის მიერ ქართველი პოეტებისადმი სხვადასხვა დროს მიწერილი წერილები, დეპეშები. საგამოფენო სივრცე მდიდარი აღმოჩნდა ფოტომასალითაც, რომელიც ორგანიზატორებს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა მიაწოდა. ექსპოზიცია XX საუკუნის 30-50-იანი წლების ერთგვარ ქრონიკას მოგაგონებდათ ტრაგიკული ამბების, ქართველ კალმოსანთა და მათი ოჯახების რუს პოეტთან მეგობრობისა და უმჭიდროვესი კულტურული ურთიერთობების წარმოჩენით.

საგამოფენო-საინფორმაციო სტენდი კვირეულზე მისულ სტუმრებს ამცნობდა: „ქართველ პოეტებს XX საუკუნეში არ ჰყოლიათ ბორის პასტერნაკზე უფრო მნიშვნელოვანი გულშემატიკვარი და მთარგმნელი“. ამავე სტენდზე დაინტერესებული ადამიანები ამოიკითხავდნენ 1931 წელს პოეტის თბილისში პირველი ვიზიტის ამბავს. ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილება ბორის პასტერნაკს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია, რასაც მონუმბის მის მიერ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ქართველი მეგობრებისადმი მადლიერების ნიშნად მიწერილი სიტყვები — საქართველო ჩემთვის დამცავ სიგელად იქცაო.

„ბორის პასტერნაკი: საქართველო — დამცავი სიგელი“ — სწორედ ასე ეწოდა კვირეულის ფარგლებში გამართულ გამოფენას. სტენდზე კი, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით, პოეტის იმ სიტყვებსაც ამოიკითხავდით, ბოლო ვიზიტის დასრულებისას, დაძრული მატარებლიდან რომ გასძახა ტიცინ ტაბიძის ქვრივს, ნინოს — „მე არსად წავსულვარ, მე თქვენს ოთახში დავრჩი, იქ მექნებო“.

ცალკე სტენდი მიეძღვნა ბორის პასტერნაკის მიერ ნინო ტაბიძისადმი გაგზავნილ დეპეშებს. ამავე გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამონარიდები 1932-1936 წლებში პაოლო იაშვილის, ტიცინ და ნინო ტაბიძეებისადმი მიწერილი წერილებიდან. მწერალთა სახლში მისული საზოგადოება იმ ბარათის ტექსტსაც გაეცნო, 1959 წელს ემოციით სავსე პოეტმა თბილისიდან ოლგა ივნიისკაიას რომ გაუგზავნა.

კვირეულის ფარგლებში მწერალთა სახლმა უმასპინძლა ცნობილ რუს მწერალს, ლუდმილა ულიცკაიას, რომელსაც ქართველი მკითხველი კარგად იცნობს თავისი რომანებით. რუსი პროზაიკოსი „რუსული ბუკერის“ პირველი ლაურეატი ქალია. მის ლიტერატურულ ჯილდოებს შორისაა „დიდი წიგნის“, „სიმონა დე ბოვუარისა“ და ავსტრიის სახელმწიფო პრემიები. არის საპატიო ორდენის ოფიცერი.

ლუდმილა ულიცკაია საქართველოში

სწორედ ბორის პასტერნაკისადმი მიძღვნილ კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა. ის რუს პოეტზე ლექციის ნასაკითხად მარტის 13-ში მიიწვიეს.



საღამო მწერალთა სახლის დირექტორმა, ნატა ლომოურმა გახსნა. სიტყვით გამოვიდა ლანა ლოლობერიძე — პასტერნაკის ლექსების ერთ-ერთი ქართულად მთარგმნელი. შემდეგ კი ამ სიტყვებით დაიწყო ულიცკაიას ლექცია: „დღეს ამ დარბაზში ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანები ერთადერთი მიზეზით ვხვდებით: არავის გჭირდებათ შესხენება — ყველაზე უკეთ გულმა უწყის, რომ უხილავი კავშირი მუსიკის, პოეზიის გავლით მყარდება და რომ ნებისმიერ შემხვედრში ადამის ძეს და ადამის ასულს ამოვაცნობინებ... პასტერნაკმა ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცოდა და ამ ცოდნის ნაწილი გაგვიზიარა ჩვენც“...

საღამო ლექსების კითხვით დასრულდა — ლუდმილა ულიცკაია და ლანა ლოლობერიძე ბორის პასტერნაკის ლექსებს კითხულობდნენ...

4 მარტს მწერალთა სახლში ჟურნალ „არილის“ მხარდასაჭერი აქცია-საღამო გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა ჟურნალის ბეჭდვის ხარჯის დაფარვას. მარტის 13-ში მისული საზოგადოება „არილის“ ძველი და ახალი ნომრების ყიდვით გამოხატავდა მხარდაჭერას. საქველმოქმედო საღამო ლევან გიგინეიშვილის ლექციას — ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ — თვითნებობიდან თავისუფლებამდე — დაეთმო.

როგორც ჩანს, ერთის მხრივ, დიდი ინტერესი იყო ენტონი ბერჯესის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რომანის ლევან გიგინეიშვილისეული ხედვისადმი, მეორეს მხრივ კი, ბერჯეს სურდა, „არილს“ ფინანსურად დაეგოგოდა გვერდით. ამან განაპირობა ხალხის სიმრავლე. საზოგადოებას მარტის 13-ის სამი ოთახი ძლივს იტევდა.


შეიძლება ითქვას, ლევან გიგინეიშვილმა ხელახლა წააკითხა საზოგადოებას არასრულწლოვანი ბოროტმოქმედის მიერ პირველ პირში მოთხრობილი ტრაგიკული ამბავი, რომელიც პირქუშ სინამდვილეში ვითარდება. გაახსენა, თუ როგორ გადის დამნაშავე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებულ გამოსასწორებელ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, როგორ ახშობენ მასში ძალადობის ინსტიქტს და როგორ იქცევა ერთი სადისტი მელომანი სახელმწიფოს მხრიდან არანაკლებ სადისტიური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლად.

ბატონმა ლევანმა საინტერესოდ ისაუბრა ბერჯესისეულ თემებზე — სახელმწიფო და მისი ღირებულებები; კრიმინალური ვითარების გამოსწორება ადამიანის უფლების უგულვებელყოფის, მისი განადგურების ხარჯზე; სინანულისა და თავისუფლების სახეები. ყურადღება გაამახვილა ნაწარმოების თეოლოგიურ საფუძვლებზე და გაიხსენა ბერჯესის სიტყვები, რომელსაც საკუთარი რომანის შეფასებისას უთქვამს — რომანში მხატვრულ ღირებულებას ვერ ვხედავ, მასში მორალური და ქრისტიანული გზავნილები ქარბობსო.

მას შემდეგ, რაც ლევან გიგინეიშვილმა ლექცია დაასრულა, საზოგადოების წინაშე მალხაზ ხარბედია წარსდგა, რომელმაც მომხსენებელსაც და აუდიტორიასაც მადლობა „არილის“ სახელით გადაუხადა: „დიდი მადლობა ლევანს, დიდი მადლობა თქვენ, რომ გიყვართ, გესმით და გაინტერესებთ ლიტერატურა. მინდა, გითხრათ, რომ კულტურის სამინისტრო აგრძელებს „არილის“ დაფინანსებას. ჩვენ ისევ დავწერთ ლიტერატურაზე“.

ასეთი სასიამოვნო განწყობით დასრულდა „არილის“ მხარდასაჭერი აქცია-საღამო და ლევან გიგინეიშვილის ლექცია ბერჯესის რომანზე, რომელმაც იმ საღამოს შეკრებილი ლიტერატურის მოყვარულები კიდევ ერთხელ ჩააფიქრა თვითნებობასა და იმ თავისუფლების ხარისხზე, რომელსაც რომანის მთავარი გმირი — ალექსი — აღწევს.

მოამზადა თამარ ჟურული





შოთა ხოდაშნელი

აოტავი

ნინოს ბოტები უყიდეს, თეთრი კრიალა, პრიალა, უთხრეს — ტალახში ჩაიცვი, ასეთ სიცხეში კი არა.

გოგოს თვალზე მოადგა ცრემლები დიდრონ-დიდრონი: თქვენ ეგ ბოტები ჩამაცვით, ტალახს თვითონვე ვიპოვნი.

გავაზი და მიმინო

— ნეტავ რისთვის ნაჩხუბნენ გავაზი და მიმინო? — მოდი, დღესვე გადავწყვიტოთ, ვინ სად უნდა იფრინოს. მზე დაბნელდა მათი ჩხუბით, მტვერი ავსებს შარასა, ვერ გაიყვანს ლურჯი ზეცა მიმინომ და გავაზმა. ჩხუბით ვის რა მოუგია, თქვენც იცნობდეთ განაჩენს, — სად არიან? — მელას ჰკითხეთ, მელა გეტყვით დანარჩენს!

შვლის დარიგება

შველი ასე არიგებს პანანინა ნუკრას: — შენისთანა ჯიუტებს სხვა ქორები უქრიან. ბელებს რას აყოლილხარ, დღედაღამ რომ ბუქნიან, მათთვის სულ დლეობაა, სულ კვირა და უქმეა.

აობრა ბალი

მამა დათვი ბრაზობდა: — გულზე ცეცხლი მედება, რა ზარმაცი ბელი მყავს, სახლში არ იხედება. ან მაჟალო დაბერტყოს, ან თივები დაზვიინოს, ერთი სახლში მოვიდეს, ჩემებურად დავზილო! ბობრა ბელმა ბაჯბაჯამ, მუცელამ და ხრუტუნამ კარის ჭუჭრუტანიდან უსმინა და უყურა. მერე დიდი გოდორით მიეფარა ანწლიანს, ბუერიანს გადაღმა მაჟალოსკენ გასწია.

ქილისგუდა

— რა გატირებს, დათვის ბელო? — რა და მამამ მითაქა, ნაბლიაო დასაბერტყი, მე მეგონა იქა ხარ! — მერე რატომ არ ნახვედი სამუშაო გემძიმა? — იმას დედა ბერტყავდა და მე კი ჩრდილში მეძინა.

უცნაური სურათი

მგელი თითისტოლაა, წვერცანცარა დიდა. ლომზე მაღალ ბაჭიას ხმალ-ხანჯალი ჰკიდა. იხვის ერთი ჭუჭული მაღალია მუხაზე, კატუნის პირი აქვს ორჯერ დიდი ბუხარზე. სოკოს ქოლგის გრილოში ძია სპილო დამდგარა, პატარაა მამალზე დათუნია დანდალა. ესეც ძია ზღაბია, ეკლებით რომ განთქმულა; უცნაური სურათი ვინ დახატა? — ხათუნამ!

ციყვის ფულურო


ისეთია ფულურო, მარტო უნდა უყურო. ზამთრის შიში ციყვუნას აღარა აქვს სრულიად, თაროებზე ლამაზად, ჩამომწკრივებულია; კაკლის შვიდი კასრი და ქილით — ხმელი სუნელი, დიდი ტომრით წინიბო და გამხმარი კუნელი, სოკოს აცმა — თორმეტი, მსხლის და ვაშლის ჩირები, ნაბლის კრიალოსანი, კავზე — ნუშის ლილები, გირჩის ათი აცმა და ბლომად ჭარხლის ძირები, — არ აშინებს ზამთარი ციყვი უკვე მზად არი.

წინკანა

ძველად თურმე წინკანა სხვების ტოლი ყოფილა, მაგრამ — ისე ავგულა, ვერვის დაემობილა. სულ ჩხუბობდა, დაობდა, კაპასობდა, ჭყიოდა, მეტი სიავისაგან ცრემლებიც კი სდიოდა. ჩხუბითა და კვილით ფრინველებსა ზარავდა, ამდენ კაპასობაში ასე დაპატარავდა... და იცოდეთ, ვინც ხშირად ჩხუბობს, ყვირის, ავდება, სწორედ წინკანასავით დაგვიპატარავდება!

ივია და მზის სხივი

მამა-პაპის იმედად გაჩნდა ბიჭი — იმედა. ამას შემოგვევლო, — ბიჭს შეჰლიმის დიდედაც.



მზემ სხივები კედელზე მოატარა ფრთხილად, პანანინა იმედას მიულოცა დილა. მზის სხივს იჭერს ბიჭუნა — ჩემიაო ესა. სხივს მოიმწყვდევს მუჭაში, ხელს აფარებს ხელსა. მერე ნაბაჯბაჯდება, გამოაღებს კარებს, მუჭას გაშლის და უცებ სხივს გაუშვებს გარეთ.

გაჭივთა

მოდით, ჩემთან, ბაჭიებო, ხალიჩები დავფინოთ, მე თოჯინებს დავაძინებ, თქვენ მიირთვით სტაფილო. ოღონდ სულ ნუ გაათავებთ, სხვებსაც გაუწიანო.



რა აცინებთ ბაჭიებს

ბაჭიები ბადეებით პეპლებს სდევნენ მინდორ-ველად, ანკესით კი მელაკულა თევზს იჭერდა ნელა-ნელა. ის ანკესი მოხვდა ლოქოს, გაიღვიძა ძილისგუდამ, დაითრია ანკესი და მელა წყალში ჩააყუდა. ახითხითდნენ ბაჭიები, ბანს აძლევდა დათვის ბელი. — მელაკუდავ, მელაკუდავ, თუ ბიჭი ხარ, გაუძელი!

თათარა

ბებომ ტკბილი მოადულა, მოგვიმზადა თათარა, ცეცხლთან ნუ იტრიალებთო, დედამ დავგიტატანა. ჩურჩხელების ამოვლებას ველით დიდი, პატარა. სწორედ ამ დროს დაიძახა სად იყო და სად არა — მეე, მეე, მეც მინდაო, — მორბის წვერებცანცარა.

მშობლის სანუსარი

ჩემი ბიჭი ბაკური, ზამთარი თუ ზაფხული, თმის წვეროდან — ფრჩხილებამდე დადის ამოლაფული.

ბული დგება სიცხის თუ მინას წვიმა აპურებს, გუბეს ყველგან მონახავს, მივა, ჩააჭყაპუნებს. დღეს ჩავაცვი ახლები, ნეტავ შინ ყოფილიყო. ისე ამოიგანგლა, ვერ ვიცანი ვინ იყო.

როგორ გარდა ნაკადული

მთაზე თოვლი ატირდა, იცრემლება წვეთობით, შეერთდნენ და რუდ იქცნენ, ჩამოლარეს ფერდობი. ივსებთან თანდათან, გზებზე ფერხულს უვლიან, დიდდებიან გზადაგზა, ეს კი — ნაკადულია.

ჭიჩი

დადის თითქოს მის მეტი აქ არავინ არ არი, კითხულობენ — ვისია ეს ბლენძია მამალი? ამ კარიდან გამოვა, გაჩერდება იმ კართან. გუმინ ბიჭო გოგალის ხელში ჩაუნისკარტა. ულაჟღაჟებს ბიბილო, დაუღესავს დეზები, ლამაზ კისერს იღერებს, ყივის თავგამეტებით, დააბიჯებს ამაყად, ვერას აკლებს ფინია. ფინიასი კი არა, მგლისაც არ ეშინია. ნირს ვერ შეაცვლევინებ, ლხინია თუ ჭირია. გაიცანით, ბავშვებო, მამლაყინა — ჭიჩია.

იზრიალონ ნერგებმა

დაცოტავდა ნიგოზი, ბებომ მოისაკლისა, პაპამ ჩამოიტანა ათი ნერგი კაკლისა. საურმე გზა დავკვალეთ, ჩავამწკრივეთ გზის პირად, რიგრიგობით ბიჭები წყალსაც ვუსხამთ ხშირ-ხშირად. გვიხარია, გვალაღებს უფროსების შექება, გაიხარონ, აყვავდნენ, იზრიალონ ნერგებმა.

აქ დავგტოვით...

გული სწყდებათ შალიკოს, ლევანსა და გიგას. ეს თვე ისე გავიდა, მართლა არც გავგიგია. გვაჭრევენს ნნელები, გვათიბინეს ბალახი, სოფლად გვინდა დარჩენა, აღარ გვინდა ქალაქი. საქონელშიც ვიარეთ, ძროხაც ვმწყემსეთ, ხარებიც, აქ დავგტოვეთ, სოფელში — პაპას მივეხმარებით.



„ლიტერატურული გაზეთის“ გამომწერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახელი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com